


# ქადაგის მუზეუმი

## მიმდინარეობის სამიზანი



## სამიზანი

ძღვენად საქართველოს დამსახურის  
გერმანიულის 5 წლის თავი

19 — IX — 33  
გამოცემა 33  
„კულტგაზის“  
ტ. ფ. ბ. ბ. ი. ს.




პროლეტარების ცენტრალური მუზეუმისა, შემთხვევულ  
იმპრესიის

# ლიტერატურული

## ა ღ გ ა ნ ა ხ ი

სირართველოს დარეგისტრაცია არსებულ კულტჩაზე ისტორია



ტ ფ ი ლ ი ს ი 1 9 3 3 წ.  
გამოსცემლობა „კულტჩაზა“

ධනාගලීරි නො 1121.

රුපාජි 3,000.

සාක්ෂාත්වාලික පෞද්ගලික ප්‍රතිච්ඡල ස්ථිල මේ-2-ව ප්‍රතාමික, තුළුවන්ගියිල ඩු. 50.

ქართველი საქართველოს ლარეპრეზის  
5 წლის მოღვაწეობის აღსანიშვნაზ  
იუბილეს

„როდესაც ახალი ეს ესაა წარმოშობილია, ძველი განაგრძობს კვლავ არსებობას, ეს უკანასკნელი რამოდენიმე წნის განმავლობაში პირველზე უფრო მძლავრია. ასეთია წესი, როგორც ბუნებისა, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების. ახალ ყლორტების სისუსტის ყბად აღება, იაფ-ფასიანი ინტელიგენტური სკეპტიკიზმი და სხვა ამის მაგვარი,— ყველა ეს, არსებითად, პროლეტარიატის წინააღმდეგ ბურჟუაზიის კლასიური ბრძოლის ხერხია, კაპიტალიზმის დაცვაა სოციალიზმის წინააღმდეგ, ახალი ყლორტები ჩვენ გულმოდგინეთ უნდა შევისწავლოთ, დიდი სიურთხილით მოვებურათ მათ, ყოველმხრივ შეუწყოდ ხელი ზრდას და არ მოვაკლოთ ამ სუსტ ყლორტებს სათანადო მოვლა-პატრონობა“.

ვ. ი. ლენინი

## წინასიტყვაობის გაზიერ

იზრდებიან ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები, დღიური-დღე მტკიცდება და ძლევამოსილი ხდება დიალი საბჭოთა კავშირის სამეცნიერო სიძლიერე.

სულ უფრო და უფრო მაღლა ვითარდება საბჭოთა ქვეყნის კველა ერების კულტურული ცხოვრება.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში საქართველოს ებობელობა, უუფლებო, ჩამორჩენილი და დაბეჭავებული ცარიზმის და მენშე-ვიკების მიერ, იძლევა პირველ საუკეთესო ნაყოფს, ახალგაზრდათა კულტურულ კადრებს, რომლის მთელი ენერგია მიმართულია პროლეტარიატის საკეთილდღეოდ.

ეს ჯანსაღი დასაწყისი უნდა გახდეს საქართველოს ებრაელთა ახალი პროლეტარული ძალების ზრდის პირველი ქვაკუთხედი, ვიგანტური სოციალისტური აღმშენებლობის მტკიცე ბურჯი.

ა. ი. ლინეცკი.

## საქართველოს ლარებპომის იუბილეს

საუკუნეთა უსამართლობით  
წარსულ დროთაგან დაჩაგრულები,  
უცბად ელირსენ ოქტომბრის სხივებს  
მარად დევნილი ებრაელები.

მაგრამ დაიჭნენ მოულოდნელად,  
მათ არ გააჩნდათ რამე ხელობა  
ასეთი იყო მეფის წყეული—  
წარსულის მწარე მემკვიდრეობა.

არვინ ფიქრობდა ამ ბალხისათვის.  
ხელში ეჭირა ჰაერის საქმე,  
სიმშილ-სიცივე უგალობებდა  
და შიშით თრთოდა ყოველ დღე-ლამზ.

საუკუნეებს ამ გზით აგრძობდა  
ვიდრე არ დადგა ეს დღე დიადი—  
შიშით „პოგრომებს“ იგი ელოდა  
და არ სჯეროდა ეს განთიადი.

იგი ცხოვრობდა მხოლოდ ვაჭრობით,  
მის ხვედრი იყო შიში და ძრწოლა  
არ უსწავლიდა მას სხვა ხელობა  
და არ აჩვევდენ თვის ოფლით შრომას.

იმას რაბინი ზრდიდა სიბნელით,  
სინაგოგაში ერეკებოდა  
და გეტოს შვილი ვაჭრობისათვის  
ყოველდღიურად ადრე დგებოდა.

ბავშვი „შნუროკებს“ დაატარებდა  
ან ყურებს სკექდა „ჩისტის“ ძახილით  
დილთ თეთვილინს შუბლზე იდებდა  
და ვაჭრობისთვის უფრთხოდა ძილი

ჰეტლიურაშ და შეგაფს ბანდიტებშია  
გაანალებულს მისი უფლება  
და ამიტომაც მათ აშინებდათ  
ყოველნაირი ხელისუფლება.

მძღვანელი იქტომბერმა ძველი წაშალა  
და აღუმართა გაჭრობას ზღუდვა.  
რაღა ჯნდა ჰქნას ყოფილ გაჭარმა  
როცა დაენგრა თავისი ბუდე.

მტკიცედ მოქნეულ მაგარმა ხელმა  
წარსულის შთანთქა ძველი წესები  
და ყოფა ჩვენი გახდა ახალი  
პარტიის მიერ დანაწესები.

ძველი განცდები მან წაიშალა  
და უცაბედათ ვით მძლავრი ლომით  
ლოზუნგით — „აწი ჯანსალი შრომით“  
ჩვენში დაარსდა საქლარებკომი.

შრომის და სწავლის აწ დაეწაფე,  
აღარ შეხვდები შენს ძველ იარებს  
გაანალებულებნელი კედელი  
და მომავალში მედგრად იარე.

საბჭოთა კავშირს აქვს ერთი ხაზი,  
იმის მიწაზე ყველა ერთია —  
ყველა ერები ამ დიდ ოჯახში  
პროლეტარული განაერთია.

და ღარებკომიც დღე დღეზე მუდამ  
ძველსა ცხოვრებას თვის უკან სტოვებს,  
ჰქნის შრომის ხანას, ახალ ეპოქას  
და აყალიბებს სახელოსნოებს.

ვისაც უნდოდა ახალი გზები,  
ვისაც მოსწონდა მშრომელი — თავში,  
ვისაც გაჭრობა სურდა დაეგმო,  
ყველა მოვიდა — მოხუცი, ბავში.

ხავსიან ყოფამ ჩვენი ქალები  
გაჭირვებამდე რომ დააქანა—  
ეხლა ისინი წითელ საფარში  
გვერდში უდანან შრომის მანქანას.

„შნურკით“ მოგაჭრე პატარა ბავშებს  
შეუსწავლიათ უკვე ხელობა,  
ვინც წინათ კარგად ფეხსაცმელს სწმენდდა  
სამფინგეგმისავის დღეს იგი იბრძვის

მხოლოდ ის ქალი, ვინც მუნჯი იყო  
მას რომ ეძახდენ „ურიისა ქალს“  
წარმოებისთვის გეგმებს ამზადებს  
და თავს ამაყად უწოდებს დამკვრელს.

დღეს დაგიწყებას უკვე აძლევენ  
სიბნელის გუშაგ ყველა რაბინებს  
საბავშო ბალებს და ახალ სკოლებს  
სწრაფი ტემპებით ის აყალიბებს.

ბავშთა ბაგანი, სამეიოთხელონი  
და კულტურული სხვა უჯრედები—  
ვიღას ახსოვს დღეს შაბათობის დღე  
და რელიგიის „ქურუმ-მტრედები“.

ტფილისის მსგავსად რაიონებშიც  
ებრაელების იბრძვის მასები,  
შრომას ელტვიან, მიისწრაფიან,  
იქ ნახულობენ საზღვარს კლასები.

თამამად გაჰყვენ „ვეკაპეს“ ძახილს  
და დაანახვეს თავისი საქმე,  
უკვე ხდებიან პროლეტარებად,  
ჩვევები ძველი ძარშივე დაპგმეს.

ხუთწლედისათვის მედგრად იბრძვიან,  
(რელიგია კი უკვე ვიწყდება)  
დღვიზათა აქვთ სოცშეჯიბრება,  
თავს ალარ გრძნობენ პარაზიტებად.

ცარიზმის დევნა უკვე დაუიშყდა,  
ყველა ივიწყებს წყეულ „პოგრომებს“—  
საბჭოთა ქვეყნის თავისუფლება  
ლენინის დროშით ყველას აგროვებს.

ასე ვეწვიოთ ჩვენ იუბილეის  
მედგრად გაისმის ძლევისა წმები,  
გავაძლიეროთ კვლავ ღარებკომი  
და შევასრულოდ ყველა გეგმები.

კომპარტიისთან და კომკავშირთან—  
ვეტყვით კაპიტალს, ჟავბნელს, საძაგელს,  
რომ მხოლოდ ჩვენში ერგო ნამდვილად  
თავისუფლება მპრომელ ებრაელს.

წითელი დროშა მტკიცედ გვეჭიროს  
და არ შესუსტდეს ჩვენი გმირობა,  
შევფიცოთ მტკიცედ, რომ გავატაროთ  
დიდი ბელადის ექვსი პირობა.

---

## ოქთომბრის გამოქახილი

მე წარმოვიშვი ბრძოლის ცეცხლში ძლიერი ნებით  
და მტკიცე რწმენით ავაფეთქე ყუმბარის დენთი  
მე ზე ავღამართე სისხლიანი წითელი ღროშა  
და ეშაფოტზე ჩამოვკიდე ბებერი ღმერთი.

მე შევარყიე დამპალ ქვეყნის ურთიერთობა  
და ბრძოლის ხანძრით შევაბრუნე დრო უკულმართი  
მე დაგანგრიე ასი წლობის უსამართლობა.  
და ერთი დაკვრით დავამსხვრიე ხუმბების ხლართი

მე შევათროთოლე მთელი ქვეყნის ხუთიერე მხარე  
და ძლიერ ტალღით მთლად წავლეკე უსამართლობა  
მე შრომის ურჩებს გაუთხარე შავი სამარე  
და ერთა შორის დავამყარე სოლიდარობა

მე გავაშუქე ჩირალდანით შშრომელთა კერა  
და გზა მივეცა დიდი ხნობით გაწამებულებს  
მე გადავშალე ისტორიის ახალი ერა  
და სწრაფი ტემპით მე ვაშენებ ახალ გიგანტებს

მე გადავლეწავ დასავლეთშიც მძიმე ბორკილებს  
და მახვილს ჩავცემ, რომ მტარვალთა სისხლმა იშხეფოს  
იქ ავაფეთქებ კაპიტალის შერყეულ კედლებს  
და მის ნანგრევზე ავაშენებ შრომის სამეფოს

მე ავაშენე თექვსმეტ წელში დიდი ძრავები  
და ჩვენ ქვეყანას ყველგან ვაწვდი ელექტრო დენებს  
მე სოფელს მივეც კომბაინი და ტრაქტორები  
და სწრაფი ტემპით მე ვაშენებ ძლიერ გიგანტებს.

## მე-16 ოპტომზენს

დღეს ოქტომბერმა მეოცექსმეტეთ დარეკა ზარი,  
და ისტორია ახლადა სწერს ბრძოლის სტრიქონებს,  
ალფროთოვანება; ენტუზიაზმი უზარმაზარი,  
რაზმაგს ახალსა დამკვრელებს და მძლე ლეგიონებს.

დღეს ებრაელსაც მშენებლობის სული უფეთქავს,  
მსოფლიო გლობუს გადაჰკივის დიდი გიგანტი,  
ბრიგადელები ამზადებენ კვლავ დიდ სარეწავს,  
სოც-შეჯიბრება ყველას იზიდავს, ვით ანდამატი.

ჩამოჰკრა ზარმა განთიადის, ახალ ცხოვრების,  
საბჭოთა მკერდზე გაიზარდა ნორჩი თაობა,  
რწმენით ალსაცემ ლენინიზმის მტკიცე მოძლვრებით,  
ფართოდ გაშალა სოც-შეჯიბრი და დამკვრელობა,

დღეს დამკვრელია ის, ვინც გუშინ უქმად ვიდოდა,  
ლვითქი გადასდის გულ დალარულს შრომისა მკერდზე,  
ტემპებს გაუსწრო, წინ წავიდა მისი რონოდა,  
და დაამყარა თვისი იმედი—შშრომელთა ბეღზე.

წინ, შეუპოვრათ შრომის გმირო, საბჭოთა მკველო,  
შრომის წალკკოტში წითლად ელავს დღეს ყველაფერი,  
ფოლადის ენით ლაპარაკობს დღეს სსაქართველო,  
და დამკვრელ გუშაგს შურით უმზე რს მსოფლიო ბერი.

და რაც კი იყო ოქტომბრამდე—მწარე წარსული,  
ოქტომბრის ტალღამ თან წალეკა მედგრად და მტკიცედ  
როს „ესესერი“ შეკავშირდა მთლიან სხეულად,  
ებრაელ ერსაც გაუთენდა დღე სანატრელი.

## დაზგის მუშა

დღეს უდრეკ ნებით ვსალტავთ ეპოქას,  
შრომის გვირგვინად კუნთებსა ვჭირავთ,  
ავლავ ვაგუგუნებთ ძლევით მანქანას  
და გაქანებით სულ წინ მივდივართ.

ჩვენ აღარ ვიცით ვმუნვა და სევდა  
ლარებკომია ჩვენი მფარეველი,  
თუ გაჭირვება წინად სუფევდა,  
დღეს შრომით მოვრეწყეთ აწ შვების ველი

აი მკლავები სიცოცხლით სავსე  
დაზგებისათვის განამზადები  
აი მანქანა ეს ჩვენი საქმე  
და ხმაურობენ ყველგან დაზგები

ხის საუკუნე გარდავაქციეთ  
ფოლადის რკინის საუკუნებათ  
კულტურის დონე მაღლა ავსწიეთ  
და ნების-ყოფა მტკიცე გულებათ

ასეთი ხანა ისტორიაში  
ჯერ არ უნახავს კაცობრიობას  
და ლენინელთა ბრძოლის სიაში  
ჩაწერილია ჩვენი გმირობა

დღეს უდრეკ ნებით ვსალტავთ ეპოქას  
შრომის გვირგვინათ კუნთებსა ვჭირავთ  
ავლავ ვაგუგუნებთ ძლევით მანქანს  
და გაქანებით სულ წინ მივდივართ.

## ლარებპომის მ უ ფ ა

მე ვარ ამაყად ქარიშხლიან საუკუნეში  
 სულ წინ მივდივარ აღმართებზე მაღლა და მაღლა  
 თუმც არ მიგვრძენია სიყმაწვილე, დედის ნუგეში  
 მე არ მიგვრძნია სულიერად გახრწნა და დაღლა

ეპოქის გუგუნს შეუერთდა ჩემი განცდებიც,  
 მოგონებები აიკინძენ სიბრძნის სვეტებად,  
 თუ კი გმირი ხარ დამკვრელობას ხომ ვერ ასცდები,  
 და სიმამაცე გულში ტოკავს ტებილ იმედებათ.

ოჰ, წყლულებს მიშლის წარსულისკენ ხედვა თვალებით  
 როცა ქუჩაში საწერილმანოს ვყვიროდი მარად,  
 მესმოდა ზიზლი, შური, შტროში და „პოგრომები“  
 „ურიის ბიჭი მაწანწალა და მატყუარა“.

ახ, რატომ ვიყავ ასე ბედის მონა-მორჩილი,  
 რად არ შემეძლო, რომ დამეწვე წამების ნაშთი,  
 რად, რათა სურდა ჩემს მოძმეუბს მარადი ძილი,  
 და იყვნენ მხოლოდ ლუკმა პურის ვაი-ვაგლახში.

დღესა კი ვდგევარ შრომის რაზმი რობივით მტკიცე  
 მსურს გადისეროს ეს მსოფლიო, ვით ერთი გული,  
 გაშ შრომის მტერო, გზა გზა მომეც ჩამოდექ განზე!  
 მომაქვს სიცოცხლე, შრომა, ბრძოლა და სიყვარული.

წინად ობოლი, გამიტაცა ქარხანამ, დაზგამ,  
 და ლარებკომი მე მფარველობს მშობლის მაგიერ,  
 მან გამამხნევა, რომ დაეტოვე მე წარსული გზა,  
 და მიტომ ვმღერი: გაიხარე, მრავალეამიერ.

და დღეს კი, როცა ზეიმს იხდის ხუთწლედის პირმშო  
ლარებკომის ქედს, რომ ამშვენებს ღროშა-ალამი,  
მეც მუშარ ჰიმნით მისი ქება მინდა დავიწყო,  
და მსურს მიუძღვნა მის მიღწევებს წრფელი სალამი.

კვლავ დაჰკა, დაჰკა დამკვრელურად ტემპებს, შიღწევებს,  
გრძნობის ემბლემავ ამოქმედე აზრი დიადი,  
და გაიგონ სოციალიზმს როგორ ვაშენებთ  
ჩვენ მოწინავე ეპრაელთა მშრომელი რაზმი.

---

## ქულტურის სახლი

დღეს საზეიმოდ მომზადებული  
 საბლი უჩვევი ზეიმსა და მხიარულებას  
 ძველი კედლები სალოცავისა  
 გლოვის ტაძარი და სიბნელის მუდმივი კუთხე  
 ზაჰესის შუქში გამოხვეულა  
 და მის კარის წინ სიხარულის  
 და აღტაცების არის სიუხვე

ენტუზიაზმია შეარყია მაგარი კედლის  
 და სიბნელის ძლიერი ზღუდე  
 ტემპების ცეცხლში დაიფერფლა  
 სინაგოგის ყოფილი ბუდე  
 აქ დაიღვარა ოფლი უზომი  
 ენერგიული და შრომით სავსე  
 მაგრამ აიგო ახალი კერა  
 ებრაელების ქულტურის სახლი.

მის ასაგებათ შრომობდა ყველა ხალისიანათ  
 ვისაც შეეძლო ზურგით თუ ხელით  
 მკლავით თუ გულით.  
 ძველის გარდამქნა მათ მოისურვეს  
 და მის შედეგათ  
 აწ საზეიმოდ მოწყობილი ქულტურის სახლი  
 გაჩაღებული ეგებება მოწვეულ სტუმრებს.

მოდიან ხალხი ღიმილით სავსე კულტურის სახლში  
 (პიონერები, კომკავშირლები და ოვით ჭაღარა ებრაელებიც)  
 უნდათ იხილონ ახალი სახე  
 ძველი ნაგები სინაგოგასი  
 აქ არის ყველა: ებრაელი, რუსი, ქართველი  
 მაპმადიანი, ოსი, სომეხი  
 და ციმბირელი ცივ ქვეყნიდან რომ ჩამოსულა

და იმათ შორის შავ კანიანი ზანგი დემურიც  
ცხელი ქვეენის სანაბიროდან ხილვად მოსულა.  
სავსე დარბაზი ვეღარ იტევს მოწვეულ სტუმრებს  
აგერ საცაა აიხსნება სცენაზე ფარდა  
გული ვერ იტევს მოზღვავებულ სიხარულს უჩვეეს  
და ამ ლოდინში მავთულზე რგოლმა გაინავარდა  
გადაიშალა თვალწინ სურათი მრავალ ფერებაც.

დროშები მწკრივად, ბიუსტები მარქსის, ლენინის  
და იმათ შორის რუს ფარაჯაში გამოწყობილი  
ფოლადის გულით იღიმება იქვე სტალინიც.  
სცენის სილრმეში მაგიდა სდგას წითელ შაუდში გამოხვეული  
და იმის ირგვლივ შემომსხდარიან ამხანაგები  
უხმო ჩურჩულით, საერთო საქმის ხელმძღვანელები,  
შრომის გმირები და დამკვრელები.  
ამ მშვენიერი სურათის ხილვით  
ყველას სახეზე ლიმილი იშეა  
თითქოს შეჩერდა მაჯის ცემა აჩქარებული,  
შეჩერდა სუნთქვაც  
ხალხის ხმაური დაიფარა ზარის წყარუნში  
და თავშჯდომარემ დაიწყო სიტყვა:

ამხანაგებო მხურვალე გულით მოგესალმებით  
კულტური სახლის  
საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით  
დღეს ყველა ხედავს  
რომ არა სიტყვით  
არამედ საქმით  
ჩვენ გზა მოგვეცა ცოდნისაკენ ახალთაობას  
და ლარებკომითა თოხი წლის თავზე  
ხელისუფლების მძღე დახმარებით  
კარი გაუღო კულტურისაკენ  
ძველად ნაწამებ ებრაელობას.

თქვენ კარგად გახსოვთ, რომ ამ ადგილას  
ყოველ დღიურად გაისმოდა  
ლოცვა დადღადი ებრაელისა  
და მუხლმოდრეულით წელში მოხრილი

იგი შესთხოვდა უხილავ ღმერთსა  
 ხვალისათვის სარჩო საბადებელსა  
 აქ ამ ადგილს ღვთისა მოსავნი  
 „წმინდა“ ხიხმები და რაბინები  
 ბრბოს უპატრონოს ღმერთის სამსახურს  
 და მოთმინებას უქადაგებდენ  
 თვითონ კი ლალად  
 მათ ხარჯზე მუქთად ცხოვრობდენ უქმად  
 ებრაელობა როგორც ნახირი  
 მისდევდენ „ბრძნულად“ ამ მწყემსების ნაჩვენებ გზასა  
 და გაჭირებით წელში მოხრილნი  
 მალლა ზეციდან მოელოდენ შველას და ხსნასა

მაგრამ ოქტომბრის ძლიერმა ტალღამ  
 მუქთახორების ბატონობა დაასამარა  
 და ებრაელიც მის უკეთესობის ში  
 სხვა ერთან ერთად კაცად მიიღო და გაახარა.  
 უკანასკნელი მისი სიტყვები  
 მუსიკის ხმამ და ტაშმა დააფარა.

ფეხზე წამოდგა გოლიათივით  
 კაცი გულადი და ახოვანი  
 რიხიანი ხმით მშრომელ ებრაელს  
 ძმურ სალამს უძღვნის ბუღუ მდივანი:

ამხანაგებო,  
 ჩქვენც თქვენთან ერთად  
 დღეს ვმხიარულობთ ამ შენობაში  
 ის ვინცა შრომობს  
 და წვლილი შეაქვს  
 ახალ ცხოვრების აშენებაში  
 (ებრაელია ის თუ ქართველი)  
 ჩვენი ძმა არის და ამხანავი  
 ჭირში და ლხინში.  
 ასეთ შენობას ჩვენ ბევრს ავაგებთ  
 ახალ საბჭოთა რესპუბლიკაში  
 ყველა ერს მივცემთ ჩვენ ცოდნის საჭეს

ამოუღებით ერთმანეთს მხარში . . . .  
 და იცვლებოდენ ორატორები  
 სიტყვა ახალი ბევრი რამ ითქვა.  
 ზეიმზე დამსწრე ებრაელთაგან  
 ერთმა მოხუცმა აიღთ სიტყვა:

უკვე მოვხუცდი ამხანაგებო  
 შეგრამ დღეს თითქო ახალგაზრდა ვარ და ბელნიერი  
 რადგან მე ვხედავ რომ თავისუფლად  
 სიტყვას იძახის დღეს ჩვენი ერიც  
 ახალგაზრდობავ, წინ გასწი მედგრად  
 შალლა ასწიეთ სიმართლის ტროშა  
 მეც თქვენთან ერთად დამკვრელის სახელს  
 ვამარჯვებით და შრომით შევმოსავ.

და მე ვიცინი, რომ ეს მოხუცი ელიაუა  
 წინდებს რომ ყიდდა მოქრძალებით მტვრიან ქუჩაზე  
 დღეს კი თამამად თვითონვე იწვევს  
 ახალგაზრდობას შეჯიბრებაზე.  
 ვაშა ამ მოხუცს—ვაშა მომავალს  
 ახალ თაობას  
 ვაშა ამ საქმის დამწყებ ამხანაგს  
 კულტურისა და შრომის მეგობარს.

---

## ს ა თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

თებერვლის საზეიმოდ  
მოვალთ წითელ დროშით,  
და ამაყად მოვიმღერით,  
ხალხთა ზღვასებრ ბრძოში...

უთვალი მიღწევები  
ხელთ გვაქვს ებრაელებს  
და ჩვენს წინსვლას, ჩვენსა ლტოლვას-  
რაღა შეანელებს...

გოლიათურ გამარჯვებებს,  
ამკობს შრომის ალი,  
ჩვენს ხელთ არის ჩვენი ბედი  
ჩვენი მომავალი.

როცა კიდევ ცეცხლის ალში  
იყო საქართველო  
ებრაელმაც ტანჯვის ალში  
გაიტანა ლელო.

დღეს როს ბრძოლამ გაულიშა,  
იგრძნო შრომის ალი,  
წითელ ლაშქრის ნებისყოფას,  
ამკობს თებერვალი.

ვინ ალირსდა, რომ ებრაელს,  
ჩარჩ-ვაჭრობის გარდა  
თებერვლამდე აეხადა  
კულტურისთვის ფარდა.

დღეს კი შეპქმნა ებრაელმა,  
კულტურული კერა,  
საღაც ძველი ყოფის ნაშთი  
გარდიქმნება მჯერა.

## მუსიკა ჩალს

როს მოგონება გადაგიშლის ხსოვნის ნაწერებს  
და გულს გასთიშავს უნუგეში შავი ზმანება  
ო, მაშინ გრძნობით დასერილი ბრძოლების ველი  
ოქეანულ თვალებს სიზმარივით მოელანდება.

როს წინაპრები ცეცხლის კოცონს შიშით გინობდენ  
რომ რელიგია გამუდმებით გულით გეზიდათ  
და შეუპოვრად ულმობელი მყაცრი სასჯელით  
დაისჯებოდა ვინც დაგმობდა რწმენას ზეციდან-

მაშინ ცხოვრება ბრწყინვალებით მათვის სუფევდა  
თქვენ კი რჩებოდით შეუგნებლად ბრმა იარალი  
და საიქიოს მოლოდინში გაზრდილი სევდა  
ხდებოდა მარად უწვდენელი ამაყი ლალი...

და ეს დრონი კი მათ სიხარულით თურმე ავსებდა  
რომ მათვის იყო ეს ქვეყანა დამონებული  
ეგონათ თითქოს თქვენ ბუნებამ მიტომ დაგსახათ  
რომ ყოფილიყოთ ბერივნი და გაუგებელნი.

შაგრამ როდესაც აბობოქრდა შურის ძიება  
და პროლეტარმა ხელში იგდო ძალა-უფლება  
შშრომელთა მძარცველთ მღერვარების თავზარი ეცათ  
პრძოლის დევიზათ რომ გვესტურია შრომის უფლება.

დღეს უდრეკ ნებით ებრაელთა მუშა ქალებმა  
წინ წაიყვანეთ გამარჯვებით ცხოვრების ჩარხი  
და ლარებკომაც რელიგიის ძეველ ნამსხვრევებზე  
ავიგოთ დიად მიზნებისთვის კულტურის სახლი.

და აწ კი როცა ცეცხლში დასწვით მონობის თაღხო  
 როცა ცხოვრებამ გაგილიმათ ცოდნით წიგნებით  
 ქვლავ გამარჯვებას იზეიმებს მშრომელი ხალხი  
 და რელიგიას ზურგს ადრეკავს სრული შეგნებით.

მაშ ქვლავ წინ გასწით უმეცრებას ახალეთ ფარდა  
 ცხოვრების ზღვაზე დაუუფლეთ შეცნიერებას  
 და ბრძოლის ველზე უწმინდესი შრომისა გარდა  
 სრული შეგნებით მოიპოვეთ ბედნიერება.

---

## ახალი ცხოვრებისაკენ

კვირა დღეა, სალდათის ბაზარზე უთვალავი ხალხი ბუზ-ფუტკარი-რივით ირევა.

ვის გინდათ, რომ აქ არ შეხვდეთ: ქართველ გლეხს თუ ნათავადარს, სომებს და ებრაელ ვაჭარებს თუ შორეულ რუსეთიდან ჩამოსულ გლეხებს, არც ოქროს კბილებიანი ქურთები აქლა კურტნით ზურგზე, თავიანთი ცოლებით, რომელთაც წითელ-ყვითელ გრძელ კაბეჭზე სხვადასხვა ფორმის სადაფის ფოლაქები აკერიათ. ვაჭრობა გაჩაღებულია-

ფართლის მოვაჭრებს, ფართალი უბეში აქვთ დამალული და რაც შეიძლება ცდილობენ ბაზრის აგენტს და მილიციელებს არ დაენახონ.

ვაჭრობაში ცხარე შეჯიბრი აქვთ გამართული.

— ქალიშვილო! აი ეს ჩითი, ისე დაგამშვენებთ, რომ უეჭველად სტუდენტი შეგიყვარებთ!

— ბაბუშკა, სუდრისათვის მიტკალი მოგყიდო, არ გინდათ?

— იოლდაშ, იაშში მალ დურ ალ!

— ახპერ ვერცრუ, შატ ლავა კუტორა!

— მაღამ, ვაზმი ხაროში ტავარ, ტოლქო ტიბე პრადამ ჩემმა მხემ! ბაზარი, გამოყრუებულია, ასეთი წამოძახილებით. გამყიდველები. ათას ნაირად აწონებენ თავიანთ საქონელს მუშტარს. ათჯერ დაუკლებენ, ოცჯერ დაუფიცებენ და ვიდრე არ მიყიდიან რამეს, ხელიდან არ გაუშვებენ ხეირიან მუშტარს.

ამ ახალგაზრდათა შორის თითქმის ყველას ყურადღებას იცყრობს ცხრამეტ—ოცი წლის ლამაზი ჭაბუკი, რომელსაც სამხედრო ფორმის ქული ხუთქიმიანი ვარსკვლავით და ძეირფასი ბეწვის პალტო სრულიადაც არ ამზგავსებს ვაჭარს. მაგრამ, ეს ახალგაზრდა მუდამ ბაზარშია.

ისიც ვაჭრობს მხოლოდ ყველასთან კი არა. ის თავის მუშტრებს არჩევს და გადარჩეულებსაც ახარისხებს. მან იცის, ვის როგორ მოექცეს. ზოგს ათ მეტრს, თვრამეტ მეტრად მიჰყიდის, ისიც ნაკლებ ფასებში, რაღაც სახლიდან გაჭარვების გამო აქვს გამოტანილი. ზოგს მიჰყიდის, ფულს წართმევს და მეტე უკან დაუბრუნებს (მხოლოდ ნახევარს), რაღაც საქონელი ამხანავისა და შეიძლება იმ ფასში არ მისცეს. რამოდენიმე წუთის შემდეგ, მყიდველი განახევრებულ ფულს ითვლის და გამყიდველს დაექებს, მაგრამ გამყიდველს მიწა ჰყულაპავს და ცა იტაცებს.



ზოგს კიდევ, ვინც არიფი და ხამია — „უგროზისკების“ და შეგვეტუტების აგენტად მოევლინება და დიდის ხათრით და გაფრთხილებით გაუშევებს ცოტაოდენი გასამრჯველოს მიღების შემდეგ.

დღეს მისი საქმე ძალიან დათარსულია. დილიდანვე ვერავის წააშე-და და აგერ უკვე ათი საათი ხდებოდა.

— აგერ ესენი, მგონი არიფები არიან. როგორც ეტყობათ, აჭარელები უნდა იყვნენ. გამყიდველი, მათ ჯერ უკან უდევნა და ყური დაუგდო მათ ბაასს.

— ქამალ, ამ ორმოცდაათ თუმნის ფართალს ვიყიდი, დანარჩენ ოც თუმანს კი შევინახავ. ჩემს გულოს, ერთი ქალაჭური ფეხსაცმელი მინდა ვუყიდო.

— მეც, ჩემო ჰასან! სამოცდაათ თუმანს ფართალში მივსცემ. სახლ-ში ყველა ნახევრად შიშველია.

— ეგრე, ეგრე ჩემო ქამალ! ეხლა უი ერთი დავტრიალდეთ და კო-ხტა, კოხტა ფართალი ვიყიდოთ, იქნებ სახლი გავახაროთ.

— ფართალი ხომ არ გინდოთ ძმობილო? კარგი ლამაზი ჩითი მაქვს იაფად მოგცემ, მიგირს და იმიტომ ვყიდი თორჩებ ამისთანა რამეს, კაცი როგორ გაიმეტებს სახლიდან გასასყიდათ. — და უბიდან მართლაც ლამაზი ჩითი ამოილო.

— რა ღირს ძმობილო?

— მე, ვაჭარი არა ვარ და აბა რა ვიცი. ბაზარზე ექვს მანეთად ყიდიან. მე კი ხუთად მოგცემ.

— არა ხუთი ძვირია, ოთხი იყოს.

— თქვე კაი კაცებო გაჭირვებულს რომ ნახავთ ფეხი კი არ უნდა დაადგათ. ოთხნახევარი, ჰა!

— კარგი დათვალე, — უთხრა ჰასანაშ.

— სრული თვრამეტი მეტრია, თუ მენტობით. თუ არა და, აპა და-თვალე; და გამყიდველმა ოსტატურად ამოიდო ნაჭერი ილიაში. ერთი კუთხე დაიჭირა და დაიწყო თვლა, მართლაც თვრამეტი გამოდგა. მერმე ერთი კოხტად შეათამაშა ხელში, რომ მუშტარს სიგრძისთვის შე-ეხედა და ეჭვი არაფერი შეეტანათ. თვალის დახამხამებაზე გააცვია და განგებ აქეთ იქით მიმოიხედა, ვისომ მილიციელი დაინახა და ცოტა შე-შინებულმა უთხრა:

— აბა ჩქარა! ჩქარა, მილიციელი წაგვართმევს — და განვეული ნაჭე-რი ტომარაში სწრაფად ჩააგდო. ტომარა, თავის ხელით ამოსდო ჰასა-ნას ილლიაში. ამ დროს, ქამალამ დათვლილი ფული მიაწოდა გამყიდვე-ლს. გამყიდველმა დანარჩენ ფულსაც შეავლო თვალი და მყიდველებს უთ-ხრა:



— თუ კიდევ გინდა რამე, იგერ ამხანაგს აქვს და გაყიდვინება სიკეთეს გვიზამმაშინ დაგიმაღლებთ — უთხრა იაფათ ყიდვით წახალისებულმა ქამალამ.

გამყიდველი სადღაც გაქრა. მსწრაფლ ისევ იმ ადგილას გაჩნდა და მანამ არ დაანება თავი მყიდველებს, ვიდრე ჰასანას ხუთი თუმანი და ქამალას, გულოს ფეხსაცმელებისათვას შენახული ოცი თუმანიც არ დაახარჯვინა.

— მე თქვენთვის გეუბნებით ძმაო. ფული დაგეხარჯებათ, საქონელი კი შეგრჩებათ. ეხლა ზამთარი მოდის, საქონელიც გაძვირდება და თქვენც ჩამოსვლა გაგიჭირდებათ.

— გმაღლობთ! გმაღლობთ, მმობილო. ეუბნებოდა ნასიამოვნები ქამალა და გამყიდველი, კვლავ სადღაც გაქრა.

\* \* \*

— იოსეა, როგორ არის საქმეები? ამაღამ ერთი ხოშიანად, ჩავასხათ თუ არა?

— ვა, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ! დღეს ღმერთმა, ორი ისეთი აქარელი მწყემსი გადმომიგდო, რომ ვაჲ, ვაჲ! ვაჲ... ორი კვირა, სულ ზურნითა და ღოლით უნდა ვიქეიფო, ვაჲ! ასი თუმანი შუტკა ხომ არ არის? და თუ ზარმაც არ მიღალატა, ჩემი საქმე აი ასეა, — და მარჯვენა ზელის ცერი რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჭიმა, მარცხენათი კი თითქოს მარილს იყრისო.

— მერე შენი განათლებული გოგოც, ერთი სიტყვით, შენი საქმე ყაიდაშია.

— მაიცა კაცო! ერთი კიდევ დავტრიალდე, იქნებ ვიშოვო რამე და გამყიდველი კვლავ სადღაც გაქრა.

— უყურებ, პალოშ მაგ ურიას? მთელი ბაზარი ხელში უჭირავს და თავი ყოჩათ მოაქეს.

— ეს თუ ერთი გემოზე დავითერი მერე მე ვიცი, მაგის გამოფაშვა არ გამიჭირდება, დლევანდელ ას თუმანს კი არ შევარჩენ, ან უნდა მოუგო ან არა და ძალით წავაროთმევ.

— მაშ მოდი, იცი რა ვქნათ. საღამოზე, მე მას ანჩხატის საყდრის ეზოში მოვიყვან, ერთი ათი თუმანი მაქვს, თამაშს დაუწყებ, თუ მოუგე ხომ კარგი, თუ არა და შენ მთვრალი მოხვალ, დანას დაატრიალებ და, ურიაა, აბა რა შეუძლიან? რაც აქვს იქვე დაპყრს, თუ არ დაყარა და მევიცი.

— მაშ ეგრე. მე წავალ ეხლა და სერიოუკასაც შევატყობინებ, თუ გინდა შენც წამოდი.

— წავიდეთ, მაგრამ სად იქნება ეხლა ნეტა?

— სად იქნება? — ანჩხატის ჩასახევეში აგორებს. — და ორივე მუხრანის ჩილით ანჩისხატის ჩასახევეისაკენ წავიდა.

ანჩისხატის ჩასახევეშის ერთ კუთხეში, რამოდენიმე ახალბაზრდა ბიჭი ჩამჯდარიყვენ. შეუ გულში ბლომად ფული ეწყო. სულ ხუთ-ხუთ მანეთიანები და თუმნიანები. ორი მათგანი ცალფეხზე დაჩოქილიყვნენ და თავავანწირვით აგორებდენ კამათლებს. მაგრა იცემდენ ხელს მარცხენა მუხლზე, რომელსაც ტყლაშა-ტყლუში გაჰქონდა და სისხლივით გაწითლებულიყო, მაგრამ ამას არც ერთი მოთამაშე ყურადღებას არ იქცევდა.

რა დროს მუხლია, როცა ზარი არ მოღის.

— შაშუბეშ, ზარო! პა ეგ არი, შე... პს, ერთი შენ რომ ყოფილიავრას აპირებდი, ზარვალზე ხომ არ გაგორებდი.

— ზარი ერთი შაშები! გაიძახის ეხლა მეორე გულდაწყვეტილი.

— აბა ერთი, ჯუცე. ოოო ეგ არის! აბა გაიხადე-უთხრა მომგებმა მის პირდაპირ მჯდომ, წამგებს, სიმწარასაგან სახე დაღრეჭოდა და რაღა ცაზე მწარეთ ფიქრობდა.

გაიხადე! გაიხადე შე ურია—დაუმატეს ახლად მოსულმა პალოშამ და მისმა ამხანაგებმა.

— გაიხადე ური... ჩქარა. დაუძახეს აქეთ იქიდან. და წამგებმაც, გაჯავრებულმა გაიხადა აბრეშუმის ხალათი და მისუა მომგაბს

— ოჯ სერიოუკა; შენთან მოვედით, პატარა საქმე გვაქვს. ცოტა იქით წამოდი და გეტყვით. სერიოუკამ მოგებული ფული აპირიფა და გაჰყვა. მივიდენ, იქვე მდგომ ბოძს აეყუდენ და დაიწყეს მსჯელობა.

\* \* \*

— პა, თუმანში ფეხსაცმელი, სთქვა შამაიყმ, რომელმაც ხალათი წააგო და ეხლა ახალი, ყვითელი ფეხსაცმელი გაიხადა.

— თუმანი? ძვირია ური. თუ გინდა, ხუთმანეთში გაგიგორებ.

— არა, შვიდში აგორე პა!

— პა, ვაგორებ, მოვიდა დუშაში! ესეც დუშაში. აბა ეხლა, რაზე გავაგოროთ? ზარვალზე?

შამაიყა დალონდა, ასე სამარცხვინოდ, არასოდეს წაუგია, ვერც საქმეზე წავა, აბა როგორ წავიდეს. პერანგით და ფეხშიშველა ყველა შეატყობის „კეთილ ანგელოზობას“.

ბრაზი ახრჩობს, მაგრამ რა პქნას? უიმედოთ ჩაიქნია ხელი და აპყვა მტკვრის ნაპირებს, მწარე ფიქრებით. თითქოს ამ წაგებამ, გამოალვიდა თვრამეტი წლის ახალგაზრდა. მხოლოდ ეხლა, დაუფიქრდა თავის გინაობას და რაობას. მხოლოდ ეხლა ჩაიხედა თავის თავში და სირცხვილმა.

წუთით მის ძარღვებში სისხლის დენა შეაჩერა და ჭარხალივით გაწყობა  
თლდა.

— მას თავი ჩაექინდრა და ნელა მიაბიჯებდა მზისაგან გახურე-  
ბულ ქვიშაზე; ცოცხლდებოდა: ჯერ დედის სახე, მერე მამის და დაი-  
წყო მოგონებანი მისი მწარე წარსულიდან. მას წარმოუდგა ის დრო-  
როცა ის ათი წლის იყო. მისი მამა, ხუთშაბათ დღეს, კახეთის სოფლი  
დან ჩვეულებრივზე უფრო მეტად დატვირთული დაბრუნდა. მძიმე ბარგის  
ზიდვისაგან ოფლში სცურავდა. დედამ მაშინვე საცვალი გამოუცვალა  
და ლოგინში ჩააწვინა. მამა, ლოგინიდან მხოლოდ მაშინ ააყენა, როდე-  
საც მიმეგზავრებოდა იმ ქვეყნად, საიდანაც აღარავინ დაბრუნებულა.

მამა გაცივდა და გარდაიცვალა.

აქედან დაიწყო მისი ცხოვრების, მწარე წუთები, თორემ მანამდე,  
რა უშავდა? ცხოვრობდენ ისე, რომ ქვეყნის წყალობა არასფერი არ  
აკლდათ. მუდამ ხუთშაბათს მამას სოფლიდან ქათმები, კვერცხი და კა-  
რაქი ჩამოჰქონდა. იმავ დღეს, ყველასუერს გაჰყიდდა და მოგებაში, ერთ  
ქათამს შაბათის დასახასებლად დააკლევინებდა. შამაიკას კი, მუდამ ჩო-  
ყელში სატინის ხალათს და შარვალს უკერავდენ და მამამ ფესახისთვის  
ლაქის კიზეროკიანი ქუდიც კი უყიდა. მამა, შამაიკას თავის იმედს  
უძახდა, ძალიან უყვარდა. ერთხელ სოფლიდან პატარა მელიაც კი ჩამო-  
შევანა.

— ეს, რა კარგი იყო ის დრო, როცა დედა შაბათს, გახშმის შემ-  
დეგ, ხილს შემოიტანდა და ბავშვებს ჩამოურიგებდა. ან ის დრო, როცა  
შვიდ ფერობაში, ტომრით სავსე ტკბილეულობას დაურიგებდათ და თან  
უხსნიდა ამ დღესასწაულის მნიშვნელობას. დედა შამაიკას ძალიან უყვარ-  
და და მისი ხათრისისთვის ხახამთან თორის სასწავლებლადაც კი და-  
დიოდა. ხახამი შამაიკას ჭირივით ეჯავრებოდა. არაფერი იყო მასში კრ-  
გი. სულ თავისთვის ცხირში დუღუნებდა და ცემით იმუქრებოდა. ხში-  
რად ყურებს უწევდა და ცემდა კიდეც. ვიდრე რომ ხოდეში დადგებოდა,  
ფულს ითხოვდა და ვინც თრი დღით აღრე მაინც არ მოიტანდა, სა-  
სწავლებელიდან ითხოვდა.

მაგრამ ერთ დღეს, მამამ, ის სკოლაში მიაბარა. ამის გამო, მის სი-  
ხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რა სჯობდა იქ სიარულს? ტოლი ბიჭები,  
სიცილი, თამაში, ხუმრობა, მასწავლებლების თავაზიანი მოპყრობა და  
მშობლიური მზრუნველობით ხელის გადასმა, ლამაზ სურათებიანი წიგნები  
და ფრადი ფანქრები. შამაიკას ნიჭს ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა.

სამ წელიწადში მეოთხე ჯგუფს მიაღწია. ყველა მას აქებდა, ყველა  
მას უწინასამეტყველებდა, რომ ექიმი ან ინჟინერი გამოვიდოდა.



— მაგრამ, ეჭ, შამა მოყვდა და გაჰქირენ ტკბილი დღეებში. სიკვდილის შემდეგ, თუ რამე ჰქონდათ ოჯახში, ზოგი დასაფლავებას მოუნდა, ზოგიც ვალებში დაარიგეს. დედა მისმა, ლოცვიდან ნედაბის მიღვდას მრეცხაობა ამჯობინა. მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. სიკვდილმა რომ ოჯახში ფეხი შესდგა, ისე აღვილად ალარ გავიდა. ჯერ ულ უმცროსი და წაიყვანა — მერე მასზე უმცროსი ძმა.

ვინა სთევა სიკვდილი ლამაზებს არჩევსო? მაშ, რმტომ შამაიკა არ წაიყვანა. ის ხომ გაცილებით ლამაზი იყო თავის და-ძმაზე. მაგრამ პედა ალბად ასე უნდოდა.

შამაიკას დედა შვილების სიკვდილის ჯავრმა წელში მოსტეხა. სახუ-ზე და შუბლზე მოხუცებულობის ნაოჭები გაუნჩდა, თმაში ბლომათ თეთრი გამოერია. დედა თანდეთინ სუსტდებოდა და შრომის უნარს ჰქარგავდა, რამდენჯერ რეცხვის დროს გობის თავზე შეღონებია გული. სახე ისე გაუყვითლდა თითქოს თაფლის სანთლისაგან ჰქონდა ჩამოსხმული

ავადმყოფობის გამო დედამ სარეცხის რეცხვას უკლო და ძლივს იმდენს მუშაობდა რომ ლუკმა პურის ფული ეშოვა.

ამის გამო მათ სახლის ქირა ველარ გაღინადეს. გაჯავრდა მათი სახლის პატრონი, მდიდარი მედუქნე შალომი, ისინი ოთახიდან გამორევა. მერე ლმერთის გულის შიშისათვის „შეიცოდა“ და სამაღლოთ თვეში ექვს აბაზათ სარდაფი დაუთმო. განსაკუთრებით ამის შემდეგ გაძლიერდა დედის ავადმყოფობა.

შამიაკა ბავშობიდანვე, აზრიანი და მოხერხებული იყო. და როცა ერთხელ გზაში ვერცხლის აბაზიანი იპოვნა, მსწრაფლ მოისაზრა, რომ ამით ფული უნდა მოეგო და დედას დახმარებოდა. ფული მაგრა ეჭირა და ხელმეორედ გასინჯვას ველარ ბედივდა, ეშინოდა იმედი არ გამტყუნებოდა.

იქედან პირდაპირ თათრის მოედანზე მივიდა. ორი კონა ჭარხალი იყიდა. სახლში ამოიტანა და დედას მოახარშეინა. მოხარშული ჭარხალი, ცხელ-ცხელი, ებრაელების ქარვასლისაკენ გააქანა, სადაც ჩისუქებული ვაჭრები მუშტრის მოლლიდინში ასეთ ხილს ხშირად შეექცეოდნ.

შამიაკამ იმ დღეს ორი აბაზი მოიგო, უკანასკნელი ლამბაქიც რომ გაჰყიდა, დიდი კაცივით ერთი წითელი თონის პური და ერთი ჩეოვერი ქაშერი ყველი იყიდა ქოვენის დუქნიდან და ცოტა ანაყად ავიდა სახლში.

მისმა ასეთმა საქციელმა დედას სიხარულის ფრთები შეასხა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; ჯერ მან შეილი გულში ჩაიკრა და მაგრად დაჰქოცნა, მერე წინასწარ თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და შვილის მოტანილით დანაყრდა. ალბად დიდიხნის მშეერი იყო,



რომ ასე მაღინად შეექცეოდა შავ პურსა და ყველს. შამაიკა და შეუძლებელი მისჩერებოდა. დედას უცბად ლუკმა პირში გაუჩერდა და რაღაცანე მწარედ ჩაფიქრდა.

ის მიშტერებოდა ნესტიან კედელზე ჩამოკიდებულ თუნუქის უანგიან ლამპას. როდესაც შამაიკამ ჩახედა დედას შემოდგომის დღესავით ნამიანსა და ნაღვლიან თვალებში გასამხნევებლად უთხრა:

— ნუ გეშინიან დედილო, თუ ჭარხალში ვერაფელს გავხდი, მაშინ მეჩისტეობას დავიწყებ. დღეს აკოშვილმა იონამ მითხრა: „დღეში ათ შაურს ვაკეთებო“ ის ხომ ჩემზე პატარაა“ მაშ მე სამ აბაზს გავაკეთებ. მე ხვალვე ჩისტის ყუთს გავაკეთებ, შენ კი ნუ სტირი, ნუ, შეეხვეწა დედას შამაიკა და დამჭერარ მკერდზე მიანდო თავი.

დედას თითქოს შერცხვათ თავის ცრემლის, მსწრაფლ მოიწმინდა.

— ეხლა კი, ზღაპარი მითხარ დედიჯან, მე ჯერ არ მეძინება.

დედამ ნაღვლიანად დაიწყო ზღაპრის თხრობა. ნახევრად ბურანში წასულ შამაიკას კიდევ ესმოდა დედის ბოლო სიტყვები:

— „ეჰ შეილო იქნებ გამჩენმა უკანასკნელი სიცოცხლის სხივი მაინც არ გამიქროს და დიღხანს მიცოცხლოს შენი თავი. გეტყობა ბედნიერი გამოხვალ და ეს მაცოცხლებს მე უბედურს. რიბონო შეხლ ყოლამ შენთვის ჩამიბარებია ეს ჩემი ბიჭი, შენ უშველე მას“. ამ სიტყვების მოსმენაში ჩაეძინა შამაიკას.

— ოჲ. რა კარგი იყო, თუ გინდ ის დრო, რა კარგი. ეხლა კი რა არის შამაიკა.

ურცხვი, ქურდი, ჯიბგირი და ცხოვრებიდან გარიყული.

ეჰ, საწყალო დედა ვერ გაამართლა შამაიკამ შენი იმედი.

\* \* \*

ასე გავიდა ორი კვირა. იჯდა შამაიკა დახურულ ბაზარხანის თავში, თავზე მამა მისის ძველ ქუდ ჩამოფხატული და არახუნებდა ჩოთქებს ყოფზე თან განუწყვეტლივ გაიძახოდა.

— აბა ჩისტი, ბლისტინ! და გამვლელ გამომვლელს ეხვეწებოდა. გავწმინდოთ, ძიაჯან, მტვერი ავილოთ! იაფათ! რაც გნებავთ ის მომეცით!

აგვისტოს სულშემხუთველი სიცხიანი დღე იყო. შამაიკა თავის აუთით იჯდა ბაბასხანის თავში. მოსარულე ხალხი გაცოტავდა. შუა დღეა, მზე ფიცხობს და ალბად ამის ეშინიათ.

შამაიკა ძალიან დაღონებულია, რაღან დედა ძალიან ავათ გახდა. მუშტარიც არავინ არის. მზისაგან ტვინ გახურებულს ჩაეძინა, აიხედა—ეს სადღაც წყლის პირას დგას. წყლის ორივე მხარეს სამოთხისებური ბალებია. შამაიკაც ამ ბალებში ცხოვრობს, დახტის, თამამობს და მხიარულად

იცინის. ერთიც ვნახოთ წყალი მისკენ მოიწევს შამაიკამ კი მოქრაობის უნარი. დაპკარგა. წყალმა უკვე ფეხები დაუსველა და ამავე ტრიუმფაჲ ბარე სიბნელემ მოიცვა.

წყალი უკვე წელამდინ მოადგა იქაურობა კუნაპეტისებურმა სიბნელემ მოიცვა. შამაიკა ვეღარაფერს ხედავს, მხოლოდ გრძნობს რომ წყალში გულ-მკერდამდე შეცურდა. რამოდენიმე წუთიც და დაიღრჩობა. მოძრაობის უნარი დაუბრუნდა, მაგრამ ეხლა ისეთი სიბნელეა, რომ კაცი თვალში წაჩ-რილ თითსაც ვერ დაინახეს. შამაიკა დაიბნა, წყალში თანდათან შესტოპა. წყალს თანდათან სითბო ემატება, წყალი გაცხელდა, ტანს სწვავს. სული ეხუ-თება, ჰაერი აღარ ჰყოფნის. წყალი დუღს, შამაიკას კანი ეთუთქება სიბ-ნელეში ფათურობს, ნაპირს ექებს. მაგრამ უფრო და უფრო ეფლობა. შა-მაიკა იბრძვის კარგად, უკანასკნელი გაბრძოლებაც და... შამაიკას გა-მოეღვიძა და დაუფიქრებლად ანაზდეულად გასწია შინისაექნ.

როცა შინ მივიდა, საშინელი სურათი ნახა. ეხლაც მის გახსენე-ბაზე ერუანტელმა დაუარა ტანში და თმა ყალუშე დაუდგა.

მისი დედა სისხლს არწყევდა პირიდან იქვე მიღებულ ლაგანში. შა-მაიკა კარებში გაშეშდა ჩისტის ყუთით მხარეზე. მერე უცად ყუთი იქვე დააგდო, მირჩინა დედასთან და თავი დაუჭირა. შუბლს რომ ხელით შეეხო, თითქოს გახურებული თონე ყოფილიყ ისე დასწვა. დედამ სისხლის რწყევა შესწყვიტა. შამაიკამ დედა ბალიშზე მიაწვინა, დედამ თითქოს ცო-ტა მოიხედა, თვალები აახილა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა:

— ეჭ, შვილო... მე ვკვდები და შენ გტოვებ... სრულიად ობლად. აი ეს წერილი სირანას დავაწერონე. ბათომში ერთი ძმა მყავს. ისიც ჩვენსებრ ლარიბია... მაგრამ არა უშავს რა, ალბად გიპატრონებს. ეხლა მეტი აღარ შემიძლია... იქნებ კარგი გამოხვიდე და ამ ქვეყნად წამებუ-ლი დელიშენის სული იმ ქვეყნად მაინც აღარ აწამო. ეს თქვა და ერთი ისე მაგრა ამოიკვნესა თითქოს გულიც თან ამოაყოლაო. ამ დროს კარებ-ში მათი მეზობელი სირა გამოჩნდა. ეს გულკეთილი ქალი იყო შამაიკას დედის ერთად ერთი მომვლელი.

სირანს დანახვამ შამაიკა გაამხნვა და წერილით ხელში გამოტრი-ალდა დედის დავალების შესასრულებლად.

მაინც რა კარგი იყო ის დრო, შამაიკას დედას მისგან კარგი კა-ცის გამოსვლის იმედი გაუცრუვდა.

რა კარგი იყო ის დრო, რა კარგი, ეხლა ვინ არის შამაიკა? ურცხვი, ქურდი, ჯიბგირი და ცხოვრებიდან გარიყული. ნეტა მიიღებს მას ცხოვრება?

ვიდრე შამაიკა ოთახიდან კარში გამოვიდოდა, მას სირანას ნალ-ვლიანი ხმა დაეწია.



— მოკვდა საწყალი, მოკვდა საწყალი, — ამ სიტყვებმა შამარტა მოხველი სხეული დაირბინა, თითქოს თავიდან ფეხის ფრჩხილებში დაივი წყალი გადავლესო. ჯერ გაშეშდა, მერმე კი უცბად მოსწყდა ადგილიდან და დაიწყო ხეტიალი ქუჩა-ქუჩა, და ამის შემდეგ ქუჩამ მიისაკუთრა ის.

არც პატრონი ჰყავს, ქუჩაა მისი პატრონი. არც დედა. ქუჩაა მისი დედა და აღმზრდელი. არც მამა, ქუჩაა მისი მამა და მარჩენელი. დიახ ქუჩაა მისი ნათესავი და, ძმა და ყველაფერი, და ისიც ქუჩის ბიჭია. ეს სახელი ზედ გამოჭრილია მისთვის. დედის წერილი სად დაკარგავ ხლაც არ ახსოვს.

\* \* \*

საით შამიკ. ხალათი და ფეხსაცმელი რა უყავი. ხომ არ გაგცარცვეს. ხა... ხა... ხომო... წააგეჭ მერე ეგრე, უნამუსოთ წაეგება ვის გაუგია. ყველაფერი კარგი, მაგრამ შენ რომ რაც გინდა მოგივიდეს ცხვირის ჩამოშევება არ იცი. ეს რა სამი მეტრი ცხვირი ჩამოგიშვია, რაშია საქმე. არა გიშავსრა, ვინ მოგიგო, წამო წავაროთვათ.

— ეჭ, იოსეკა, თუ ძმა ხარ თავი დაშანებე და...

— ჴო, კარგი წამოდი, წამო, და მუჯლუგუნის კვრით წინ გაიგდო იოსეკამ შამაიკა. როცა იოსეკამ შამაიკას თვალებში ჩახედა, რალაც უცბად მასზე თავის შეხედულება შეეცვალა. შამაიკა ჩაფიქრებული მიდიოდა, იოსეკაც ჩაფიქრდა, და არც ერთს კრინტი არ დაუძრავთ ვიღრე მოთამაშე ბიჭების ყაყანმა ორივე არ გამოაფხიზლა მწარე ფიქრებიდან. იოსეკას თავში სულ რალაც, ახალი, ჯერ უცნობი აზრები მოუვიდა. ახალი აზრები ძველს დაეჯახენ და ბრძოლა გამოუცხადეს. მაგრამ ეს ფიქრები მალე გაიფარტა რაღან, იოსეკამ მოთამაშეთა შორის ბლომად ფულს მოჰკრა თვალი და მისვლისთანავე დაიძახა:

— აბა, ვინა ხართ ყოჩალი, გამოდით, და პალტოს ჯიბიდან დასტით ფული ამოიღო. ყველამ თვალები, დაათეთა და ფულს დაუწყო ცეკრა.

— აბა, ვინ გამოდიხართ? ჴა, მაიტა ზარები!

— ხუთი თუმანი, ჰყარე, დაიძახა ერთმა.

— ზარო შაშები ან ჯუცე! — ჴა დაიძახა იოსეკამ და შეკვეთილი მზადიყო.

— ესეც ასე. აბა ვინ გამოდიხართ! და მონაგებ ფულებს იოსეკა იხვეჭდა და იხვეჭდა.

— ესეც ასე, აბა ვინ გამოდიხართ! ჯუცე! და არ გასულა რამდენიმე ხანი, რომ ბიჭები ხურდა ფულს გაღმოდიოდენ.



— ესეც ასე. აბა, ვინ გამოდიხართ? ხურდა ფულებიც ჭრელი მოქმედია. დიიწყო მღელვარება.

— რალაც შანსი აქვს მაგ...შეილს, თორემ მაგდენი მოგება ვის გაუგია.

— სწორედ აგორე, სწორედ, აი ეს ხალათი და ფეხსაცმელი, აც მანეთში დაყარე.

— ზაროჯან, დაუშაშ, ესეც ასე, აპა ჩაიცვი, და ხალათი და ფეხსაცმელი იოსკამ შამაიკას გადაუყარა, რომელიც იქვე მუნჯიგით იდგა და ფიქრობდა, ფიქრობდა ვინ იცის რაზე. ხალათი და ფეხსაცმელი, უსიტყვიდ ჩაიცვა. იოსკა წამოდგა და წავიდა. ყველამ ბოროტი და მუხანათი თვალები გააყოლეს. ქაჩალამ კი, ბოლმით ალავსემ, მაგრად მოკუმული მუშტი, გულში დაირტყა, თითქოს ემუქრება ვისმესო. ეს იმიტომ რომ მან ყველაზე მეტი წაგო.

ქაჩალა ის იყო ადგილიდან დაძვრას აპირებდა, რომ მისკენ მომავალი პადოშა შენიშნა.

— მაშ ასე. ჩვენ კიდევ გვინდა მეოთხე ვინმე და ქაჩალაზე უკვიესი კი არავინ მეგულება.

— ქაჩალ, მოდი აქ.—უთხრა პადოშამ ქაჩალას და იქვე ახლო მდგომ ბოძს აეყუდა.

— ვა! აქ არა ვარ, სთქვი რაც ვინდა,—დაიყვირა ქაჩალამ გაჯავრებულად ხმა მალლა. ამ ყვირილზე მალლა ფრთხილად ფანჯარა გაიღო და მთვარესავით გაბადრული ლამაზი სახე გამოჩნდა. ეს ჩვიდმეტ-თვრა-მეტი წლის ახალგაზრდა ქალიშვილი იყო. მან ქალურის ცნობის მოყვარეობით, აათვალ-ჩათვალიერა ბიჭები და მათ საუბარს დაუგდო ყური.

— ვა, მოდი დაელაპარაკე ამისთან... ს... ჩვენ სეკრეტინი საქმე გვაქვს, რა გალრიალებს,—უთხრა ბადოშამ. ამ სიტყვებმა ქალიშვილი უფრო დააინტერესა და ყური აღარ მოუშორებია მათვეის.

— ჯერ ეს მითხარი, რასაც გეტყვით ყაბულ.

— ჯერ მითხარით რა გინდათ.

— ვა, გებნები თუ ყაბულ, ხომ კარგი, თუ არა და ჯანდაბას შენითავი.

— რამე რომ იყოს და იმ ურიის ჯავრი იყარო ეხლა, რომ მოგიგო, ყაბულ?, —განუმარტა მეორემ.

— ყაბულ, ოლონდ მაგ...ის ჯავრი ვიყარო და.

— ხო და შენ რომ მოგიგო, იმ ფულის მეტი კიდევ ბევრი აქვს, ამაღამ სერიოუკას დაუწყებს თამაშს, თუ მოუგო ხომ კარგი, თუ არა და... მაშინ ჩვენ ერთი ზორბათ დაყტრიალდებით და ის ფულიც ჩვენი გახდე-



ბა. გესმის, მაგრამ ერთი კი ზორბად შევზარხოშდებით სტეპუნის ელექტრონულ ში, ყაბულ?

— ყაბულ ჰა, რაც იყოს იყოს.

და დაიშალენ იმ ფიქრით რომ მოსალოდნელი ჩხუბისათვის დანები კარგად დაელესათ ყოველ შემთხვევისათვის.

\* \* \*

იოსეკა... იოსეკა... აა! იქნებ ის, მაგრამ ის ხომ სტუდენტია. აა, რა სულელი ვარ, ჩემი იოსეკა, კამათლების თამაში და ამათი ამხანაგობა? როგორ ზეაძლება, ნეტავ რათ არის რომ ყველა იოსეკა მგონია, მხოლოდ ის... ეს აღნად მეტი სიყვარულისაგან მომდის, მაგრამ რომელ სიყვარულ-ზე ვლაპარაკობ. მე ხომ ის მხოლოდ გავიცანი და ისიც შემთხვევით, ის ღამე... რათ არ მშორდება მისი ხსოვნა. აქ ახალგაზრდა ქალიშვილი ვაი-ზმორა ჭალური ვნებიანი ზმორებით და მიეცა ტებილ ოცნებას. ცოტა ხნის შემდეგ მოუფიქრებლად ხმა მაღლა წამოიძახა.—არა, მე მაინც აუცი-ლებლად უნდა ვნახო რომელი იოსეკა მოვა ამაღამ სათამაშოდ.

\* \* \*

იოსეკა სასეირნოდ გამოწყობილი, წყლის დუქანთან სდგას, ალბათ ვიღაცას ელოდება. გამელელ გამომგლელ ლამაზ ქალებს ხანდახან თითო ოროლა სიტყვის გადაუგდებს.

— ქალიშვილო, დედაშენს სიძე არ უნდა?

— სიძე როგორ არ უნდა, მაგრამ შენისთანა ხულიგანი კი არა— პასუხობს ქალიშვილი და მიდის.

იოსეკას ეს სიტყვები აფიქრებს. „ხულიგანი კი არა“, ნუ თუ მე მართლა ხულიგანი ვარ,—ფიქრობს იოსეკა.

— რამ ჩიგათვიქრა ჩემო იოსეკა, შეეკითხა იოსეკას არონი, რა ეგრე გაკვირვებული მიყურებ, თითქოს არ მიცნობდე.

— არა არონ, მე ისე...

— სხვა, როგორა ხარ, როგორც გხედავ არა გიშავს რა, ჩემზე უკე- უკეთესათ გაცვია და არონმა მისი კოვირკოტის ტანსაცმელი ერთხელ კიდევ შეათვალიერა. ჭამ, სუამ, და დროს ატარებ.

— კარგია, კარგი, ჩემო ძმაო, დროს გატარება, მაგრამ შენ რომ გაჭრობას თავს არ ანებებ, ეგ კი არ მომზონს. შენ ეხლა ყინულის ფეხებ-ზე დაგეხარ. იცოდე მალე სულ მალე მხურვალე მზე ამოვა, შენი ეგ ფეხები დაღნება და კუპრის მორევათ იქცევა! არ დაგინდობს და შეგიწირებს.

იოსეკა დამუნჯებულიყო

— სირცევილია, იოსეკა სირცევილი. აბა მოდი ღარებკომში, იქ ნა-



ხავ: ოქონ წვერა მოხუცები ქურასთან და ლაზგასთან მუშაობების შემთხვევაში ახალგაზრდა ხარ. კიდევ გიმეორებ, მაგ გზით სიარული დაგლუბავს.

— რა ვქნა არონჯან, მე აღარ შემიძლიან სხვა ნაირად ცხოვრება. როგორ ვიცხოვრო, თქვენი ათი ხუთმეტი თუმნით.

— სხვამ რომ სთქვას კიდევ არასფერი. მაგრამ შენ როგორ იძახი ამას, შენ, რომელმაც ჩვენთან ერთად ეჭვსი წელიწადი ისწავლე. გახსოვს, ჯგუფში პირველი მოწავეები ვყყავით. შენი თავი, შენ კი არა, მამაშენ-მა დალუბა. ვთქვათ მაშინ პატარა იყავი და მამას ემორჩილებოდი, ეხლა, ეხლა ხომ შენი თავის ბატონ-პატრიონი შენ თვითონვე ხარ? რატომ არ გინდა მაგ ყოვლად ბინძურ ხელობას თავი დაანებო?

— ენა უძვლოა, ყველაფერს იტყვის, რატომ არ მინდა, აბა რა ვი-კი? თქვენ წინ გამისწარით და დამშორდით. ეხლა მე თქვენთან საერთო არაფერი მაქს, ვერც ცოდნით შეგედრებით და ვერც საქმით. ბაზარი ჩემი განუყრელი მეგობარია. ბაზართან ბევრი მაქს საერთო: ფული, მო-გება, ამხანაგები და მხიარული დროს ტარება. ყველაფერი...

— შენ ეგ ყველაფერი უნდა დასთმო მალე. სულ მალე ჩვენთანაც გაგიჩნდება ბევრი რამ საერთო. ეხლა ჩემთან წამოდი, ლარებკომში მი-ვიდეთ, იქ ამხანაგებს გაიცნობ, ჩვენ დაგეხმარებით, რამე შესავერ სა-მუშაოს იშოვი. იარე ჩვენთან კვლავ ერთად ვიმეცადინოთ. მე რომ შენი ნიჭის საქმე ვიცი არა გიშავსრა, მალე დაგვეწევთ. მაშინ ხომ გექნება ჩვენთან საერთო. მაშ წამო, და არონმა იოსკას ხელი ხელში გაუყარა, თან კომინტერნის ქუჩისაკენ იწეოდა.

— არა არონ—დაიწყო იოსკამ ყოყმანობა — ეხლა ერთ ამხანაგს ველოდები, ძალიან საჭირო საქმეზე მივდივართ, ხვალ იყოს. ხვალ შემო-ვივლი შენთან სახლში და იქ ყველაფერზე დაწვრილებით მოვილაპარა-კოთ. სთქვა იოსკამ რაღაც უმიერდოთ.

— თუ აუცილებლად მოხვალ ძალიან კარგს იჩამ. მთელ სალამოს სახლში დავრჩები და დაგელოდები, მხოლოდ არ მომატყუო.

— არა არონ აუცილებლად მოვალ. არონმა იოსკას თვალებში შე-ხედა თითქოს უნდოდა ეთქავა: ვიცი არ მოხვალ და მერე კი ინანებო:

— მაშ კარგი. ეხლა კი მშვიდობით, და არონმა მაგრა ჩამოართვა ხელი.

არონი მალე მოსეირნე ხალხის ტალღებში ჩაეფლო. იოსკამ თვალი გააყოლა, ფიქრობს: მოდი გამოუდგები, დავეწევი, ვეტყვი წამიყვანოს, მასწავლოს, გამაცნოს ამხანაგები და მიშოვოს სამუშაო, მაგრამ იოსკას სცხვენია იქ მისვლა. სირცხვილის მიზეზი კი თვითონაც არ იცის რა არის და ყოყმანობს, ჯერ ვერ გადაეწევეტა როგორ მოიქცეს.

არონი კი მაინც კარგი ბიჭია. თქმა არ უნდა, მას იოსეა მარტოვის არონი კარგის მეტი არაფერი არ უნდა, არონს იგი ბავშობიდანვე უყვარდა, სკოლაში ერთად სწავლობდენ, კარგი მეგობრები იყვნენ და მოდელიც ერთად გაჟეოდეს, რის გამოც მათი მეგობრობა სკოლაში, დიდშა თუ პატარამ, მასწავლებელმა თუ დარაჯმა, ერთნაირად იცოდენ და ფიქრობდენ, რომ ეს ორი ბავში სიკვდილამდე მეგობრებად დარჩებოდენ ..

ბაგრამ ცხოვრების ჩარხის ტრიალმა სულ სხვა მიმართულება მიიღო. იოსეა ბაზარმა მიითვასა. არონმა კი სწავლა განაგრძო, და დღეს ის კარგ ადგილას მსახურობს და ებრაელებშიც ყველა იცნობს, როგორც ნასწავლასა და ქეთილსინდისიერ ახალგაზრდას. იოსეასაც უნდა ისე იცნობდენ, და არა ისე, როგორც დღეს, როგორც ვაჭირს. მას ეს სურს და მიახწევს კიდეც რომ არონს დაუჯეროს. მერე ბაზარს რა უყოს? ყოყანობს იოსეა და ქანაობს ბაზარსა და ღირებკომს შორის. ერთი მაგარი ბიძგი კიდევ და იოსეა სამუდამოდ თავს დაანებებს ბაზარს და გადავარდება ღირებკომის ბაზარში. იოსეას ბრაზი ილჩქობს და მაინც გაჯავრებული ანჩისხატის ჩასახვებისაკენ წავიდა.

\* \* \*

თბილისში მშენიერი სალამო დგებოდა. ქვეყნის მნათობი ემშეიდებულდა დედამიწას დროებით. ისე ძალიან უყვარს მზეს თბილისი რომ ჩასვლის წინ კიდევ რამოდენიმეჯერმე გადმოხედა თიქოს ეუბნება: მშვიდობით, ჩემო საყვარელო, ხვალ დი ლამდე, ეხლა კი სხვაგან მეჩქარება.

სექტემბრის შუა რიცხვები იყო. მტრედის ფერი ატმოსფერით, შემოსილი მტკქრის ნაპირები და აჩისხატის უბანი ლამაზი, ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენდა. ეს მშენიერი ბუნება, ეს მტკქრის დუღუნი. რამდენ სულდგმულს ილუძრავენ ამქვეყნიურ, სიცოცხლის სიყვარულს. ეს ბუნების ძლიერნი ძალი რამდენს გაახვევს ტკბილ ოცნების ფურცლებში და გადააგდებს სამოთხის წალკოტში. რამდენი შეყვარებულთა გული დაჭრილი მტრედივით დაიწყებს ფრთხილოს. ალბათ ახალგაზრდა ქალიშვილიც ამ ბუნების მშენიერებამ მოხიბლა. ჩიცვა და გასასეირნებულიდ იმ ქუჩით წავიდა საიდანაც იოსეა უნდა მოსულიყო. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ვერც კი მოასწრო, რომ იოსეას შორიდანვე შეავლო თვალი. მას ულვაზები მოხდენილად ჰქონდა გაკეთებული. თხელი ვნებიანი, ტუჩების ქვეშ ოქროს კბილი კიაპობდა.

— გამარჯვება ნინა;

მოწიწებით ჩამოართვა ხელი იოსეამ ახალგაზრდა ქალიშვილს, და ზელის ჩამორთმებაშიც კი იმდენი თავაზიანობა გამოიჩინა, რომ ნინას მასზე აღძრული ეჭვები სრულიად გაუფანტა.



ეროვნული  
გილდიანი

— გაგიმარჯოს იოსე! — თავაზიანათვე მიუგონ ნინამ.

გილდიანი

— საით მიბრძანდებით ნინა., მშვენიერი სალამოა, ალბათ სასეირანოთ, ისე ხართ გამოწყობილი. თუ გამაბედნიერებთ და ნებას დამრთავთ.......

— სწორედ, რომ მიმიხვდით. მალე არდადეგები დამთავრდება. სწავლას დავიწყებთ და მინდოდა ერთხელ კიდევ გამესეირნებინა ამხანგთან.

— ჰო, სალამოც მშვენიერია.

— იოსე, თქვენ ამხანაგებში რას გეძახიან? იქითხა სრულიად მოულოდნელად ნინამ.

— რათა მეტითხავთ ნინა მაგას. ცხადია ჩემს სახელს, იოსეს. უპასუხა იოსეამ, ცოტა არ იყოს ეჭვიანათ.

— არა, მე, ისე... შეეცადი ნინა უხერხული მდგომარეობის გამოსწორებას. ფანჯარაში წიგნს ვკითხულობდი, ჩვენს ფანჯრის ახლოს ვიღაც ქუჩის ბიჭებს მოყეარათ თავი და ბაასობდენ. ვიღაც ურია იოსესა, ფულის წართმევას უპირობდენ და გეგმაც შეადგინეს. ვთიქრე: ნეტა ეს სახელი იმ ვიგინდარის რატომ უნდა ერქვას მეოქი.

— ნინიკო, გამარჯვება,— მიესალმა ვიღაც ახალგაზრდა, დაბალი ტანის, მაგრამ ლამაზი მოყვანილობის მქონე ქალიშვილი.

— ოჳ, თამროს გაუმარჯოს! სხვა თამრო როგორა ხარ, რამდენი ხანია არ მინახიხარ. გაიცანით ჩემი ამხანაგი.— უთხრა ნინამ იოსეს, რომელიც პალტოს ფოლაქს ეთამაშებოდა და რაღაცას ფიქრობდა. ნინას ხმაზე იოსეამ თავი მაღლა აიღო. სახეზე რაღაც მწარე ნალველი მოსწოლოდა.

— იოსე, ნაზად ჩამოართვა იოსეამ ხელი ახლად მოსულ ქალიშვილს.

— თამრო, — უპასუხა ქალიშვილმა და ქურდულად შეათვალიერა. ალბათ მოეწონა რომ სახეზე სიამოვნება აღებებდა.

— ეხლა, მშვიდობით იოსე. ჩენ სხვა ამხანაგთან მივდივართ, პატარა საქმე გვაქვს. სულ არ მახსოვდა რომ თამარა უნდა მოსულიყო. ჩენთან — მოიბოდიშა ნინამ და ხელი, გაუწოდა იოსეს გამოსაშეკიდობლად. იოსეამ ორივეს ხელი ჩამოართვა და ნაზათ თავის დაკვრასთან ერთად, რაღაც ტებილი ჰარმონიული ხმით ჩაიღაპარაკა:

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— ქალები ჩემის ნაბიჯით გაუდგენ გზას, ნინა თავის ლერწამივით მაღალსა და ნაზ ტანს მიარხევდა. თამრო კი მწყერივით მივოგმანებდა.

— ეჳ, მაშ ასე, გამოტრიალდა იოსეა და ერთი ისე ამოიხრა რომ თითქოს ოცი წლის განმივლობაში დაგროვილი ნაღველი ეხლა ამოელო გულიდანო. მგონი ნინას გაუგია ჩემი ამბები. მაგრამ ვანანებ იმ თავე—

დებს თუ ბიჭი ვარ. უიარალოთ მათთან მისვლას კი ისა სჯობია ჩემთვე ამ  
ლითვე მივცე ჩემი ფულები. დანა? დანას არა უშავს რა, მაგრამ ერთი რე-  
ვოლევერი მისწრებაა მათვის... საიდან ვიშოვო, ავწაპნო? არა, არ მეხერ-  
ზება, ეს ოხერი როგორლაც ჰა, ზამაიკა. აი მართლა ის არის ამის სპეცი.  
მგონი არც დამზარდება. მაგრამ საღ იქნება ეხლა? სალოცავისაკენ. და  
იოსეა ჩემარის ნამიჯით წავიდა ებრაელების სალოცავისკენ. ზამაიკაც  
შალე ნახა.

— ზამაიკა, რამე რომ იყოს ჩემთვის თაქს გაიმეტებ? — შეეკითხა იოსეა  
ზამაიკას და შიგ თვალებში ჩახედა.

— ვაჲ, ოლონდ შენ დამავალე რამე და თუ გინდ საყდრის თავიდან  
ჯვარს ჩიმოვატან.

— მაშ, როგორმე ერთი ბრაუნიკი უნდა მიშოვო.

— ეჲ, სულ ეგ იყო? — მე მყავს ნაცნობი, ან ვითხოვ, ან არა და ვი-  
ჭიდი რუ გეშინიან, რისოვის გინდა?

— რა დაგიმალო, პალოშას, ქაჩილას და მათ ზაიკას ჩემა ცემა და  
ფულის წარომევა განუზრახიათ, ამ მიზნით ამალამ ანჩხატის ეზოში და-  
მიბარეს, ვითომდა ვითამაშოთო. არ მინდა ქვეშ დაუარდე, თორემ მერე,  
ნაისპუგ ამიღებენ და ბაზარში აღარ გამაჭაჭანებენ. ხომ გახსოვს შალოს  
რა უყვეს, საწყალი ბოლოს მაინც მაგათი წერა გახდა.

მაშ მე საყდრის უკანა კედელთან გიცდი, შენ რევორველს მოიტან  
და თან ყოველ შემთხვევისათვის კოლეს ეტლს წამოიყვან. რა ვიცი კაცნი  
ვართ. თუ ფული დაგჭირდა, აი ფული, და ისაკომ ათი ორ თუმნიანი  
მიაწოდა. ეხლა კი წადი, იცოდე ერთ საათში აქ უნდა გააჩნდე შენი  
დაგვიანება ჩემ სიკვდილს უდრის. მე კი ეხლა ნაზარასთან წავალ, მინდა  
დანა ვიყიდო.

— დანა გინდა, აი დანა, და ზამაიკამ მოფარებით წელში კოხტად  
ვარჭიობილი მოგრძო ბებუთი ამოილო, შავი ბუდით და იოსეას გადასცა.

— სხვა არაფრისათვის იხმარო, წვერი მოწამლული აქვს. — გააფ-  
რთხილა ზამაიკამ იოსეა.

— გმადლობთ. გასწი, არ დაგავიწყდეს ჩემი სიცოცხლე შენს ხელში.

ზამაიკა ნახევრად სირბილით წავიდა იოსეამ კი აჩისხატისაკენ  
შეუხვია.

\* \*

ზამაიკა მსწრაფლ მუხრანის ხილთან გაჩნდა. ერთ ეზოში შევიდა  
და დაიძახა.

— პეტო, პეტო!

— პეტო შინ არ არის. უპასუხა სახე დაჩინულმა რუსის ქალმა.

— სად არის, მალე მოვა?

— ღვინის სასყიდლად წივიდა, ერთი ამხანაგიც აქ უცდის, ალბათ მალე მოვა.

და შამაიკამ დაიწყო კარებთან ლოდინი. ოპ. რა ცუდია ლოდინი. წუთი საუკუნეთ იქცევა. კაცს გული საგულედან უვარდება. შამაიკაც მოუსვენრად არის. დგას კარებთან და ელოდება პეტოს. თან ესმის თუ პეტოს სტუმარი როგორ გარშეიყება მის ცოლს. შამაიკას გულს ლაგადუგი გააქვს. ღრო სწრაფად გარბის. პეტო კი მაინც არა სჩანს. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება.

— თუ იცით, რომელ დუქანშია პეტო. შეაღო შემაიკამ ოთახის კარი. მგონია აქვე ახლო უნდა იყოს,—უპასუხა პეტოს ცოლმა.

შამაიკა გამობრუნდა და გაიფიქრა: ძალიან სტუმარი მოყვარე, ცოლი გყოლია ჩემო პეტო. შამაიკამ იქვე ახლო მახლო დუქნები მთლად დაირბინა, მაგრამ პეტოს კვალსაც ვერსად მიაგნო. ალბად ისიც სადმე მისი ცოლივით დროს ატარებდა.

— ეხლა რაღა ვქნა: ფიქრობს შამაიკა — აწაპნება ერთად ერთი ხერხი და დარჩა. მაგრამ არა, იქნებ ვარანცოველ რუსოს ჰქონდეს და მსწრაფლ ვარანცოვთან მტკვრის პირს გაჩნდა და ერთი ფიცრის ალყაფის კარებზე ვაჯავრებით დააბრახუნა.

— რუსო შინ არის? — არა გუშინ დაიჭირეს, უპასუხა რუსოს მოხუცმა ბებიამ.

— ვაკ, თქვენი სული... რაღა ეხლა დაიკარგენით ყველა. მეტი გზა არ არის, როგორმე უნდა იყწაპნო, მაგრამ ეგეც ხომ ფული არ არის, რომ ერთ კვირაში გამომიშვან. მაგის გულისათვის, შეიძლება კიდეც... მაგრამ, ძმა ძმისთვისათვის შავი დღისთვისათვის. ისიც ხომ შეიძლება, რომ წავიდე და უთხრა ვერ ვიშოვი მეტე და ისიც თავს დაანებებს ჩხუბს; მაგრამ არა, ჯერ ერთი ეხლა თამაში უქვე დაწყობილი ექნებათ. შერეც სულ ერთია მეც მაგათი წერა ვარ, ისე ჩამომექიდენ ამ ბოლო დროს. ვნახოთ ბედია ვცდი. რაც ვინდა არ იყოს იოსეას ჩემზედ დიდი ამაგი აქვს. განა ერთხელ იმანაც არ დამიხსნა სიკვდილისაგან, როცა ნონიქს ვალის გულისათვის უნდა მოვეკალი. ამ ფიქრებით კიდეც მიუახლოვდა პუშკინის ბალს.

— სრული ნახევარი საათიაა რაც ტრამვაის ველოდები, წუწუნებენ მგზავრები. მართლაც ალბად კარგა ხანია რაც ვაგონი არ მოსულა, აურებელი ხალხი ელოდება და მოლოდინში ყველა გზისაკენ იყურებიან. შამაიკამ ხალხს თვალი გადაავლო და საკბილოს დაუწყო ძებნა. საკბილოც მალე იშოვნა, როგორც ეტყობა სოფლელია. ქალაქელობის არა სცხია რა. ყვითელ სატინის ხალათზე განიერი ქამარი არტყია და ზედ ბუღით ნაგანი ჰქიდია.

— ბუდით მოკრა არ შეიძლება, სიმძიმე მოწყდება და გაიგება. ფიქრობს შამაიკა. კუთხეში მიირბინა ერთი მოვრძო ქვა გაზეთში შექვევა და ხელში დაიჭირა. მესამე ნომერი ტრამვაი მალე გამოჩნდა. იარაღიანი სწრაფლ ვაგონზე მოექცა. წინა კარიდან შესვლა შეუძლებელი გახდა, რადგან ხალხი აუარებელი მიაწყდა. შამაიკამ ვაგონს მოუარა, მეორე მხრიდან თავისუფლად შევიდა. კარი კი ლია დასტოვა ყოველ შემთხვევისათვის. მეორე კარებში ერთი მოხუცი ქალი სადილით ხელში გადაჯვარედინებულიყო და არც ერთს არ უნდოდა პირველობა დაეკარგა. შამაიკა სწრაფლ გაჩნდა იარაღიანის გვერდით. რადგან ვაგონში ყველა ადგილება დაკავებული იყო, იარაღიანიც და ორი სხვაც ფეხზე დ იდგენ. შამაიკამ მოხერხებულად ამოუდგა იარაღიანს უკან, მომენტს ელოდა. მოხუცებული ქალი სადილით ხელში შამაიკას გვერდზე დადგა. მას სადილი წინ გაეწია მათ შუა, თავისუფალი ადგილი რჩებოდა, ეს კი შამაიკას ხელს უშლიდა კონდუქტორმა სიგნალი მისცა და ბილეთების გაყიდვა დაიწყო. მოხუცი ბილეთის ასალებად მოემზადა, დაბლა იუბქის ჯიბიდან გარმონისებურად დაკეცილი პორტმანი ამოილო. შამაიკამ მოხერხებულად ჩაატანა თვალები შიგ. პორტმანს იდაყვი გაკრა და მოხუცის ერტხლის ხურდა ფულმა ძირს გაიწერიალა. მოხუცი დაფაურერდა და ფულს კრეფა დაუწყო. ყველა ახლო მახლო მდგომი ძირს იყურებოდა და მოხუცს დაპრეულ ფულის მოკრეფას შველოდენ. იარაღიანიც დაიკუტა შამაიკამ მისი დაკუტევით ისარგებლა, ხალხს თვალი გადასვლო და რომ ნახა მას არავინ უყურებდა, მოხერხებულად გახსნა ბუდე ამოილო ნაგანა და შიგ ქვა ჩააცურა. ნაგანა კი ჯიბეში გააქანა. ცივი ლითონი მოხვდა ხორცებ და კი არ გაერიდა არამედ დასწვა, სწორედ რომ დასწვა.

— ოჲ, უკაცრავად, ეს სამი ნომერია მე კი ოთხი ნომერი მინდოდა გამატარეთ და შამაიკა ვაგონიდან ჩავიდა.

— აბა, ვაიმე რევორველი ვინ ამომაცალი. ან ეხლავე დამიბრუნეთ ან მეც აქვე მომკალით!

შემოესმა შამაიკას განწირული ძახილი. ხალხის სქელი კედელი სწრაფლ გაარღვია. ფორდის საფოსტო ავტო სიგნალს იძლევა და ხალლებში ნელა გზას იყაფავს, შამაიკა ზედ მოექცა. მანქანა ხალხს გასცდა თუ არა თვალის დახამხამებაზე სომხის ბაზარზე გაჩნდა. შოთერმა შამაიკა მხოლოდ ეხლა შენიშნა, მაგრამ ვიდრე იტყოდა რამეს შამაიკამ დასწრო.

უკაცრავად ნაცნობი მეგონე და იმიტომ შემოვახტი. დამერწმუნეთ სულ ჩემს ბიძაშვილს ჰეგვართ ისიც ასეთ მანქანაზე მუშაობს. შოთერმა მანქანა გააჩერა შამაიკამ ბოდიში მოიხადა გადმოხტა და სირბილით იქრო

მუნიციპალური განვითარების კურსი ანჩისხის ატისაკენ გაიქცა მაგრამ მაღლე ვიღაც კუნძულის დამოუწინებელი მინისტრი

— შემაიყ საით? ეს მეეტლე კოლკა იყო.

— ვაი შენი გამჩენის ჭირიმე. რომელმა ანგელოზმა გამოგვზავნა აბა ანჩისაკენ იოსეკამ დაგიბარა, ჯერ კედელთან მოიცდი. შერმე თუ საჭირო შეიქნა მე დაუსტვენ და შენც ეზოში უნდა გაჩნდე. აბა ჩეარა ჩენი, ერთი წუთით დაგვიანებამ შეიძლება იოსეკა იმსხვერპლოს.

მეეტლემ ცხენებს შოლტი გადაუჭირა და ეტლი აჩისხატისაკენ გა-  
ქანდა.

\* \* \*

იოსეკა, როცა ებრაელების უპნიდან აჩისხალისაკენ ბრუნდებოდა, სრულიად მოულოდნელად ჰადოშას ჯვეფს ჰირის-ჰირ შეეჯახა.

— ჸა, ური ვთამაშობთ თუ არა? თუ შნო გაქვს გამოიჩინე ბარემ.

— რაში არა ვთამაშობ. მიუგო იოსეკამ ამაყათ.

— მაშ წავიდეთ.

— წავიდეთ. და ყველა გაუდგა გზას. გზა და გზა უმრავლესობა უსტვენდა, მათ შორის იოსეკაც. ხშირად სტვენა ბევრ რამეს ამბობს.

— მაღლე „მივიდენ“ ანჩისხატის ეზოში. თითქმის ყველამ დანებს განგებ აღგილები შეუცვალეს რომ იოსეკასათვის დაენახვებიათ. თანაც ისე იქცეოდენ ვითომ დაჯდომაში ხელს გვიშლისო. იოსეკამ ჩუმად თავი-  
სათვის მწარედ ჩაიცინა.

— აბა. გამოლით ვინ თამაშობთ, დაიძახა იოსეკამ თავისებურად. პალოშა გავიდა სამ თუმანს.

იოსეკა ზარებს ჰყრის და თავისებურად გაიძახის „ესეც ასე“. მაგრამ ხმას ნელ ნელად დაბლა უწევს რადგან ზარი ღალატობს.

პირველი მოგება ეშმაკისათვის, არა უშაუს იოსეკას ფულის მარავი ბლო-  
მად აქვს.

— ექვსივეს გამოვღიგარ. სთქვა პალოშამ. ისიც მოიგო, მაგრამ იოსეკას გული ჯერ არ უსკდება, მხოლოდ აუფრფხილდა კი.

— ათი თუმანი, აგორე—სთქვა ჭარბამ და ფული ღაყარა მანაც

— ოცს ერთად, ხოში გაქვს,—სთქვა მოგებით წახალისებულმი პა-  
ლოშამ.

— ყარე მაგის დედაც... პასუხობს უკვე გაბრაზებული იოსეკა. ყარა ისიც წაავო

— ხუთი თუმანი ურიჯან. ყარე, ისაჭავიბია ნელ ნელა მოიგოთ უთხრა დაცინვით სერიოუამ და გამოვიდა იმ ხუთ თუმანს რომელიც პა-  
ლოშასაგან ისესხა იოსეკასაგან მონაგები ფულიდან. ყარა. ეს ხუთი თუმანი



თოსკაში მოიგო. იფიქრა ზარი ალბათ ჩემსკენ აპირებს გამობრუნებას და წელში გაიმართა გასტორდა და წახალისებული დაიძახა:

- აბა გამოდით ჰა.
- აი ამას დაუთვლელათ აგორებთ. და პადოშამ ხელში ჩაბლუჭული მისგანვე მოგებული ფულები უჩვენა.

— გამოვდივარ მაგის დედის სულიც... ჰყარა. წააგო. კიდევ წააგო. ებლა კი გული უსკლება იოსკას, ასე სამარცხვინოთ არასოდეს არ წაუგია ასორმოცდათი თუმნიდან ათი თუმანი ღა დარჩა, ფულს უფრთხილდება, თითო თუმნობით თამაშობს. მაგრამ მაინც აგებს, შერე დაცინვა.

- ჰა შემოგელია, ური? არა უშავს პალტოზე გეთამაშები.
- პალტო რომ წააგოს.
- თავის განათლებულ გოგოს დააგირავებს.
- გაჩუმდი თორებ გოგოს გიჩვენებ შე.... გაცეცხლდა იოსკა. სი-სხლი სახეში აუარდა, გონება ეწვის, თავი უბრუის.
- ითამაშე, ითამაშე, ნუ აგეწვა! ვა! სულ იგებ, ერთხელ წააგო არ იქნება.

იოსკას უკანასკნელი სამი თუმანი აქვს დარჩენილი. ხედავს ჩხუბი უადგილო. დამუნჯებულა. შამაიკა კი მაინც არა სჩანს, სად ჯანდაბაში დაიკარგა. იქნებ მომატყუა. ან იქნებ ჩავარდა. მაგრამ რა დროს ფიქრია.

— გორება ჩემია! მოიტა ზარები.— უთხრა იოსკამ აგორა და დაიძახა: ესეც ასე! მოიგო. კიდევ და მანამდე ზარი აღარ გაუშვია ხელიდან ვიდრე პადოშას თავის თანხიდან ხუთი თუმანიც არ მოუგო. პადოშას ჯგუფს შხოლოდ ხუთი თუმანი ღა დარჩა, რაღვან მთელად ათი თუმნით დაიწყეს თამაში.

— გვეყოფა — სთქვა იოსკამ და ადგომა დააპირა. ეტყობოდა რომ საქმეში ჩხუბამდე უკვე შიალწია. შამაიკა კი არსად სჩანს. იოსკამ კლავის საათს დახედა. უკვე საათ ნახევარი გასულა. ვადას ნახევარი საათი გადააცილა. უსათუოდ რამე ხიფათი შეემთხვა, თქმა არ უნდა.

- მოიგე და მიდიხარ. ური შენი დედა....
- მე არ მივდივარ, აბა ვინ გამოდიხართ? და იოსკამ ზარები ნერვიულად აათამაშა ხელში, ესეც ასე მოიგო.
- არავინაც არ გამოსულა, — იცრუა პადოშამ ეხლა კი მე გამოვდივარ ი ხუთი თუმანს, ყარე.

— ესეც ასე! იოსკამ მოიგო. ფულები უბეში ჩაიწყო, წამოდგომას აპირებს, მაგრამ ფრთხილობს, იცის რაც უნდა მოხდეს და ხელი ზარვ-ვლის ჯიბისკენ მიაქვს. ხელის ჩიყოფას ვერც კი ასწრებს, რომ ხუთი მალლა აწვდილი დანა მთვარის შუქზე აპრიალდა.

იქვე ახლოს მტკვარი დუღუნებს, თითქოს მთვარეზე იყოს შეყვარებული და ეარშიყებოდეს. მთვარეც მას და იმის არემარეც წარმოშობა თავისი ვერცხლისფერ სხივებით, მისი არე მარე დღესავით გაუნათებია და ისე კაშკაშობს თითქოს ცდილობს იქ მომხდარ ამბის მოწმე შეიქნეს.

— ურიავ! ფულები დააწყე, თორებ ეხლავე სანთლებს დაგინთებო. ამ სიტყვებთან ერთად იოსკას უკრამდე ეტლის ზმაურმაც მოატანა. ნუთუ შამაიკაა. თქმა არ უნდა, ის არის.

— ჰა, არ იძღვი. ან შენც სამუდამოთ აქ უნდა დარჩე ან ფულები დასტოვე, გესმის და პალმაშ გაალმასებული დანა ცხვირის წინ აუთამაშა. წუთიც და არ დაინდობენ, მოჰკლავენ. მსწრაფლ მოისაზრა: ერთი მაგარი წინალი სრულიად მოულოდნელად მის წინ მდგომ პალმას გააორუა, პალმაშან თავი ვეღარ შეივავა წაბარბაცდა და წაიქცა. ორი ძლიერი მუშტი კი ვეერდზე მდგომ ქახილის, სერიოუკას უთავაზა. და ეს ისეთი ძლიერი დარტყმა აღმოჩნდა, რომ ვერც მათ მოახერხეს ფეხზე დადგომა. მაგრამ ზურგში მდგომმა პუჭურამ, ამ ჩია კაცმა, დანა მოხდენილად გაათამშა და კისერში უპირებდა ჩარტყმას, მაგრამ მიზანს აცდა, რადგანაც ამ დროს იოსკა შემოტრიალდა. ის სტვენით შამაიკას პასუხს იძლევდა, პასუხის მიცემა ვერ დაამთავრა, რადგანაც პუჭურას ბასრი დანა მის მხრის თავში ღრმად ჩაცურდა, ჯა მაღე სულ მაღე შავმა სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა.

შიშისაგან თუ ტკივილებისაგან იოსკას გული შეეკუმშა და ძირს დაეცა.

სისხლით გამხეცებულმა პუჭურომ, იოსკას ფეხის წაკვრით გადაუბრუნა ჭრილობაში დანა, ერთხელ კიდევ დაატრიალა და მერე ენისაკენ გააქანა. ენამდე მიტანა ვეღარ მოასწრო, რადგან ამ დროს საიდლანაც ტყვია გავარდა და გაფლითა მისი ზუბლი.

— ტყვიას შამაიკა ისროდა. შამაიკა სწორედ იმ დროს მოვიდა როცა კუჭურა სისხლიანი დანით ხელში ადგა. იოსკას ბეჭის თავიდან სისხლი წრიალით მოსდიოდა. შამაიკას ჯერ ვერ გაეგო ვინ იყო დაჭრილი, ბაგრამ როცა იოსკამ დაიკვნესა მაშინ კი მიხვდა კველაფერს. მიხვდა რომ მან დაიგვიანა და ტუჩზე მწარედ იქმინა. თითო უნებურად წამოეგო ჩახმახს და ტყვიამ თავის დანა შნულება შეასრულა.

მოჰკლა გამხეცებული პუჭურა. შამაიკა სირბილით მივიდა იოსკასთან. სროლის ხმაზე ყველანი წამოხტენ და მოუსვეს.

მხოლოდ ერთი მკედარი, ერთი ცოცხალმკვდარი და ერთიც ცოცხალი ადამიანი დარჩა აქ. შამაიკამ იოსკას თავთან დაიჩოქა, მისი თავი თავის მუხლებზე დაიდო. სროლის ხმაზე მეეტლე კოლკაც შემოსულიყო და შამაიკასთან მიირბინა. ხედავს: იოსკას ქუდი სადღაც გადა-

ვარდნია მისი ლამაზი სახე გადათეთქვილა და უფრო ვალამაზებული-  
თხელი ტუჩები ოდნავ გაღებულა და თეთრი ლარივით ჩაწყობილი და  
ლები მოსხანს, მათ შორის ერთი ოქროსაა და მთვარის შუქები ბოჭყვია-  
ლებს. ბეჭის თავზე ჭრილობას ახლად გაჩეხილ ბროჭეულივით დაულია-  
პირი და მუქი წითელი სისხლი გაღმოსჩეულა. მის სისხლს, პუშტურას სისხ-  
ლიც შეერთებოდა და სისხლის პატარა გუბე დამდგარიყო.

ერთი წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— რას გაჩარებულხარ—შეუტია მეეტლემ შამაიკას, რომელიც წუ-  
თით გარინდებულიყო, რაღაცას ფიქრობდა.

შეუტლეს დახმარებით შამაიკამ თავისი ხალათით და ჭუჭყიანი პერ-  
ნაგით იოსკას ჭრილობა შეუხვია, მეეტლემ ეტლი მოაყენა და იოსკა შიგ  
ჩასვეს. შამაიკა, მხოლოდ შარელის ამარა დარჩა.

— იოსკა, საით წაგიყვანო, მე მგონი ბალნიცაში, — შეეკითხა ხმა-  
მალლა შამაიკა. იოსკამ თეალები მძიმედ გაახილა და ნაწყვეტ ნაწყვეტათ  
დასვენებ—დასვენებით სთქვა.

— არა შამაიკა, მე, სულ ერთია, მაინც მოვკვდები... და არ მინდა  
მაგათ ჩაუვარდე ხელში... თორებ ვიცი ჩემს საფლავსაც კი მოთხრიან-  
წამიყვანე მცხეთაში. იქ ექიმი ქალის სახლში დავწვები.

— მცხეთაში? ძალიან გარგი. აბა კოლკა, ნახევარ საათში მცხეთაში  
უნდა გაჩნდე, თორემ საქმე ძალიან ცუდათ არის და წამსვე ეტლი და-  
იძრა.

\* \*

. სროლის ხმაზე ნინამ ფანჯარა გააღო და გადმოიხედა. ყველაფერი-  
ხელის გულივით სჩანდა. საშინელი სურათი იყო. ორი აღამიანი სისხლში-  
ცურავდა, მალლიდან კი მთვარე დასცექროდა. ნინამ ბეწვის პალტოს და-  
ოქროს კბილს თვალი მოჰკრა.

— იოსკა, თითონ ის არის. ნინამ კი წუთით გრძნობა დაქარგა-  
მაგრამ, იქ ხომ მეორე იდამიანიც იყო მკვდარი, რატომ მხოლოდ იოსკას  
ბედმა დააღონა?

იქნებ ეს მხოლოდ ქალური სისუსტე იყო, რომელიც სისხლის დანა-  
ხეამ გამოიწვია.

არა ნინას იოსკა მოსწონს და უყვარს კიდეც. როცა ნინა გონს  
შოვიდა კვლავ ფანჯრიდან გადიხედა და თვალი გაქანებულ ეტლს  
შეასწრო. ტელეფონთან მიირბინა.

— ცენტრალური, მომეცით მილიციის სამართველო. მილიციის-  
სამმართველოს მორიგე. მტკვრის ნაპირას, ანჩხატის ეკლესიასთან მოხდა-  
მკვლელობა. გთხოვთ გამოცხადდეთ. პასუხს არც კი მოუცადა ტრუპკა-



შემოკიდა, საზამთრო შალი მოისხა და დედის კითხვაზე თუ სად მისდოფდა  
უპასუხა:

— ამხანაგმა დამირექა, ძალიან აფაღა ვარ და მნახეო ახლოს  
შცხოვრობს მალე დავბრუნდები. დედიმ ნება დართო იმ პირობით, რომ  
ვალე დაბრუნებულიყო.

თავის სიცოცხლეში პირველად იტყუა დედასთან ნინამ. მერე, რად,  
რისთვის? მხოლოდ იმისი გულისოვის ვინც მხოლოდ გაიცნო და რამო-  
დენჯერმე შეხვდა. ალბათ ამ რამოდენიმე შეხვედრამ მათვის ყველა-  
ფერი სთქვა.

ნინამ გულის ფანცქალით ჩაირბინა კიბეები და მყვლელობის ალგი-  
ლისაკენ წავიდა. მთვარემ გამოანათა, თითქოს ამ სპეტაკი არსების გზის  
განათება მოინდომათ. ნინა გრძნობდა, რომ მას ამ წუთში არც არაფრისა  
ეშინოდა და ვერც ვერაფერი დააბრკოლებდა. რა დროს შიშია, როცა  
ის ადამიანი, ვინც მას უყვარს საფრთხეშია. ამ დროს ნინას ავტოს  
თვალებმა შეანათეა. ეს მილიცი ის სამმართველოდან გამომძიებელი მო-  
ვიდა. ავტო გაჩერდა. მარდად გადმოხტენ გამომძიებელი, ექიმი და ხუთი  
შეიარაღებული მილიციელი.

— თქვენ დარეკეთ? შეეკითხა ახალგაზრდა ქალს გამომძიებელი.  
რომელსაც მოტანილი საზამთრო შალი ხელებში ჩაებლუჭა და ორივე  
ხელი პირთან მიეტანა. ქალის გაფართოებული თვალები სისხლს დასცემ-  
როდა, რაღაცას ფიქრობდა. გამომძიებლის კითხა თითქოს მას არ გაუ-  
ვნია, უპასუხოთ დასტოვა.

— თქვენ დარეკეთ, გაუმეორა კითხვა გამომძიებელმა.

ნინამ მხოლოდ ეხლა აიღო თავი მაღლა და კუპრივით შავი დიდი  
თვალები, რომელებსაც გასროლილ ისრის მსგავსი ლამაზი ხშირი  
წარბები და გრძელი წამწამები უმშევნებდა, სისხლიდან პირდაპირ გამომ-  
ძიებელზე გადიტანა და ოდნავ მწარე ნალვლიანი ლიმილით მტკიცედ  
სთქა:

— დიახ მე დავრექე. სახლში სროლის ხმა შემომესმა. ფანჯრიდან  
გადმოვიხედე და ვხედავ ორი კაცი სისხლში სცურავს, მათ შორის ერთი  
ჩემი... და ნინამ სიტყვა ალარ დაამთავრა. მე თქვენ დაგირეკეთ და როცა  
მეორეთ გადმოვიხედე, მხოლოდ გაქანებულ ეტლს შევასწარი თვალი.  
მე პირდაპირ იქნეთ გამოვიქცეო და დანარჩენს თქვენც კარგად ხედავთ.

— მეტი არაფერი იცით? — შეეკითხა გამომძიებელი.

— არა, — უპასუხა ქალმა და მტკიცე ნაბიჯით გასწია შინისაკენ.  
გამომძიებელს კიდევ რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ ქალის მტკიცე  
ნაბიჯმა უკან დაახვეინა და ნერწყვი გადაჰყლაპა, თითქოს პირზე მომლ-  
ვარი სიტყვა თან გადაყყლოთ. ნინა ნელა და ამაყათ მიაბიჯებდა, ნელა



შიარხევდა თავის ლერწამივით ნაზ ტანს, თავი კი ჩაექინდრა და მოგვარობდა. ფიქრობდა ვინ იცის რას. გამომძიებელმა დაათვალიერა მიღამო ცხადი იყო მკვლელები გაიქცენ და მოკლულიც თან გაიტაცეს. მაგრამ ვინ იყო მოკლული? — ყველას თავში ეს კითხვა ტრიალებდა.

— მთვარე კვლავ ღრუბლებს მიეფარა. თითქოს დათვარული საქმის უფრო მეტად დაფარება უნდაო. მტკვარი კი აბურდლუნდა თითქოს იძახდა: აი მე მყავს მოკლული გულში ჩახურებულიო.

გამომძიებელმა ხელის ფარანით, მიღამო გაანათა. სისხლის კვალორი გზით მიღიოდა: ერთ მტკვრის ნაპირით, ეტლიც ამ გზით წასულიყო, მეორე ეკლესის ჩასახვევისაკენ. აქეთ სისხლი ნაკლები იყო. საეჭვო იყო რომელი გზით წავიდე მკვლელები.

უფროსმა მილიციელმა, მილიციელები ორ ჯგუფად გაჰყო. ერთი ეკლესის ჩასახვევისაკენ გაგზავნა მეორე ჯგუფი კი თავის თანხლებით.

კვლავ ავტოში ჩასხდენ და მტკვრის ნაპირით მცხეთისაკენ გაქანდენ...

\* \* \*

— უუუ... უუუ... ყვირის ავტო და მიქრის.

— ნუთუ დაედევნენ, ფიქრობს ნინა და კვლავ ფანჯრიდან იყურება და რა იცოდა საწყალმა ნინამ, რომ მდევრები დაედევნა მას ვისთანაც რამოდენიმე ნეტარი წუთი გაატარა. მას ერთი ობოლი ცრემლიც კაგადმოვარდა უცოლველ თვალიდან. ცრემლი ცუდის მომასწავებელია.

ნახევარ გზაზე მეტი იარეს იოსეა თანდათან ცუდათ ხდება:

— როგორა ხარ იოსეა. ეკითხება შეშინებული შამაიკა, ხმის კანკალით და თან იოსეას გულში იხუტებს და თვალებში ჩაჰყურებს.

— ეჭ, შამაიკჯან, ჩემი ამ ქვეყნად გამობრუნების იმედი არა არის... არა მგონია თვით ჯოჯოხეთის კუპრში ამაზე მეტი სიმწვავე ვგვრძნო. იოსეას გული შეულონდა.

— არა გიშავს რა იოსეა. საცაა მივალთ. ჴა კოლეა, ჩქარა, ჩქარა და კოლეაც აწნავს ცხენებს შოლტს, ეტლიც მიჰქრის და ინჯლრევა.

— უუუ... უუუ... ყვირის ავტო და ეშინია შესახვევში არასფერს. დაეჯახოს.

— იოსეამ თვალები აახილა. ავტოს ყვირილს ყური დაუგდო და ქანც მილეული შეეკითხა შამაიკას.

— ნუთუ დაგვედევნენ.

— მგონი... და შამაიკამ უკან მიიხედა. მე უგროჩისკის ავტოს ხმას ვიცნობ. ეტლმა მაღლობისაკენ აუხვია ეხლა კი შამაიკამ, გარკვევით გაარკვია უგროზისკის დახურული ავტო.

— თითონ ისინი არიან ჩაილაპარაკა შამაიკაშ თავისითვის! შალე და ვევეწვიან. კოლკას შეჰვირა:

— ვერ უყურებ მოგვდევენ. ჩქარა! შენმა ცხენებმა უნდა გადაგვარ-ჩინოს, ჩქარა! შამაიკას ყვირილზე იოსკა გონზე მოვიდა.

— რა არის შამაიკ მოგვდევენ? ჩემი სიცოცხლე მაინც განშირულია გააჩერე ეტლი, მე აქ დამტოვე... შენ კი გაიქეცი. ჯერ შენ ახალგაზრდა ხარ და კიდევ შეგიძლია დადგე სწორ გზაზე და კარგად იცხოვრო... ვიცი რომ ჩემი თავი გიყვარს და ჩემთვის სიცოცხლეს არ დაზო-ვა... და გთხოვ, მგონი ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნა იქნება დაანებო თავი ძაგ მურტალ და ძალურ ხელობას. ჩემს პალტოს ჯიბეში იძლენი ფულია, რომ შეგიძლიან ითაბი დაიჭირო, მანამდე იცხოვრო ვიდრე სამუშაოს იშოვიდე რამეს... თორემ სულ ერთია შენც ჩემებრ ძალლივით ჩაგრლავენ საღმე... კიდევ გთხოვ, დაანებო თავი მაგ მურტალ ხელობას. შეიქენი ნამდვილი ადამიანი, მიდი ცხოვრებასთან... და მიგი-ღებს. სთქვა სიტყვები დასვენებ დასვენებით და მიესვენა ეტლის ზურგზე.

შამაიკას გული ჯსკდება, ცალი ყურით იოსკას უსმენს, ცალს კი აფტოს მოახლოვებას ადევნებს.

— ეჭ, რას ამბობ იოსკა? უშენოდ სიცოცხლე რად მინდა მაგრამ იოსკას კვლავ გრძნობა დაეკარგა.

— კოლკა... ხუთი წუთიც და დაგვეწვიან, ჩქარა! ჩქარა! კოლკაც კვლავ ცხენებს უცხუნებს.

— რა ვენა შამაიკჯან დაიქანცენ.

— მოიხსენ ეგ წითელი წელსახვევი. უთხრა შამაიკამ კოლკას, ეტ-ყობოდა რაღაც მოითიქრა. კოლკას ჯერ გაუკვირდა, მაგრამ შესახევი უხმოდ შოთხსნა. შამაიკამ წითელი წელსახვევი შუა გზაზე გადააგდო. კოლკასთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ კოლკამ უსიტყოდაც ყველაფერს მიხვდა და კვლავ ცხენები შოლტით გარეკა. კოლკამ შამაიკას გადახედა. შამაიკას თვალები დაუყერინია და ირგვლივ ცეცხლივით ანათებს. მისი გულმკერდი მოძრავ მანქანასაფოთ ადის და ჩამოდის.

— შამაიკ ჩაიცვი რამე, მასზე ყველა ეჭვს აიღებს.— შამაიკს კოლკას სიტყვები ჰქუაში დაუჯდა. იოსკას პალტო, რომელიც იქვე ეტლში ეგდო ტანზე მოიცვა და შიგ გაეხვია. ავტო ეს არის უნდა წამოეჭიოს, მაგრამ გააჩერდა, ალბათ შამაიკას ხერხმა გასჭრა, შამაიკა ხელად დამშვიდდა და კოლკას მიმართა:

— კოლკა! საცაა მივალთ. აბა ჩქარა! იოსკას, ეჭიმ ქალთან დავ-ტოვებ. ჩვენ კი ცოტა ზეოთ ავალთ და იქიდან ნელა უკან დაგბრუნ-დებით. თუ გკითხონ ჩემი ვინაობა, უთხარ არ ვიცი, ვიღაც ოხერია, მთე-ლი დღე ვატარებ და ფულიც არ მოუციათქო. ეხლა კი გააჩერე, აი იქ

უნდა ავიყვანოთ და მაღლობზე მდგომ ქოხზე მიუთითა. შამაიკაშვილი  
შეეტლეს დახმარებით იოსე ქოხში შეიყვანა. ქოფაქმა ძალებმა ყეფა  
ასტეხეს. მაგრამ მალე სახლის პატრონი გამოვადა და ძალებიც გა-  
ჩუმდენ. სოფელს მათი მისვლა არ გაუგია, რაღაც ქოხი მოშორებით  
იდგა და ძალებიც მალე გაჩუმდენ. იოსე ტახტზე დააწვიანა, რომე-  
ლიც მუდამ მზად ჰქონდა მოხუც-გაჭირებულთა და ავადმყოფთათვის.

— აბა, დედი! შენი თვალის ჩინიყით უნდა გაუფრთხილდე, რათაც  
არ უნდა დაგიჯდეს უნდა მოარჩინო, თორებ ვერ გადმირჩები თან უბი-  
დან ფული ამოილო და მოხუც ქალს მიაწოდა. რა ვიცი. ფულით ჯოჯო-  
ნეთის ყიდვა იქნებაო და ნუთუ მე ამ ბებრის გული ვერ ვიყიდო, — იფიქ-  
რა შამაიკამ.

— ეს ეხლა, დანარჩენი მერე იყოს და იოსეასთან მიირბინა. იოს-  
კაჯან კარგად იყავ ნუ შეგვშინდება. შენ საიმედო სახლში ხარ და კარ-  
ვადაც შოგივლიან. თითქოს ოთხის კარმა მოასულიერაო. იოსეამ თვა-  
ლები აახილა.

— მაღლობთ შამაიკ. თუ გადატრი ხომ კარგი თუ არა და კიდევ  
ვთხოვ, ამიერიდან შენი საქმე ქურდობა აღარ იყოს. შენი ბინა ქუჩა  
აღარ იყოს. როგორც აქამდე... ჰაერმა — რაღაცის თქმა უნდოდა მაგრამ  
სისუსტემ სძლია, თვალები დახუჭა და მიესვენა.

— კარგად იყავი იოსეა. — უსურეა მეეტლემაც.

შამაიკამ იოსეას ხელი აიღო. იოსეას ხელი ნახევრად უკვე გაცი-  
ებოდა. ამ სიცივემ რაღაც მწარე აგრძნობინა და თითქოს გველს შეხე-  
ბოდეს განზე გახტა.

— დედი, შენი იმედი-ლა მაქვს, თუ მაგ ბიჭს მოარჩენ. სამუდამო  
საცხოვრებელი გაგიჩნდება. მოხუცი კი იოსეას თავთითიდან აღარ ცილდე-  
ბოდა და ფათურობდა. ჭრილობა კიდეც მოებანა.

— ჭრილობა ძალიან ლრმა არის და ვნახოთ, ლმერთი დიდია.  
შოესმა კარებში მიმავალ შამაიკას და არ გასულა წუთიც რომ ისინი ეტლით  
მისეირნობდენ მცხეთის მაღლობისაკენ.

უუუ... უუუ... კვლავ ისმის ავტოს ხმა.

— მოაბრუნე და რაც წელან გითხარი არ დაგავიწყდეს. შენ უნდა  
უბასუხო: ვიღაც ზემოთკენ ეტლს მიაქანებდა შიგ რამოდენიმე კაცი  
ისხდა და რაღაცას ეფარებოდა. აბა ეხლა კი ჩხუბი დამიწყე. — შამაიკას  
მთვარალის პოზა უკვე მიეღო. მეეტლე შამაიკას მიუხვდა და ჩხუბი  
დაუწყო:

— ჴა. ფული მაიტა, მამაცხონებულო, ცხენები დავხოცე. დილას  
აქეთია შენ გატარებ. ფული, ფული მაიტა, ცხენები დაიხოცენ, დილას  
აქეთია გატარებ და სულ რაღაც სამი თუმანი მოგიცია. — ეს უკანასკნე-



ლი სიტყვები მეეტლემ ისე ხმა მაღლა სთქვა, რომ ავტოშერტჯაჭვები  
გარკვევით გაიგონეს.

— შეაყენე — დაუყვირა უფროსმა მილიციელმა. მეეტლემ ეტლ  
შეაჩერა.

— გასწი, გასწი, შენი დედა... — უყვირის შამაიკა მეეტლეს და ლულ-  
ლულობს.

— რამდენი ხანია, რაც ამ მგზავრს ატარებ. — შეეკითხა მეეტლეს გა-  
მომძიებელი.

— რა ვიცი, ეს ოხერი მთელი დღეა მაწვალებს და ფულსაც არ  
იძლევა.

— ეხლა საიდან მოდიხართ, — იკითხა გამომძიებელმა.

— ქსანში ვიყავით. იქ ვაღაცასთან! შეიარა და აერ საში საათია  
მოვდივარო.

— გზაში ხომ ეტლი არ შეგხვედრიათ, — იკითხა სხაპა-სხუპით უფ-  
როსმა მილიციელმა, რომელსაც თვალი კვლავ გზისკენ ეჭირა. შამაიკა კი  
თავის როლს ასრულებდა.

— ამ პატარა... სტაქანზე და ბარბაცობს — ამხანაგებო გაუმარჯოს...  
იყე... ამოისლოკინა. გაუმარჯოს ამხანაგებო... და კვლავ ლულლულებს  
შამაიკა.

— როგორ არა, — ეხლა, ეს ეს არის ერთი ვიღაც თავხედი ისე  
მიაქროლებდა ეტლს, რომ ცოტა გაწყდა არ დამეჯახა. შიგ რამდენიმდე  
კიცი ისხდენ და ვიღაცას გარს შემოხვევოდენ, — უპასუხა მეეტლემ უფროს  
მილიციელს.

— სწორედ ისინი იქნებოდენ. სთქვა გამომძიებელმა და ავტოს  
მოახტა. შამაიკა კი თავის საქმეს განაგობდა.

თირან, თურანი, ოქროს ქამარი

განა შენია, ჰეი განა შენია...

და ამ სიტყვებს ისე დამაჯერებლად მღეროდა რომ თითქმის  
ქოლქამაც დაიჯერა მისი სიმთვრალე. ერთ და იმავე ღროს ეტლი და  
ავტო დაინძრა, ორივე მტკვრის ნაპირს აჲყვა. ავტო მაღლობისაკენ  
ეტლი კი თბილისისაჲენ. როცა კარგა გზა გამოიარეს, მხოლოდ მაშინ  
მოგონდა შამაიკას რომ რევოლვერი სადღაც დაჲკარგვია, მაგრამ სად-  
ის კი არ ახსოვს, ალბად მდევრები იპოვიდენ საღმე და ხმა მაღლა თა-  
ვისთვის სთქვა.

— ნაგანა დაიკარგა.

კოლქა შამაიკასაკენ შემოტრიალდა და გაიღიმა.

— არა შამაიკ, ნუ გეშინიან, აი ნაგანა — და შარვლის ჯიბიდან შა-  
მაიკას „ნაამაგარი“ ნაგანა ამოილო.

— დაიჭი, გქონდეს, დაგჭირდება.

შამაიკამ მხოლოდ ღიმილით უპასუხა, რევოლუციური გამოართვა და პალტოს ჯიბეში ჩაიდო. ცალი ხელი სულ ამ ცივ ლითონის იარაღზე ჰქონდა და მაგრა უჭერდა.

\* \*

მშენიერი დილა თენდებოლა. გარიერაედა. ცამ მტრედისფერი მი-  
ოლო. კოლკას ეტლი მტკვრის ნაპირის მიდის და ინჯლრევა. ცალი  
მხრით მტკვარი მიჰყება, მეორე მხრით თხემები. ეს მწვენე ბუჩქები  
თითქოს მწვანე ქედელი იყოს, ისე არიან ერთმანეთზე გადაბმული. სად-  
ლაც ბულბულმა საამურად დასტვინა, შამაიკას გააურეოლა, თითქოს  
შესცივდათ. ცას ახედა. მზეს ოქროს თათები გამოეყო. ლამის ლანდები  
საღლაც გაიპარენ. შამაიკა კი მწარე ფიქრებიდან ჯერეც არ გამორ-  
ჩვეულა. ფიქრობს:

— ნეტავ მორჩება? და ეს კითხვა მის გონებას ფოლადის ბურლვი-  
ვით ლრღნის.

კოლკას ეტლმა გათენებას თბილისში ჩაუსწრო.

— კოლკა! ეხლა ვაგზლისაკენ, მე პირველი მატარებლითვე მცხე-  
თაში ვაპირებ წასვლას.

კოლკამ კვლავ პასუხის ნაცვლად, მხოლოდ გაიღიმა დი მიმართუ-  
ლება სადგურისაკენ დაიჭირა. შამაიკა სადგურთან გადონხტა. კოლ-  
კას მაღლობა უთხრა და გასამრჯველო აძლია, მაგრამ კოლკამ ფულს  
ხელი არ მოჰკიდა.

— არა, ჯერ ეგ ფული თქვენ თითონ უფრო დაგჭირდებათ, მერე  
იყოს. ეგეც რომა არ იყოს მე იოსეკასგან იმდენი სიკეთე მახსოვეს, რომ...—  
და კოლკამ კვლავ გაიღიმა, დაქანცული ცხენები მოაბრუნა და შინის-  
ენ წავიდა.

— მშეიღობით შამაიკ! და კოლკა მოშორდა იქაურობას. შამაიკა კი  
მოსამსახურეთა კარებიდან სადგურზე გავიდა.

მეოთხე ლიანდაგზე საბარგო შემადგენლობა ჩამომდგარა. მემანქანე  
წასვლის ნიშანს ელოდება, ნალე მემანქანეს სიგნალი მისცეს, წასვლა  
ანიშნეს. მემანქანემაც საპასუხო სიგნალი მისცა „მივდივარო“ და მატა-  
რებელი დაიძრა. შამაიკა ბოლო ვაგონის საფეხურზე სდგას და გასცემ-  
რის ტრიალ მინდვრებს. ტრიალი მინდვრები ერთმანეთს სცვლიან და  
შამაიკას მწარე ფიქრები კვლავ ფრთვებს ისხამს.

მატარებელმა სცვლას უკლო, ალბად ავჭალაა. ავჭალაში მატარებელმა  
ცოტა შეისვენა, ფილტვებიდან ჰაერი ამოილო და ისეგ შეინძრა.



ეს „ცოტა“ შამაიკასათგის გახანგრძლივდა, ფიქრობს: უკანასკნელი გიდეს რამე, მაშინ იმ ქოფას დავახრჩობ. მაგრამ ის რა შუაშია. იოსეკას რომ მოუვიდეს რამე, მაშინ ხომ სულ ობლად დავრჩი. უკანასენერი მისი სურვილი ის არის, მე ჩემ ხელობას თავი დავნებო. განა მე კი არ მინდა, რომ თავი დავანებო, მაგრამ, რით? როგორ? ნუთუ ჩემთვისაც ზრუნავს ვინმე? მხოლოდ იოსეკა? ხა... ხა... ხა... მწარეს გადიხარხარა შამაიკამ. და ამ ხარხარზე მწარე არა მვინია იყოს: თუნდ ცარებლების მთელი ღვარი, თუნდ წლობით დაგროვილი ნაღველი, თუნდ თვით ასპიტის შხამი—ეს ყველაფერი მისმა თვალებმა და სახის გამომეტყველობამ სთქვა.

— შეიქენი ნამდვილი ადამიანი, ე. ი. ადამიანურად იცხოვრეთ. ცხოვრებასთან ახლო მიდი და მიგიღებსო და განა ცხოვრება მიმიღებს?

— რა ვარ ეხლა მე? ქურდი, ჯიბგირი, ცხოვრებიდან გარიყული. რომელი, რომელი გზით მივიდე ცხოვრებასთან?

— იოსეკა? იოსეკა რალაა. ის ადამიანია ის ნასწავლია, მან იცის ცხოვრებასთან მისასვლელი ყველა გზები და აღვილად მივა მასთან, მე კი?

— არა. ისიც ქურდია, ისიც უსირცხვილოა. მასაც, მასაც დაეკარგა ცხოვრებასთან მისასვლელი გზები. და ამ დაკარგულმა გზაშ ისიც ჩემთან მოიყვანა. დიახ ისიც ქურდია, ნამდვილი ქურდი და ქურდზედაც მეტი. ისიც იპარაეს, მხოლოდ უფრო მოხერხებულად. უფრო „განათლებულად“. ჩეენ შორის სხვა არაფერი განსხვავებაა. არა თუ მარტო იოსეკა ყველა, ყველა ვაჭრები ქურდები არიან. მათ უფრო მეტი ცოდვა აწევთ კისერზე, რადაგან ჩეენ ვიპარაეთ და არ უარყოფთ, ისინი კი იპარაეენ და იმავე დროს, იფიცავენ: ცას, დედამიწას, ცოლშვილს და მზეს რომ არასთერს იპარავენ და წმინდანები არიან. იქნება ამათა ჰერნიათ, რომ ყველა ამ ცოდვოებს მაშინ გამოისყიდიან ხოლმე როცა ქიფურ წინა დღეს ლოცვაში დაიჩიქებენ, და დიდი რაბინი წაილულულებს: შემინდეთა. რისთვისაც კარგ გამოსასყიდს იხდიან.

არა ეს მხოლოდ ნაქურდალის გაყოფაა, მეტი არასთერი და თუ ღმერთი მართლა არსებობს, მათ უფრო მეტი უნდა მოპყიობოს ვიღეუნებენ. შამაიკამ საბოლოოდ დამტკიცა რომ ის და იოსეკა ყველაფრით ტოლნი არიან და შამაიკას გულში, იოსეკას სიყვარულის სალაროს რამოდენიმე წვეთი კიდევ დაემატა.

შამაიკა ფიქრებიდან მატარებლის ყვირილმა გამოატხიზლა. არე მარეს თვალი გადაბვლო. სრულიად მოულოდნელად მცხეთა აღმოჩნდა.

შამაიკა გადმოხტა, ჰალტოს კალთები ერთმანეთზე გადიტანა და შეცვლილი გაეხვია. რამოდენიმე წუთის შემდეგ შამაიკა იოსეკას თავთან იდგა.

იოსე როგორა ხარ? — შეეკითხა შამაიკა თანაგრძნობით.

იოსეკამ თითქოს ხმა იცნო, თვალები გაახილა. შამაიკას შეხედა, თვალებით თითქოს შველას თხოვდა და ისევ ულონოდ დახურა. მოხუცი იქვე ფუსფუსებდა.

— როგორ არის დედი საქმე? მორჩება? შეეკითხა მოხუცს შამაიკა და პასუხის ლოდინში თვალი დაჭყიტა.

— ჭრილობა ძალიან ღრმა არის, თანაც დანის წვერი მოწამლული ყოფილა. ჭრილობა შიგნიდან ჩირქდება — ვნახოთ და უიმედოთ დაიწერა სახეზე კითხვის ნიშანი.

ამის გაგონებაზე შამაიკას სახეზე რისხვა, მუქარა და თხოვნა ერთად გამოჩნდა.

— დედი, მაგ ბიჭის სიცოცხლე მთელ ქვეყნად მიღირს, ერთი სიცოცხლე მაქვს დიდი, სიამონებით ვანაცვალებ და ათასიც რომ მქონდეს ერთსაც არ დავიტოვებდი ჩემთვის. დაუფიქრებლად მივიტანდი მაგის სანაცვალოდ. ეხლა მაგის სიცოცხლე შენზე დამკიდებული. გთხოვ, გემუდარები, მოარჩინო, თორემ.... და შამაიკამ სიტყვა იღარ დააპოლოვა, ვინ იცის რა მოსაზრებით.

— ვეცდები შეილო, ხომ იცით ჩემი სახლის კარები ყველა ვაჭირვებულებისათვის ლიაა. ბევრი მაგისთანა და მაგაზე უარესებიც მომირჩნია, მაგრამ, ვანაგრძო მოხუცმა უფრო ხმა დაბლა და თავი გაიქნ-გამოიქნია — რა ვიცი ჭრილობა ძალიან ღრმა არის. მაგას კარგი წამლობა სჭირდება.

— ძველი მეძავი! რაღაც ანაზდეულად გაივლო გულში შამაიკამ — ფულის წუწკი... აპა დედიჯან, ოლონდ ეგ მორჩეს და... მიაწოდა ათი თუმანი.

შამაიკას უნდოდა იოსეკას დალაპარაკებოდა, მაგრამ მოხუცმა აუკრძალა.

— ჭრილობა ეხლახან შეუხვია, ლაპარაკი და განძრევა ავნებს. ისე-დაც სუსტათაა.

— კარგი დელი. — დაემორჩილა შამაიკა. მე ეხლა წავალ და სამ-ოთხ ათს უკან შემოვივლი. და შამაიკა გამობრუნდა უკან.

\* \* \*

შემოდგომის ნახევარი დაილია. დილ-დილობით უკვე საკმაოდ აცივდა. შამაიკა მცხეთის მიღამოების მშენიერებამ მოხიბლა.

ის მტკვრის ნაპირებს აპყვა. ჩირგვებიდან ათას-გვარი ფრინ-ლთ ჭიქუიკი და საამური სტვენა მოისმის. ბუნების შეყვითლებული



მომწერებანო სამოსელი თვალს ხიბლავს და თავისკენ იზიდავს. შემაჯუშებულებში ერთი კენტი მეორეს სცვლის, მეორეს მესამე და ასე განაგრძობს ჩაფიქრებულ სიარულს. მტკვრის ნაპირის ლოდზე ჩამოჯდა ხელები მუხლებზედ დაეყრდნო და სახე ხელის გულებში ჩაიფლო, ზურგს უკნიფირინველებს მშენებირი კონცერტი გაუმართავთ, წინ კი მტკვარი თავისებურად მოდუღუნებს.

მზე შემოდგომის სუსტს და ვნებიან სხივებს მტკვარში ისვრის. მტკვარი მას ათას ფერად აბრუკიალებს. შამარკაც დაიმონა ბუნების ძლიერმა ძალებმა და ტქბილ ოცნების ფურცლებში გახვის.

— რა კარგი იქნებოდა რომ შამაიკას დედმამა არ დახოცოდა. დგა და მაინც, ფიქრობს შამაიკა. მაშინ ის დიდი ვაჭარი გამოვიდოდა, ფულთან ერთად სახელსაც მოიხვეჭდა და ყველა სცემდა მას პატივს, რა საკვირველია. რადგანაც მათში ბოვშვაც კი იცის რომ „იუშ მამონ, იეჲ ქაბოდ“ მერმე ვისმე ლამაზ ქალს შეიყვარებდა.

არა ის ვაჭარი გამოვიდოდა. აუცილებლად ისწავლიდა ინჯენერი ან ექიმი შეიქნებოდა. და როცა სწავლას დასასრულებდა, მხოლოდ მაშინ შეიყვარებდა ვისმე.

ერთი ახალგაზრდა ჩეილმეტი წლის ქალიშვილი რაღაც უფრო შეტ სიმპატიას და თანაგრძნობას იწვევს მასში მისი: ალის ხესავით აზიდული ლამაზი ტანი, მისი მარმარილოსაგან გიმოქანდაკებული სახე, ხუჭუჭი გრძელი თმა, მარჯნის ფერი ტუჩები და განსაკუთრებით ლამაზი მოყვანილი გულმქერდი—ყველა ახალგაზრდა ვაჟს აუფრთხიალებს გულს. ძარღვებში სისხლს უმღვრევს. მაგრამ მისი ზრდილობიანი მოქცევა და თავდაჭრილობა, ყველას თავის და უნებურად ათქმუვინებს „დაილოცას შენი გამზრდელიო“. შამარკასაც ეს ანგელოზი შეუყვარდება მის ხუჭუჭა თმას ჩაიკრავს გულში. მის ტუჩებს ზედ დააკვდება და მისი მკლავებში დაისადგურებს.

მაგრამ უარი რომ უთხრას და ქალმა არ შეიყვაროს. არა ეს შეუძლებელია. მტკიცედ ხმამაღლა წამოიძახა შამაიკამ და თვალები გაახილა ხელები კვლავ მუხლებზე ედო სახე შიგ ჩაეფლო და გარინდებულიყო.

შამაიკას ხმაზე, ქალი შეკრთა, ალბათ ამ ადგილებშიაც ამდროს არავის ელოდებოდა. მაგრამ ბევრი აღარ უფიქრია, ერთი კი ამოიკვენესა „მშვიდობითო“-და გადაეშვა აქაფებულ მტკვარში. ვის დაემშვიდობა ან რას, შამაიკას არ გაუგია, ჯერ ისევ ოცნების გაგრძელება ეგონა, თვალის შევლება ვერცემ მოასწრო, რომ წყალმა ქალი დამალა. მაგრამ ამ ერთი შეხედვითაც ბევრი რამ ამოიკითხა მის სახეზე: ზიზღი, ნაღველი და ტანჯვა ერთმანეთში არეულიყვნენ.



შამაიკა მოუფიქრებლად ქალს გადაყვა წყალში. თუმცა გადაყვა და მის აღისელმა ავარამ კარგად იცოდა ცურვა, მაიც გაუჭირდა ცოცხალ-მკვდა-რი ქალის გამოყვანა. გადარჩენილი ქალი, იქვე მოიყვანა და მზიან ადგი-ლას დააწვინა.

\* \* \*

ორი დღის შემდეგ შამაიკას გადარჩენილი ქილი და იოსება თითქმის ერთსა და იმავე დღეს მოვიდენ გონიერების მისამართის პირ-დაპირ მდგომ თავისუფალ ტახტზე მიუჩენია ადგილი და ორივეს მზრუნ-ველობით უკლის რადგან კარგი გამოჩრენა აქვს. მალე შამაიკაც მოვი-და თან ცუტა ხილი და ორი თეთრი შოთი პური მოიტანა. იოსება რო-გორა ხარ? — შესვლისთანავე პერიოდი შამაიკა იოსებას.

— მე, მე... იმდენი არაფერი მიჰირს, რამდენიც ე მაგ შენ გა-დარჩენილ ქალს, ძლივს ლაპარაკობდა იოსება. მე თითქვის ყველისფერი გა-ვიგე. ორი დღეა საწყალს საშინელა სიცხე პერიოდი და აბოდებდა. ბოლ-ვაში საიდუმლო გამოამუდავნა. შეიძლება არც უნდოხა. მე მაიც ყვე-ლაფერი გავიგე.

ვიღაც შეპერიებია ცოლად შეგირთავო, მაგრამ მოტყუებით ნამუსი წაურომევია და თავი გაუნებებია. საწყალს ტანჯვა ველარ აუტანია და ნიძრას სიცოცხლისათვის სიკედილი უმჯობინებია. მტკვრისთვის მიუცია თავი. იოსება ულონობისავან ტახტზე დაეცა. შამაიკას გული აემლორა. ქბილები გააკრაჭენა და კარში გამოვარდა.

რა იყო ჩემი შამაიკა, რა გაჯავრებს. ვიღაც ქალისათვის მოტყუებით ნამუსი წაურომევიათ და სასიკვდილოდ გაუწირავთ მერე შენ რა? განა შენ და შენს მოქმედებას კი არ გაუწირავს რამოდენიმე სრულიად უდანაშა-ულო ადამიანი? გახსოვს ერთხელ მოხუცს მატარებელში პორთველი რომ მოჰქმარე. შიგ დალუქული პაკეტების გარდა ორასი თუმანი იძოვე. პაკე-ტები დაათვალიერე და ფული რომ არ აღმოჩნდა დასწვი. ის ორასი თუ-მანი კი ორ კვირაში არ გეყო გასაფლანგათ. იმ მოხუცმა კი თავისივე ხელით იღრი საიქიოს მგზავრობის ნებართვა. შამაიკა ფიქრებიდან გრილმა გამაცოცხლებელმა სიომ გამოაფხიხლა და ქოჩში შევიდა.

ქალს აქამდე ეძინა, მხოლოდ ეხლა იღვიძებდა.

ცწორედ ის არის, ის, შამაიკამ თუნებით რომ მიითვისა მტკვრის პი-რას, შამაიკა რაღაც ანდამანტურმა ძალიმ ქალის ტახტან მიიყვანა. ქალმა თვალები მოიფშვიტა და შამაიკას თვალებში შეხედა. თვალი თვალს მო-ტვდა და ორმა გულმა ერთნაირად დაიწყო ფრთხიალი. ქალმა ლიმილით და სუსტით უთხრა შამაიკას.



— ვიცი ოქვენ გადამარჩინდთ. მაგრამ მაღლობელი კი შეუძლია მისთანა უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილთათვის ამ ქვეყნად საცხოვრებელი ადგილი არ არის. რა უყოთ ალბალ ბუნებასაც მოსდის შეცდომა რომ ჩენ გვაჩენს, ჩვენ ამ შეცდომას ვაწორებთ და ვბრუნდებით იქ საიდანაც მოსულვართ. ოქვენ კი ამ საქმეში ხელი შემიშალეთ.

შამაიკას მწარედ ჩაეცინა და ქალს უთხრა:

— შეცდომით გაჩენილო! თქვენ სცდებით. თუ მართლა ამ ქვეყნად საცხოვრებელი ადგილი ყველას არა პყოფნით ყოველ შემთხვევაში თქვენისთანა ანგელოზებმა არ უნდა დასტოვონ ეს ქვეყნა. განა კოტა არიან დრო მოჭმული ხალხი და დამჭვნარი ყვავილები. თქვენ კი მხოლოდ ეხლა იწყებთ გაფურჩქვნას. მაგრამ საქმე არც ეგრეა. ქვეყნა დიღია, ყველას ეყოფა საცხოვრებლად.

— მე მაინც არა მწამს თქვენი საქციელი, მე არაფერს ისეთს არ დაიჯერებ, რომ თქვენ სიკვდილამდე მიეყანეთ. სოქვა შამაიკამ მტკიცედ.

— მაშ არა გჯერათ, რომ მე მაიძულეს, დიახ ცხოვრებამ მაიძულა რომ თავი დამეხრიო. უკეთ რომ ვსთქვა მე კი არ დავიხერჩე თავი, ცხოვრებამ დამახრიო.

მე კიდევ არა მჯერავს. მე მგონია აქ უბრალო ქალური სულმოკლეობა უნდა იყოს და მეტი არაფერი, — ჩაილაპარაკა იოსეგამ თავისთვის და იქვე ტაბურეტებაზე ჩამოჯდა.

იოსეკას მისინებოდა.

— მაშ ყური მიგდეთ და დაიჯერებთ რომ მე მართალი ვიყავი, როცა მტკვრის ტალღებს მიეცი ჩემი ცხოვრება გისაწმენდათ. ქალმალრმად ამოიკვნესა, თითქოს მთელ სიცოცხლეში დაგროვალი ნაღველი ეხლა ამოილო გულიდანო.

— მე ერთი, საწყალი ისრაელის შვილი გარ. ჩვენ ებრაელთა უბანში, ერთს ნახევრად მიწურ ნესტიან თოახში გცხოვრობდი. მამა ჩემი ძველებით ვაჭრობდა. ჩემს გარდა კიდევ ხუთი შვილი ყავდა სარჩენა. მე ვიყავი მათში ყველაზე დიდი. ოთხი ჩემზე პატარა ქალები იყვნენ და მე ხუთე ყველაზე პატარა ვაჟი იყო. მაშა ჩემი თუმცა შრომის მოყვარე კაცი იყო მაგრამ იმდენ ვერასფერს შოულობდა რომ ცარიელი ლუკმა პურით მაინც გამოეკვება ჩვენი თავი, სხვა არასფერს ვთხოულობდოთ.

მე დედას ვთხოვე — წავალ ვიმუშავებ მეთქი. საწყალმა დედამ ცრემლები გადმოჰყარა და მიპასუხა:

არა შვილო, სირცხვილით სიკვდილს ისევ სიმშილით სიკვდილი მირჩევნება. შენ, რომ მუშაობა დაიწყო, ქუჩაში აღარ გაგვატარებენ. ხომ გახსოვს საწყალი დებორას რა უყვეს, კინაღმო ქვებით არ ჩაქოლეს, შაბათ დღეს როგორ იმუშავეო. დედაჩემი ჩაფიქრდა და იმ დღიდან ახლო მახ-

ლო მეზობლებიდან სარეცხი მოჰქონდა დასარეცხად, შორს კი ვერ ბე-  
დავდა წისვლის. არ უნდოდა სხვებს გაეგო ჩვენი მესარეცხეობა სარეცხად  
ნოდა საწყალს. ამ დღის შემდეგ ჩვენ ყოველ-დღე სარეცხს ვრეცხდით.  
ხელებზე კანი გადაგვძვრა და ბევრი რეცხვისაგან სისხლი დაგვდინდა.  
მაგრამ მაინც არაფერი გამოდიოდა, მხოლოდ კუჭსაც ვერ ვიძლებდით.  
ჩვენ თითქმის ყველა ნახევრად ტიტველი დავდიოდით... დედაჩემი ხში-  
რად სტიროდა და ღმერთს ეხვეწებოდა „ღმერთო ნუ გაუშვებ შენ გა-  
ჩენილს უყურადღებოთ, მოიღე წყალობა მოგვეცი ფარნასა. ჩემს სიფო-  
რასაც კარგი ბედი აღირსე“. მერე მე დამიძახებდა გულში ჩამიკრავდა  
და მეტყოდა.

— მოდი შვილო სიფორ, მოდი ეხლა შენი გათხოვების დროა. მაგ-  
რამ, ღმერთმა ხომ იცის, მე შენს სახელზე კაპიკის საფასურო არაფერი  
მაქვს, უმზითოთ ქალს კი ხომ უყურებ არავინ გთხოულობს. მაგრამ არა  
უშავს-რა ღმერთი მოწყალეა, ამ სიტყვებით გულში მიბუტებდა და სტი-  
როდა. მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი იმ დროს. ეჭ, ახლა კი ეს მირ-  
ჩენია მიწამ პირი დააბლოს და თან ჩამიტანოს საწყალი. დედა... და სი-  
ფორას ცრემლი შოადგა თვალებზე. როცა დამშვიდდა განაგრძო...

— ჩვენ პირდაპირ ერთი მდიდარი ვაჭრის შვილი ცხოვრობდა საცა  
წავიდოდი სულ ლანდივით თან დამდევდა. სიყარულს, ერთგულებას და  
ცოლად შერთვას მპირდებოდა. ვითქირე დედას ტანჯვას შევუმსუბუქებ  
მეთქი და იმ ვაჭრის შფილს უთხარი: თუ მართლა ჩემს ცოლად შერთვას  
აპირებდა წესისამებრ კაცი გამოეგზავნა ჩვენს ოჯახში და ჩემი თავი  
ეთხოვა.

— მამა ჩემი არა მრთავს ამის ნებას, მიპასუხა ვაჭრის შვილმა, მაგ-  
რამ მე მას გავეყრები და ცალკე ვიცხოვროთო, და გამუდმებით მთხოვ-  
და გავყოლოდი როდისმე სადმე გასასეირნებლად.

— და ხშირად ასახელებდა ბოტანიკურ ბალს და მამადავითის გო-  
რას. თქვენ შეიძლება. არც კი გენახოთ ბოტანიკური ბალი. ეს პირდაპირ  
სამოთხეა, სამოთხე. მეუბნებოდა შემპარავის ხმით. ერთ სალამოს  
იქამდე გათავსედდა, რომ კოცნაც დამიპირა. მე ამის საპასუხოდ ერთი  
მაგარი სილა გაგაწანი სახეზე მან პასუხი ვეღარ მოასწრო რაღვან საიდა-  
ნაც მომავალი დედაჩემი შენიშნა დარცხვენილი და კუდამოძუებული  
გაიპარა.

გავიდა ორი კვირა. მე ის აღარ მინახია. ერთ უმთვარო ღი-  
მეს მე სარეცხი პატრონს წავუღდე და მწირე ფიქრებში გართული ნელი  
ნაბიჯით ვბრუნდეშოდი შინ... და ქალი კვლავ აღელდა, ცრემლებით და-  
ენამა თვალები. ცოტა შეისვენა და სოქვა:

— მგონი თავი მოგაბეზრეთ, ამდენი ყბედობით არა...

— არა, სრულიადაც არა, მეც მასეთი მწარე ბედი ვზიდე ჰურგით. მე  
მას შემდეგ შევიქენი ნაძირალად რაც მამა და დედა მომიყვდა მარტინი  
ქალი გარინდებულიყო, თითქოს ვაუისა არა გაუგია რაო, განაგრ-  
ძობდა.

— პო და შუა გზაზე მეხი დამეცა თავზე. სული მეხუთებოლიდა, ვი-  
ხრჩობოდი, ჯერ ვგრძნობდი ეტლში ჩამსვეს და სადღაც გამაქანეს. მერე  
ამის გრძნობაც დავკარგე....

ახლად ოენდებოდა მე წამოვდექი მაგრამ რომ დავფიქრდი წაებარ-  
ბაცილი-იქვე დავეცი. როცა ხელმეორედ თვალი გავახილე, იქვე ცოტა  
ფული და პატარა ბარათი ვნახე. ბარათში ეწერა:

„რასაც ნებით არავის მისცემ, იმას ძალით წაიღებენ. ეს უნდა გც-  
ოდნოდა. გამოსასყიდი შეგიძლიან აიღო და როგორც გინდა ისე მოიხ-  
მარო“.

— გავითვალისწინე ჩემი მდგომარეობა. ჩემი სახლში დაბრუნება  
აღარ შეიძლებოდა. კახპალ, უნამუსოდ, მომნათლავდენ და უბანი ჩამქო-  
ლავდა.

არც სახლში ველოდი არაფერს კარგს: ავადმყოფი მამა და ხუთ ხუთი  
მშიერი ბავში, დედის ცრემლები, უსაზღვრო ტანჯვა, დამცირება, დაცინვა  
და ყველასგან ფურთხი და ზიზლი,-ასეთ სიცოცხლეს სიკედილი ვამჯობინე.

— აბა ახლაც იტყვით რომ აქ ქალური სულმოკლეობაა და მეტი  
არაფერი. სიფორა კვლავ აქვითონდა. შამაიკასაც ცრემლებით იევსო თვა-  
ლები და თითქოს ამ ქალს კი არა სხვას ელაპარაკებაო სოქვა:

— მაშ მე აქამდე ათასჯერ უნდა მოშეკლა თავი. მაშ ეხლა მეც და-  
მიგდეთ ყური. ქალმა ტირილს თავი დაანება და სმენად გარდაიქცა. შა-  
მაიკა დალაგებით მოუყვა შავი ლაქებით დაფარული თავისი ცხოვრების  
ამბები და იოსკაც გააცნო.

— იი ეს არის ჩემი ერთად ერთი პატრონი, ძმა და ამხანგი. ამიე-  
რიდან ჩენ ორივვ ერთად დავიწყებთ ცხოვრებასთან მიმაგალი გზების  
ძებნას, ვიპოვით მას, მივალთ ცხოვრებასთან და შევიქნებით ნამდვილი  
ადამიანები; ამ სიტყვებთან ერთად ორივემ იოსკას გადახედეს.

იოსკა ძლივს-და ფეთქვედა. შამაიკამ მასთან მიირბინა, ცოტა არ  
იყოს შეშინებულმა შეეკითხა.

— როგორა ხარ იოსკა. იოსკამ ულონობისაგან თვალები ვერ ახილა  
და მხოლოდ ტუჩები იამოძრავა. მას აღმოხდა სუსტი კვნესა და თან ამ-  
ოყოლო:

— ძალიან ცუდად შამაიკა ძალიან, და ველარ გააგრძელა, რადგან სი-  
სუსტემ სძლია.



შაროთლაც საქმე ძალიან ცუდათ იყო, იოსკას იმ ქვეყნამდგრად დამტკიცებულის დამარცხებულის გადასაცემის დროიდა. შამაიკა გრძნობდა, რომ დედაბრის წამლები იოსკას ღრმა ჭრილობას ვერაფერს უშველიდა. პირიქით ჭრილობას ჩიქენიდა და უფრო ილრმავებდა. იოსკასათვის არაფერი უცოთხავს და ადგილობრივ ექიმს დაუძახა. ექიმს შამაიკა გზა და გზა უხსნიდა მე და ჩემი ამხანაგი აქვე ახლო სოფელში ვიყავით, პატარა სავაჭრო საქმე გვქონდა წალებული, საქონელი გავყიდეთ და უკან გბრუნდებოდით. ვიდრე ავტომობილის გზაზე მოგსულიყავით, კარგა მანძილი გვქონდა გასავლელი. ღმმდებოდა. მე ჩემს ამხანაგს ურჩიე იმ ღამეს სოფელში დარჩენილყავით და დილით წამოესულიყავით მაგრამ გაჯიუტდა და არ დამიჯერა. იმ ღამეს მაინც წამოვედით. შუა ღამე გადავიდა და ჩენც ნახევარ გზაზე მეტი გამოვიარეთ. მაგრამ უცემ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული რამოდენიმე კაცი თავს დაგვესხა. ჩემმა ამხანაგმა წინააღმდეგობის გაწევა მოინდომა. არ დაგვინდვეს და მხრის თავში დასჭრეს. აქამდე ძლივს მოვიყავნე და ეხლა კი ძალიან ცუდათ არის. ამ სიტყვებით ქოხს კიდეც მოუახლოვდენ.

მოხუცს ექიმის მოყვანა არ ესიამოვნა, მაგრამ ხმა არ ამოულია. შამაიკას ეშინოდა, იოსკას არაფერი ისეთი არ ეთქვა, რომ მისი ნათქვამის წინააღმდეგი ყოფილიყო. იოსკას სისუსტისაგან ხმა არ ამოულია.

ექიმმა ძონძებით შეხვეული ჭრილობა გახსნა და თავი გააქნია.

— ხშირად თქვენ თავს, თქვენ თითონვე ღუპავთ. ვინ დაადო ეს მალამო, ამას უფრო მეტად გაუფუჭებია საქმე. თუ ორ დღეში ოპერაცია არ გაუკეთეთ დაილუპება, ჩირქი ძვლამდე დასული. ექიმმა ჭრილობა თბილი წყლით მოხანა, სუფთა მარილით შეხვია და მტკიცედ სთქვა:

— დღესვე უნდა დააწეანოთ საავაღმყოფოში.

შამაიკას სახე სამაგალითოდ დაღრეჯოდა და შიშისაგან წამიიძახა:

— მორჩება თუ არა?

— თუ მოასწარით და ოპერაცია დროზე გაუკეთეთ არა უშავს რა? ვული მაგარი აქვს. ექიმმა იარაღები პატარა ჩემოდანში ჩააწყო, პატარა ბარათი დასწერა და შამაიკას მისცა.

— აი მაგ ბარათს საავაღმყოფოში გადასცემთ, მანდ ყველაფერი სწერია. ექიმი ქოხიდან გავიდა. შამაიკა თან გაჰყვა. როცა ქოხიდან გავიდენ, ექიმმა კიდევ რამოდენიმე რჩევა-დარიგება მისცა და უთხრა:

— საქმე ძალიან საფრთხილოა, თუ დროზე არ უპატრონეთ მოკვდება შამაიკა შიშისაგან დამუნჯებულიყო.

მან სადღაც ეტლი იშოვა და ქოხს მოადგა. მოხუცი ქალის დახმარებით იოსკა ეტლში ჩასვა. როცა კარგებში გამოდიოდა მან სიფორას შევალო თვალი. სიფორა ჩუმად სტიროდა. მაგრამ ცდილობდა ცრემლი



არავისთვის დაენახვებია. შამაიკამ იოსეა ეტლში ჩასვა, თითონი ქადაგი ქანაში შებრუნდა. სიფორას ცრემლები მას გულს უთუთქავდა და თქმლები ცრემლებ-მომდგარმა უთხრა:

— ნუ გეშინიან დაო სიფორ, მე ქალაქში მივდივარ, იოსეას სავადმყოფოში დავაწვენ და დღესვე დავბრუნდები. თუ ნებას დამრთავ თქვენთვისაც ვიშოვი ბინას. მე ამის სახსარი გამაჩნია. შენ კი ნუ სტირი, ნუ გეშინია.

სიფორას პასუხი არ გაუცია მხოლოდ სტიროდა. შამაიკა ქოხიდან გამოვიდა ეტლს მოახტა და მეეტლეს წასვლა ანიშნა.

\* \* \*

როცა იოსეა პალატში შეიყვანეს და სუფთა ლოგინზე მოათავსეს მხოლოდ მიშინ შესძლო ხმის ამოლება და უთხრა შამაიკას:

შამაიკა, მიდი ნორაშენის ქ. №-ში და სთხოვე არონ შამისთვალოვს მინახულოს. შამაიკა სავადმყოფოდან ჯერ პირდაპირ არონთინ წავიდა და არონს შეატყობინა: იოსეა სავადმყოფოშია და გთხოვა მინახულეო. არონ-მა ყველაფერი დაწვრილებით გამოჰქიოხა, დაღონდა და აღუთქვა აუცილებლად ვინახულებო. მერე შამაიკა ჯარასაბით დატრიილდა. აქეთ ეცა იქეთ ეცა უნდოდა საღმეოთახი დაექირავებია. ბოლოს ოთახებიც იშვია. სოლოლაკის ქუჩაზე ორი პატარა ოთახი — თავის სამჩარეულოთი. ფასზე მორიგეონ. შამაიკამ ფული გადიხადა და გასაღები ჯიბეში ჩაიღო. აქედან პირდაპირ სადგურისაკენ გაექანა. პირველი მატარებლითვე მცხეთაში აპირებდა წასვლას და გაახსენდა რომ სიფორას ფეხსაცმელი სრულებით არა ჰქონდა. დეზერტირისაკენ შეუხვია. კაბა, ჩულექი, და თითო წყვილი ქალის ფეხსაცმელი და საცვალი იყიდა. საღამოს მატარებლით შამაიკა და სიფორა ქალაქში დაბრუნდენ. და სოლოლაკის ქუჩაზე დაჭერილ ბინაზე მივიდენ.

\* \* \*

საღამოს არონი კამოს სახელობის საავადმყოფოს ქვედა სართულის გრძელ პალატაში იოსეას ეძებდა. მაღლე იპოვა.

— როგორა ხარ, იოსეა, რა დაგემართა?

— ეჭ, ჩემისთანა საქმე, ჩემს მტერს დაემართოს. არ დაგიჯერე დამრუდე გზამ ცოტაზე მიმსხვირბლა.

ეხლი რას ფიქრობ?

— რას ვფიქრობ? გადაწყდა! ამიერიდან მე ვტოვებ ჩემს ძველ ცხოვებას.

არონი პალატიდან მხოლოდ მაშინ გამოვიდა, როცა დარაჯმა მესამედ გაუმეორა რომ ნახვის დრო დიდიხანია გათავდა.

\* \* \*

არ გასულა ორი კვირა, რომ იოსება სრულიად მოკეთდა. ოპერა-  
 ცია ადვილად გადიტანა, მოკეთებაში იმანაც შეუწყო ხელი, რომ მის  
 ძარღვებში ჯანმრთელი სისხლი სჩექდა.

მისალები დღეა, მნახველებს შორის სუფთად ჩაცმული შამაიკა და  
 სიფორა მორცხვად გამოიყურებიან. მნახველები შეუშეეს. სიფორა და შა-  
 მაიკაც იოსებასთან გაჩნდენ. იოსებამ ისინი შორიდანვე შენიშნა და ახლო  
 რომ მიგიდენ სიცილით მიაძახა:

— ღმერთმა ხათანი და ქალა ცოცხლოს! ყოჩალ, ყოჩალ. სიფორამ  
 მორცხვად თავი ჩაღუნა. როცა ნაშეის დრო გათავდა და სიფორა და შა-  
 მაიკაც წასვლას აპირებდენ იოსებამ თავთითიდან პატარა ბარათი გამოიღო და  
 შამაიკას გადასცა.

— ია შამაიკა! თუ არ დაგეზარება, ეს წერილი ანჩხატის №... ში მიი-  
 ტანე და ნინა შარაშიძეს გადაეცი. შამაიკამ გაიღიმა და წერილი ჩა-  
 მოართვა.

— აბა იოსება შენ იცი, რომ მალე კარგად გახდები, გამოხვალ და  
 საქმეს ვიშოვით. მე უშენოდ ფრთხებ მოტეხილი ვარ.

— მშენდობით იოსება, დაემშვიდობა სიფორაც და ხელი მეგობრუ-  
 ლად ჩამოართვა.

შამაიკა და სიფორა გაბრუნდენ. იოსებამ ნასიამოვნები თეალები  
 გააყოლა.

\* \* \*

ერთხელ იოსებამ პალატაში, სრულიად მოულოდნელად თავის ძვე-  
 ლი ნაცნობი სომეხი აშორა დაინახა. ერთ დროს აშორა ვაჭარი და იოს-  
 ებას კარგი ამხანაგი იყო, მაგრამ ბიძაშვილის რჩევით და დარიგებით  
 მან ჯერ ხელობა ისწავლა და მერე მუშაობა დაიწყო. აშორას მამა ამ  
 პალატაში იწვა, აშორა მამის სახახვათ მოსულიყო. მან იოსება ვერ იცნო  
 და ყურადღება არ მიუჰცევია.

როცა აშორა წასვლას აპირებდა, იოსებამ დაუყვირა.

— აშორა, აშორა! ვერ მიცანი?

— რატო ვერ გიცანი შენ აქ რა გინდა?

— როგორც მხედავ დაჭრილი ვწევარ. ჩემი საქმე ძალიან ცუდათ  
 იყო ეხლა კი არა მიშავსრა. მოვცოცხლდი.

— ვინ დაგჭრა, როგორ კაცო, რას მოვიფიქრებდი, და იქვე მდგომ  
 სკამზე ჩამოჯდა.

იოსეკამ დალაგებით მოუყვა თავის თავგადასავალი და დაძლილობა:  
— არა მიშავსრა აშოტ მე ეხლა ორნაირად განვიკურნე, სულიერადაც და  
ფიზიკურადაც გალე შამაიკასაც მოვაჭრებიანებ. მაგრამ მინდა ორმ აღარც  
თქვენი ბიჭები დარჩენ მაგ წუმპეში. მართალია შე მათ დამჭრეს მაგრამ  
მე ვიცი რომ ამაში ისინი კიარ არიან დამნაშავენი, არამედ მათი აღზრ-  
და. ისინიც უნდა გამოვითრიოთ იმ ჭაობიდან. აშოტა ჩაფიქრდა. სიჩუმე  
ისევ იოსეკამ დაარღვია.

— აშოტ, შენ იხლა სად მუშაობ?

— რა ვიცი ჯერ უბრალო მუშა ვიყავი, მერე კომქავშირში შეველი  
და დამაწინაურეს, ეხლა საწყობის გამგეთ ვარ.

— მაშ შენ კომქავშირელი ხარ? გაიკვირვა იოსეკამ.

— ჰო, უკვე შვიდი თვე.

მაშ ყური მიგდე. იმათ ხასიათს მე უფრო კარგად ვიცნობ. იმათთან ძალ-  
დატანებით ვერასფერს გახდები. შენ ყოფილი მათი ამხანაგი ხარ, არ მოგე-  
რიდებიან და სიტყვით უნდა იბრძოლო, პრაქტიკული მაგალითებით დაუმ-  
ტკიცო, თორემ არ დაგიჯერებენ. ანჩხატის ჩასახვევი უნდა მოისპოს, გეს-  
მის ჩემო აშოტ, უნდა მოისპოს. აშოტა ძალიან ღრმად ჩაფიქრდა.

— იოსეკა შენ საიდან, იცი მაგდენი. მე ვთიქმუნდები  
რომ შენ სრულიად მართალი ხარ და მიკვირს აქამდე ჩვენი უჯრედის  
კურადღებიდან როგორ გამოგრჩა ეგ საკითხი. მით უმეტეს ჩვენი უჯრე-  
დის წევრების უმრავლესობა მაგ უბანში ცხოვრობს.

— მე ამდენი ვინ მასწავლა? აი ამან და ბალიშის ქვეშიდან გამოი-  
ლო რამოდენიმე წიგნი, რომლებიც არონს ხშირად მიჰქონდა იოსეკა-  
სთან.

აშოტას გაუკვირდა და წიგნები გადაათვალიერა. დარაჯი შეატყო  
ბინა რომ ნახვის ნება გათავდათ.

— მშვიდობით იოსეკა. ვეცდები რაც დამავალე შევასრულო. ხვალევ  
მთელ უჯრედს ფეხზე დაგაყენებ. რაც შეიძლება ვიბრძოლებთ და ალბად  
მალე პალოშასთან და სერიოულებასთან შეგარიგებ.

— მშვიდობით აშოტ, აბა შენ იცი. და აშოტამ მძიმე ფიქრებით  
დატვირთულმა პალატა დასტოვა.

\* \* \*

აშოტა ორი კვირის განმავლობაში თავის უჯრედის წევრებით ანჩის-  
ხატის ჩასახვევს აღარ ცილდებოდა. თითონ კი პალოშასთან და სერიოუ-  
ლებასთან მიჰქონდა იერიში იერიშზე. უყურებდა აჩისხატის ჩასახვევში მათ  
თამაშს და უკითხავდა ნატაციებს. სერიოული მალე მოიყვანა ჭკუაზე, პა-  
დოშა კი ვაჯიუტდა. მალე სერიოული აშოტას რჩევით ტყავტრესტის



ტაქვაზე დაიწყო მუშაობა. პადოშა კი ფოლადათ გადაიქცა არ იღუშებულიათ როგორც იყო, მხოლოდ იმაზე დაითანხმა რომ იოსეს შერიგებოდა. და ერთს სალამის აშოტამ, სერიოუქამ და პადოშამ იოსეს პალატის კარი შეაღეს.

— გამარჯობა იოსეს,—მიესალმა აშოტა. პადოშა და სერიოუქას კი ხმა არ ამოულიათ და თავები მაღლა დაელუნათ—ამხანაგები მოგიყვანე. აბა გადაკიცნე, —განაგრძო აშოტომ. პირველად სერიოუქამ ჩამოართვა ხელი იოსეს, მერე პადოშამაც სერიოუქას მიჰპადა. წამით უხერხული მდგომარეობა ჩამოვარდა. სიჩუმე სერიოუქამ დაარღვია.

— იოსე გამოვტყდეთ, ჩეენ გამბობთ სულაც არ გვინდოდა სისხლის დალერა, ჩეენ მხოლოდ ფულის წალება გვინდოდა და სულ სხვანაირად კი გამოვიდა.

— ეჭ, რაც მოხდა, მოხდა, წასულს თავი დავანებოთ და ამწყოზე ვიფიქროთ. გავიგე შენ მუშაობა დაგიწყა და ჩეენ ხელობისათვის თავი დაგინებებია. ეს ძალიან კარგია. შენ კი რაღას ელი პადოშ, შენ ამიერიდან უნდა გვითხრო შენი ნამდვილი სახელი და დაგვანახო შენი ნამდვილი სახე—პადოშა სღუმდა.

— მაგის მამას გალუსტა ერქვა, მაგის ნამდვილი სახელი კი ერვანდა, უპასუხა სერიოუქამ პადოშას მაგიერ. პადოშა კი კვლავ სღუმდა და ფიქრობდა.

— არა გიშავს რა ჩემო ერვანდ, მალე შენც დაინახავ შენ შეცდომას, თვალები აგეხილება და თავს დაანებებ ბაზარს, მეტი ხმა არავის ამოულია ისე გამობრუნდენ პალატიდან.

\* \* \*

შეორე დღეს შამიიკაც ანჩისხატის № . . . ში კითხულობდა: ნინა შარაშიძე აქ ცხოვრობს.

— შეორე სართულზე,—უპასუხა მოხუცმა ქალმა. შამიაიკა თვალის დახამხამებაზე გაჩნდა მეორე სართულზე და დერეფნის კარებზე გულის ფანცქალით დააკაკუნა:

— კარები ახალგაზრდა მოხდენილშა გოგომ გაუღო.

— ნინა შარაშიძე...

— მე გახლავართ, —გააწყვეტინა ქალმა და ბარათი ჩამოართვა, რომელიც შამიაიკამ გაუწოდა.

— მობრძანდით, —შეიპატიუა ქალმა.

— არა, გმადლობთ, პასუხისათვის კი მოვალ, როდის იქნება?

— მე ეხლავე წავიკითხავ და პასუხსაც მოგარომევთ. ვისგან არის იოსესა და იოსესა გან.



— იოსეასაგან? გაიკერძა ნინამ და წერილი ისე სწრაფად უგულისხმია და დაიწყო კითხვა თითქოს შიგ დაპერგვია რამეო. იოსეა სწერდა:

მეგობარო ნინა!

მე თქვენთან მტყუანიც ვარ და მართალიც. მე მინდა ყველაფერი მოგიყვეთ, მაშ ყური მიგდეთ: მე ერთი ლარიბი ებრაელის შვილი ვარ. პატარაობიდანვე ლარიბობაში აღვიზარდე.

წლის მერე გულში ლმერთის შიში ჩამინერგეს, ხელში ჩისტის ყუთი მომცეს და მითხრეს: ეხლა შენი სარჩი შენვე იშოვეო, გეყოფა რაც აქა-მდე გაცხოვტეთ. ჩისტის ყუთი ჩურჩხელამ და სემჩჩამ შესცვალა. მე მაინც სწავლა მწყურდა. ჩემი ტოლი ბიჭები ჩვენს უბანში ბევრი სწავ-ლობდა. მე ისინი ხშირად გამიჩერებია ქუჩაში და მათი ლამაზი სურა-თებიანი წიგნები გულმოდგინედ დამითვალიერებია. დედამ თავისი გაი-ტანა და სკოლაში მიმაბარა. მამაჩემი კი სულ ეჩუბდებოდა დედას.

— შე კვდარძალლო, ერთი მითხარი, რა უნდა გამოგივიდეს, რომ ისწავლის? დოხტრური? ისე გიცხონდა კვდარი. ვერ გაიგე რომ სწავლა ისრაელის საქმე არ არის? შენ მაგას თორაზედაც ხელი აალებინე თორემ გამოტვინდება და გაუბედურდება. გაგიუბედურდა გვარი და მიშვახა....

— რათა, კაცო, რათა! ხომ უყურებ, უსწავლელი კაცი კაპიკათ არა ლირს. ქვეყანა გამოიცვალა. ხომ გაგიგია რომელ ქვეყანაშიაც შეხვალ ისეთი ქუდიც დაიხურეო.

მე რაც შეიძლება მუყაითობას ვიჩენდი, რომ დედიჩემის იმედი გა-მემართლებია. კარგად ვსწავლობდი. შეექვსე ჯგუფში გადავედი. წლის მიწურულში სკოლიდან დაგვიიხოვეს. მამაჩემმა რომ თავისიუფალი დამი-ნახა, მალე სავაჭრო საქმე გამიჩინა. ვიღაც კაცს ათი მეტრო სატინა გა-მოართვა. ფასი რამოდენიმეჯერ გამიმეორა, დამარიგა, ბაზრის წესები ამიხსნა და ბაზარში გამგზავნა. იმ ათმა შეტრო სატინამ ჩემდა საუბედუ-როთ და სავალალოთ ორი მანეთი მოიგო. მე ბაზრიდან მალე დავბრუნდი და მამაჩემს ანგარიშიც მალე ჩავაბარე. მამაჩემმა საქციელი მომიწონა, მოგება მთლად მე მომცა წასხალისებლად და კვლავ დამარიგა?

შვილო ეხლა შენ მოიზარდე და თაქში ჭკეუ უნდა მოიკრიფო! სულ ეგრე დაფლეთილი ხომ არ ივლი. ივაჭრე ფულს მოიგებ, მოგროვილი ფუ-ლით ჯერ ტანსაცმელი იყიდე და მერე პატარა თანხას დაიჭერ ხელში და კაცი გახდები. მე კი როგორც არის იოლად გავიყვან ოჯახს.

მამაჩემის სიტყვებში წამახალისეს. მეორე დღეს ოცი მეტრო ჩითი გავიდე და სამი მანეთი მოვიგე. მოგებისკანა ტკბილი და კარგი არაფე-რი ყოფილა. დღეს ერთს მოიგებ, ხვალ ორის იმედი გაქცს. მოგება გახალი-სებს და ხალისი ჰქმნის ხალისს. მესამე დღეს მიტკალი გავიდე, და მალე,



სულ მალე შევცურდი ამ საქმიანობაში. დადგა სწავლის დრო, მე მუშავებით დავიწყე, მაგრამ ბაზარი თაგისკენ მეწეოდა: მოგება მიზიდავდა. სკოლაში გაკვეთილების ხშირი გაცდენის გამო ჩამოვრჩი. ამხანაგებში ივტორი-ტეტი დავკარვე და სწავლის ხალისიც გაქრა. ბაზარში და ფულში ჩავი-ფლე.

მაგრამ ყოველთვის ბაზარს გვერდზე ღრმა ჭაობი აქვს. ეს ჭაობი ჰყარს, არ შეიძლება წყალში იყო და ტანი მშრალი გქონდეს. მეც მალე დავიწყე თამაში და მოთამაშე ხალხთან სიარული. ჯერ ვცადე, მერე გულის გასაყოლებლად ვთამაშოდი, გულის გაყოლება სურვილად გადამექცა და სურვილი მოთხოვნილებათ. და რომ ამ თამაშმა შემიწირა ეს შენც კარგად იცი. თუმცა ბაზრის ტალღებში დავცურავდი, მაგრამ მაინც ვხედავდი ჩემს გარშემო რა ხდებოდა. ხშირად გზაში ჩემ ყოფილ ამხანაგებს შემოვხდებოდი, მათ საშუალო სასწავლებელი შეკვიდამთავრებიათ და ზოგიც უძალლესში შესულიყვენ. მეც მინდოდა მათში ჩარევა, ფული ბევრი მქონდა და მინდოდა მხოლოდ და მხოლოდ სწავლა. სწორედ გითხრა მშურდა კიდეც რომ მათ ამ საქმეში მაჯობეს და წინ გამისწრეს. ეს სურვილი მალე ისე გაძლიერდა რომ მოსვენებას არ მაძლევდა. მაგრამ მონდომება იყოს და ყველაფერი შესაძლებელია. თანაც ფულით ყველაფერის გაქოთება შეიძლება. ხომ გაგიგონიათ ქროამი ჯოჯოხეთს ანათებსო და მეც ყოვლად შემძლე ფულით ვიყიდე ის რასაც ჩემმა ამხანაგებმა თავი და ტვინი შეალი ეს. მეც მედო ჯიბეში საშეალოს დამთავრების მოწმობა. მაგრამ ვგრძნობდი, რომ მაინც რაღაც მაკლდა, მაინც რაღაც ტანი ჩემში მაღლა იდგენ. ვეცადე, ბაზარს და მის ჭაობს ვერ ჩამოვშორდი. მე განებივრებულად ცხოვრებას ვეჩვეოდი. შემიყვარდა ძვირფასი ტანსა-ცმელი, რაღგან ისე გამოწყობილი უფრო მოწმონდი ხალხს და მეც ამაყად დავიარებოდი. ერთი სიტყვით ულვაშებ ბუზებ არ ვიუნდი. ბაზარში პატარა საქმეებს არ ვკადრულობდი. რამდენიმე სრულიად ახალი ხერხი მოვიგონე ფულის მოგების, უკეთ რომ ვსთქვათ, მოპარვის. მე კარგა ფულს ვშოულობდი. ზოგჯერ, როცა ღმერთი მიწყალობდა მთელი კვირაობით ვქითფობდი და ერთხელაც არ შევიხედავდი სახლში. მა-მაჩემი კი მაინც ჩემი მაღლიერი იყო, რაღგან ისე არ შემომხვდებოდა რომ სახარჯო ფული არ მიმეცა. ღედიჩემი კი სულ ტიროდა და მეუბნე-ბოდა: შვილო დაანებე მაგ საქმეს თაგი თორემ დაილუპებიო. მე კი ჩემსას განვაგრძობდი. და აღბად ეხლა მამაჩემს საქეიფიდ ვგონივარ საღმე. შეანასკნელი დედა კი საწყალი დედა ცრემლებით ითხრის ალბათ თვა-ღებს.



ეხლა ხომ ყოველ შხრივ მიცნობ ჩემო მეგობარო. მაგრა მარტინი დაწყვეტილებაც უნდა გითხრათ. მამაჩემმა ხელი მკრა და წუმპეში შემაგლო, მეც ბრმად შევტობე და ჩავეფლე, მიგრამ სიკვდილის კირამლე მის-გლამ გონს მომიყვნა, თვალები ამიხილა.

მე ცხოვრებამ გამრიყა და უკანონო შვილად გამომაცხადა. წყვდია-ლში გზა დამებნა, მაგრამ ჩემთვის ეხლა გარიერაჟდა. მართალია მე ეხლა დაჭრილი ვარ და ვწევარ, მაგრამ იმედი მაქვს რომ მაღლე მოვეკეთდები და მეორე დღესვე დავიწყებ საღმე მუშაობას ან სამსახურს. ეხლა ხომ მიმი-ხედი ყველაფერს.

ჩვენ რამდენიმე სალამო გავატარეთ ერთად. მართალია ერჯანე-თისთვის არაფერი გვითქამს, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი ცხადია. ამ ქვეყნად უშენოთ ჩემი სიცოცხლე იგივეა რაც ქვეყნისათვის უმშეობა.

ეხლა ავადმყოფობა ხელს მიშლის, მეტი აღარ შემიძლიან. აქამდე ვიცი თანამიგრძნობდი, თუ კვლავ თანამიგრძნობ წერილს უპასუხოდ ნუ დასტოვებ.

იო სკა.

\* \* \*

შამაიკა ნინასაგან, რომ გამობრუნდა ებრაელების ქუჩას ჩამოუარა.

— ხაიმ, ხაიმ,—უყვირის ვიღაც თვრამეტ ცხრამეტი წლს ახალგა-ზრდა ჭაბუკი, რომელსაც კომქავშირელის ფორმა აცვია და გულზედაც მათი ნიშანი უკეთია. ნახევრად დიდ წითელ ალაყაფის კარებს მიყრდნო-ბია და ელოდება პასუხს. შამაიკა იქვე დიდ ლოდზე ჩამჯდა.

— შინ არ არის შვილო, უპასუხა ეზოდან შუახნის ღარიბად ჩა-მულმა მოხუცმა ქალმა.

— სად არის ტორა? საქმე მაქვს, მინდა მოველაპარაჟო.

— რა ვიკი შვილო სად იქნება? ნახე ან ლოცვის კარებზე ან ბა-ზარზე. ახალგაზრდა ამ პასუხმა თითქოს გააჯავრაო. შამაიკა ზის ქვაზე და ყურს უგდებს ახალგაზრდის დინჯს, მაგრამ დამაჯერებელ ლაპარაკს, რო-მელიც ხაიმის დედას უხსნის;

— სირცხვილია დეიდა, ხაიმა ნიჭიერი ამხანაგია და არ უნდა დაუ-შალოთ მუშაობა. თავის სიცოცხლეში ხომ შნურკების და ბულავების გაყიდვით ვერ იცხოვრებს. ისიც გეყოფათ, რომ სწავლას თავი დაანებე-ბიეთ. მაგრამ არა უშავს-რა სამაგიეროდ რამე კარგ ხელობას ისწავლის და ეგეც ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებას დაიწყებს. ხომ ხედავთ ვაჭრობიდან აღარასფერი გამოდის. მთაერობა ცდილობს მის აღმოფხერას. სამაგიეროდ ხელს უწყობს შრომით და ოფლით კეთილ ცგოვრებას. განსაკუთ-რებით კი ჩვენისთანა ჩამორჩენილ ერებს, რომლებიც ათასობით ვიჩაგრე-



ბოლით და ვნადგურდებოდით. ძევლი ხალხი ხართ და გეხსომება მოგვიაწევდა  
გორ გვდევნიდენ ისრაელებს. თუ გინდ ის რათა ღირს, რომ ზეც შეიძლება  
ქუჩაში აღარ დაგვდევენ და „ურიკრიკეს“ არ გვეძახიან და უმიზებოთ  
თავში აღარავინ გპიკაკუნებს. სახელმწიფო რაც შეიძლება ხელს გვიწყობს.  
აი ჩამოაყალიბეს „ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი“. აძლევს ხალხს  
სამუშაოს, ეხმარება ქვრივ ობლებს, მრავალი გზა აბნეული სწორ  
გზაზე დააყენეს. თქვენ კი არ გინდათ საწყალი ხაიმიც გახდეს ნამდვილი  
ადამიანი, თავისი ნამდვილი შრომით და ოფლით იცხოვროს. მე იეოშუაყ-  
საც გოვლაბარაკები ხაიმმა აუცილებლად უნდა დაანებოს თავი ვაჭრობას

— რა ვიცი შვილო, ღმერთმა ყველას ქეთილი მოქცეთ და ე მაგ  
ჩემ ერთსაც. ერთი ჟყავს შვილია, ძვა არა ჟყავს და თუ ძმობას გაუწევთ  
ძალიან მადლობელი ვიქნები.

— აგრე მგონი ხაიმაც მოდის, ახალგაზრდამ შორიდან შენიშნა  
შემოდგომის ფოთოლსაცით გაყვითლებული და ჩამომჭკნარი ხაიმი მუხ-  
ლებს ძლივს მოათრევდა, მისი აზრიანი დიდი ლურჯი თვალები ყუთში  
ჩაჭედილიყვენ, რომელიც მას გულზე ეკიდა.

— ეს ხაიმი, შამაიკამაც იცნო, წინად ისინი ერთ ეზოში ცხოვრობ-  
დენ. ბევრჯელ მთელი დღეები ერთად გაუტარებიათ მხიარულ თამაშში  
და ხაიმს პირველმა მან გაღუჭრა გზა.

— ხაიმ ვერა მცნობა? აბა მოიგონე პატარა შამაიკა, რომელიც თამა-  
შობის ღროს კიბიდან გადმოაგდე და ხელი ატკინე.

— შამაიკა, ეს შენა ხარ, საიდან ბიჭო? სად დაიკარგე ისე რომ ხუთი  
წელიწადია შენი ხსნებაც აღარ არის.

— ეჭ, ცხოვრება სიმწარეა. მე ცხოვრების ლაბირინტში დავიკარგე  
მსამა უფსკრულმა მშთანთქა, და მრავალი სიმწარე მაგემა, დამეკარვა  
სწორი გზა. მრუდე გზას კი მხოლოდ ცალი თავლით გხედავდი. ეს კი  
წამება იყო ჩემთვის. ბევრი არინ ჩემისთანა მრუდე გზაზე დამდგარნი,  
მაგრამ მათ ორივე თვალი ბრმა აქვთ და ვერასფერს ხედავენ ისინი, სხვა  
გზას არ იცნობენ, და მათთვის ეს გზაც იგივეა რაც სხვა. მე კი ვიცნობ  
ამ გაზასაც, მაგრამ მასთან ვერ მიგედი. ეხლა კი ამ ამხანაგმა მაჩვენა ბი-  
ლიკი ამ გზასთან მისასვლელი, ბილიკი რომელიც უკეთეს და ნათელ ცხო-  
ვრებასთან მიგვიყვანს და თითო კომეავშირელ ამხანაგისაკენ გაიშვირა.

— ჰო, მიშა, მართალია, მიშას დაძხება არ დასჭირდა, თვითონვე  
მიგიდა მათთან.

— თქვენ მართალი ხართ ამხანაგო, თქვენ ცხოვრებასთან მისასვლელი  
გზა დაეგეარგათ, თქვენ ცხოვრების ჭაობში დარჩით და იხტობით,  
თქვენ გზას ეძებთ ცხოვრებასთან მისასვლელს არა? ღარიბ ებრაელთა  
დამხმარე კომიტეტი, აი გზა ახალი ცხოვრებისაკენ, აი გზა ახალი ყოფი-



საკენ. თქვენ უფსკრულის პირას დგეხართ, ერთი ძლიერი უფსკრული კიდევ და თქვენ იგი გშთანთქავთ, არ არის თქვენთის სხვა გზა და ხიდი. ლარებკომი, აი ხიდი რომელიც თქვენ სიბნელიდან სინთლეზე გაიყვანთ. მყრალ ჭაობიდან და გიხსნითდა თავისუფლებას გაგებებთ. ლარებკომი თქვენს გონებიდან ამოაგდებს ათას წლობით შექმნილ მანე ჩევეულებებს, რომლებიც ხახმებმა და მდაღრებმა მოიგონეს თავიანთი ჯიბის გასასქელებლად, და მის ადგილს დაიჭირს: კულტურა, წიგნი და ცოდნა.

— თქვენ მართალი ხართ ამხანაგო. ჩამოართვა სიტყვა შამაიკამ. ჩევნ ზოგი უფსკრულის პირას ვდგავართ და ზოგიც უფსკრულის ნაპირას გამოგრიყა. თუ ფეხი არ მოვიკიდეთ კვლავ ისევ გვშანოთქავს უფსკრული. მაშ ხაიმ, ამიერიდან ჩევნი გზის მაჩვენებელია — ლარიბ ებრაულთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც წინ შუქურად გაგვიძლვება და გაგვინათებს ბნელით მოცულ ცხოვრებას.

ხაიმი ყოყანობდა, თვალეზე ცრემლი მოსდგომოდა, თითქოს სიტყვა ყელში გაეჩირაო, ხმას ვერ იღებდა, ლრმად ჩაფიქრდა. წუთით პაუზა ჩამოვარდა —

გზად ორი მოხუცი ქალი მიდის, იწყებს ერთი:

— თუ მართლა ეგრეა ლმერთს წესი მოუღია და ეს არის. თურმე სამუშაოთ ყველას იღებენო, პურის წიგნაკსაც აძლევენო.

— რას ამბობ ქალო, ლმერთმა ძლივ გადმოგვხედა, სიმშილით ვიხოცებოდით. ეხლა კი რა გვიპირს მაღლობა ლმერთს. ჩევნი ოჯახიდან სამნი ვმუშაობთ და რიგიანად ვცხოვრობთ. შიში და კანკალი მაინც ალარავისი გვაქს. დღეს ერთი იყო და გულის ხეთქვა ათასი.

— კარგია, კარგი! ისე კარგი მოგეცა, როგორც ეს თავრობაა კარგი, უპასუხა მეორემ... და მისწყდა ქალების საუბარი.

— ხაიმამ თავი მაღლა აიღო, წელში გამიართა თითქოს გაიზარდაოდ და გადაჭრით სთქვა:

— გადაწყდა, მეც მინდა თავისუფლად ვისუნთქო. მეც მინდა არავისი მეშინოდეს. უყურებთ. და ცარიელ ყუთზე მიუთითა. — რაც მქონდა ყველაფერი ბაზრის აგენტმა წამართვა, თან ისე გამომლანდა, რომ ძალი აუზვა და მე დამაბა. ხაიმის თვალები ცრემლებით აიგო. და ამოვრეულის ხმის შეიძახა: დედა, დედა!

— ჩევნ აქედანვე ლარებკომში წავალთ. კაღრების განყოფილების გამგეს მოველაპარაკებით და ალბათ შესაფერ სამუშაოს მოგვცემენ.

ეზოში წელანდელი შუა-ხნის ქალი გამოჩნდა.

— აი დედი დაამტკრიე და ცეცხლს შეუკეთე. მე დღეიდან ოქროებიც რომ დამიყარონ ალარ ვივაჭრებ. თუ მაშიახემი ძალიან გაჯავრდა, იცოდეთ სახლში ფეხს ალარ შემოვაკრებ. ეგ იაშიკი კი ცეცხლს შეუკეთე. ცე-

ცხლლმა უნდა გადასწვას და გადაბუგოს ყოველივე ძველი და ხაიმი ჩვეულებრივზე უფრო მეტად აღელდა.

— წავიდეთ სოქვა მიშამ—

— წავიდეთ გამოეხმაურა შამაიკაც.

— წალი შვილო, ლმერთი შეგეწიოთ. წაილაპარაკა თავისათვის ხაიმის დედამ და სახლში შევიდა.

შამაიკა, ხაიმი და მიშა კომინტერნის ქუჩისაკენ წავიდენ, სადაც ღარებკომის გამგეობა არის მოთავსებული.

\* \*

ექვსი თვე თოვლის ფიფქივით დადნა. შამაიკამ, იოსეკამ და ხაიმმა ლარებკომთან არსებული შოთრების კურსები დაამთავრეს. ერთი აღგილობრივ დარჩა ლარებკომის საბარეო ავტოზე, მეორე— „სოიუზტრანსი“-ს ავტო სახელოსნოში მუშაობს მესამე კი მილიციის სამმართველოს მსუბუქ მანქანას დააქროლებს. სამივე ერთად ცდილობენ კომპავშირში შევიდენ. ლარებკომთან არსებულ უჯრედში მუშაობენ. ისინი უფრო ძლიერმა ამხანაგებმა ბუქსირზე აიყვანეს და გამოცდისათვის ამზადებენ. მათმა გონებამ ყველა გააოცა და წამბაძველობის სურვილი აღუძრა.

ყოჩალ მიჭებო! ხედავთ, გუშინდელი ქუჩიდან მოსულები დღეს ჩვენ დაგვეწიებ.

— ეჭ, ჩემო ძმაო მონდომებას ბევრი რამ შეუძლიან, ჩამოართვა სიტყა შამაიკამ.

\* \*

— სახელი?

— ნინა,—უპასუხა, მორცხვად ნინა შარაშიძემ — მმაჩჩის რეგისტრატორს.

— გვარი?

— შარაშიძე.

— თვითონ გსურთ იცხოვროთ იოსეკა აბაჯანოვთან?

— დიახ.

— მოაწერეთ ხელი! — ნინამ ღიმილით მოაწერა ხელი აქტს.

— აბა შამაიკ ეხლი შენ წამოაყენე შენი დედოფალი, თქვენი ჯერია, გაიხუმრა იოსეკამ.

წინ წამოდგა ის ქალი, რომელიც შამაიკამ ერთ დროს მტკვარს გამოსტაცა პირიდან.

— სახელი.

— სიფორა?

— გვარი?

— ჩაჩანაშვილი.

— თვითონ გსურთ შამაიკა კაციაშვილთან ცხოვრება.

— დიას.

— მოაწერეთ ხელი. და სიფორა ჩამანაშვილმა დასვა სამი ჯვარი, რადგან წერა არ იკოდა. იქვე მდგომ შამაიკას მქმლავი მქლავში გაუყარა რომელიც ამ დღეს დიდისანია ნატრობდა.  
იოსეის მანქანა კარგზე იდგა.

— აბა დედოფლებო ჩასხედით, მიმართა ქალებს იოსეიამ.

ქალები ერთად მოთავსდენ ავტოს ოკანა ნაწილში. შამაიკა კი იოსეია მიუჯდა გვერდით. იოსეიმ მანქანა სოლოლაკისაკენ გააქანა და იქ გააჩერო სადაც შამაიკა და იოსეიმ უკანასკნელად მრუდე გზით ნაშოვნი ფულით ორი პატარა ოთახი დაიჭირა.

— იოსეი! — სთქვა შამაიკამ, — ცხოვრებამ ჩვენი მკვდრად ქცევა და განადგურება მოინდომა, მაგრამ ჩვენ გზა ვიპოვეთ და ნაბირზედ გავცურდით. ამიერიდან ჩვენი მოვალეობაა ეს გზა ბევრს ჩვენისთანა გზააბნეულებს უჩვენოთ თვალი აუხილოთ და სიბრძლიდან სინათლეზე გამოვიყვანოთ ვილაცამ უჯრედზე მითხრა კულტბაზა ჩამოყალიბდაო. ვიცი ეს წრე მალე დიდ შექურათ გარდაიქცევა და განათებს ძველი ყოფის ყოველ კუნცულს „უჩვენებს უსინათლო ხალხს მხურვალე მზის სხივებს ამოათრებს ჯურლმულებიდან. ჩვენი მოვალეობაა ამ წრეში შევიტანოთ რაიმე წვლილი.

— აუცილებლად ჩემო შამაიკა, აუცილებლად, — და იოსეიმ მანქანა გააჩერა, ორი ადამიანი ავიდა კიბეზე და უკან დასტოვეს ძველი ყოფა ბნელით მოცული და ათასი წლობით შექმნილი ტრადიცები. წინ კი მათ ელოდათ ნათელი გზა შრომისა და კეთილ ყოფისაკენ...

\* \* \*

პადოშა იოსეიმ ლარებქომში მიიყვანა და კადრების განყოფილების უფროსს მიმართა.

— ამხანაგო, აი კვილიფიციური ფეხსაცმლის მკერავი, უჯრედის სახელით გთხოვთ მიიღოთ სამუშიოთ. ესეც ერთი ყოფილ ნაძირადოთაგანის რომელმაც ჩვენამდე მოაგნო, ჩვენ კი მეორე ნაპირამდე უნდა გავიყვანოთ. კადრების განყოფილების გამგემ იოსეკას გაულიმა.

— ყოჩაღ იოსეკა, ყოჩაღ! და ერვანდ არუთინოვს მიმართვა დაუწერა ფეხსაცმელების მკერავ არტელის სახელზე. იოსეკას მონდომებამ ყინული გაალხო — ფოლადი მოღუნა. პადოშა დღეს ფეხსაცმელებს კერავს მისი გვარი პირველი სწერია წითელ დაფაზე.

ლარიბ ებარულთა დამხმარე ქომიტეტი გარდაიქცა გზად და ხიდათ შრომის ქვეყნისაკენ.

ლარიბ ებრაელთა დამხმარე ქომიტეტი — გზაა ახალი ცხოვრებისაკენ,

\* \* \*

საუკუნეებს მოპერნდა სევდა  
 ცრუ იმდებით აღსავსე, ბედის  
 და მრისხანებით მძლე ქარიშხალი  
 ისროდა ნუგეშს ხალხის მყობაღის.  
 ბათორნმაც კი თავისი ქნარი  
 მდინარის პირას ცრემლად აფრქვია  
 ქართველ პოეტსაც სევდა გრავალი  
 ებრაელებზე წარმოუთქვია.  
 და კიდევ ვის არ.... მოელი მსოფლიოს.  
 მრავალ გენიოსს უქიხარ ხოტბით  
 ბექრი მრავალ წლით გადამლერებულ  
 ჰიმნებს გიმლერდა „ჯადოქარ გრძნობით“  
 და მრავალ წლებით დათელილ გულზე  
 მოგაკრეს ურცხვად „მარადიული  
 ურია“ თითქოს სულ ასე უნდა  
 იყო ეული და განწირული.  
 მრავალი ითქვა მაგრამ უმიზნოდ  
 (სანტიმენტალურ სიტყვას არ ძალუბს  
 მძიმე ჭრილობის ასე განკურნა).  
 გამოგივლია ინკვიზიციის  
 მთელი ეპოქა... დარბევები და  
 ანტისემიტის ცილისწამების  
 შიშის, დაცინების მთელი წლები  
 და განცვიფრებით ვკითხულობ ეხლა  
 შენი წარსულის ყვითელ სტრიქონებს  
 ევედრებოდით ნუგეშით შველას  
 „მრისხანე“ ღმერთსა და სტიქონებს  
 და გეგონათ, რომ ღმერთი ზეციდან  
 მოავლინებდა ზღაპრულ მესიას  
 სოციალური უკულმართობის  
 აღმოსაფეხრებლად... კიდევ ელიან.  
 ჩვენი მოძმენი მრავალ მხარეში  
 სად „ჰუმანიურ“ და რბილ ფორმებებში  
 მოსხანს ახალი ინკვიზიციის

კაპიტალიზმის მძაფრი თარეში  
 როცა ვკითხულობ... მიკვირის ვნცვიფრდები  
 რაც ამ ფურცლებზე დაწერილია  
 პროტესტს ვაცხადებ წარსულის მიმართ  
 მე თავისუფალ ეპოქის შვილი  
 საქართველოშიც ბევრმა მოგნათლა  
 არშინისა და ფჯლის კაროლად  
 ცბიერ გულისაქმით გაჭირისუფლეს  
 ცრუ სიმბოლო სურთ შექმნან კანონად  
 აქაც კი იყო მრავალი ბრძოლა  
 ძველ იდეებსა და ახალს შორის.  
 მთელ დედამიწის ხალხებს ამღვრევდა  
 „ურიათ ქითხვა“. ბევრიც ეცადა  
 იმის გადაჭრას. ბევრი ეძებდა  
 სამშობლო მხარეს უცხო მიწას და  
 ყველგან სულ ერთი იყო პასუხი,  
 მხოლოდ იგრძენი აქ საბჭოების  
 მკვიდრ ნიადაგზე ფეხქვეშ სიმაგრე,  
 ყველა ჩაგრულის ხალხის სამშობლოს  
 და აქ გადწყდა შენი საკითხი  
 ათასწლიანი მორჩა გათავდა  
 შენი სევდა და წაეული ბედი  
 წარსულის ფურცლებს უკვე ჩაპირდა.  
 და ებრაელიც სოციალისტურ  
 აღმშენებლების რიგებს ამაგრებს  
 მთელი სუნთქვა და ნდომა სურვილი  
 ქვეყანას ახალ გმირებს აბარებს  
 მაგრამ ეს მხოლოდ აქ არის ჩვენთან  
 უცხოეთში კი თარეშობს ქარი  
 კაპიტალისტურ ულლის ქვეშ გმინავს  
 მილიონობით მშრომელთა ჯარი.  
 და აღვივებენ მცირე ერებში  
 შულოსა და მტრობას  
 ხშირად აწყობენ კიდეც დარბევებს.  
 გერმანიაში დღეს ძველის ძველი  
 ინკვიზიციის ცეცხლი დაანთო  
 დიდ ქალაქების მთავარ ქუჩებში  
 აღსდგა ახალი აუტო—და-ფე

დასწევს ლენინის, მარქსის შსოფლიო  
 მნიშვნელობის და კაცობრიობის

გენიოსური შემოქმედება.

მაგრამ ჩვენ წინსვლას რა შეაჩერებს  
 მთიდან ზეავივით რომ დაქანდება  
 რა შეანელებს მასების სწრაფვას  
 მის ძლევა მოსილ აბობოქრებას.

იქ კომუნისტებს იჭერენ, ხვრელენ  
 მუხანათურად არბევენ მუშებს  
 მაგრამ გმირობას რა დაუდგება —  
 ტკიფოლებს ტყვია როდი აშუშებს.

ტყვია განგაში, თეთრი დარბევა  
 ქვლავ სისხლიანი ქარიშხალია

მაგრამ უბერავს

რევოლუციის მძლე ქარიშხალი,  
 მის დასამსხვრევად გაკრულ იალქანებს  
 დაფლითავს ძალი

მილიონების —

ტელმანის მებრძოლ პროლეტარიატს  
 ჩვენი სალაში.

არა მარტო გერმანიაში

მხოლოდ აქ ჩვენთან საბჭოეთის მდიდარ მიწაზე

ახალი ყოფა მომავალი შენდება სწრაფად

და ებრაელიც მტკიცედა სდგას სადარიჯოზე

რევოლუციის მონაპოვრის მხნედ დასაცავად.

## ბ ე ნ ი ა მ ი ნ ი ს ა ლ ს ა ს რ უ ლ ი

ლამურა გამოფრინდა თავის საბუღარიდან და სალოცავის ეზოში წრეს ავლებს, ფრინავს, ნავარდობს...

დედამიწაზე მწუხრი ჩამოწვა, ჩიტებმა და მერცხლებმა შესწყვიტეს ჭიქჭიკი და მზეზე თამაში. ახლა კი დადგა ჯერი ლამურას თავისუფალი ნავარდობისა.

ყვავები ჩხავილით გადაფრინდენ ჯპუფებათ და ექლესიის ეზოს ასწლოვან ხეებზე და ხასმოდებულ სამრეკლოზე დაუშვეს ფრთხები.

ბავშები ყვავების გადაფრინას ურიამულით შეეგებნენ.

მზე უკვე დაიღველუა დასავლეთით და ღრუბლები ისევ ალის ფერ-ში არიან გახვეულნი .

ცოტა ხანი და, გათავდება ფერების თამაში, ლამის მრუმე ფერი შთანთქმეს ყოველივეს.

ებრაელები თავ-მოყრილი სალოცავის ეზოში ბაასობენ, ლაპარაკობენ, საქუთარ მდგომარეობაზე და ქვეყნის ამბებზე. სალოცავში თებას-თან ახლოს გრძელ სკამზე ჩამოჯდარა რამდენიმე მოხუცი ებრაელი და მელანქოლიური შმით მონოტონურით მღერიან პიმწებს შაბათის გასასტუმრებელს. მათ გვერდით ზის სამოცდაათ წელს გადაკილებული მოხუცი —ისმენს ტკბილს და მიმზიდებელ გალობას. ალბათ გულში იმღერის.

„შაბათია ხასი

რა არის მისი ფასი“.

შემაი თების მარჯვენა მხარეს ზის გრძელ სკამის ბოლოზე და თვ-ჰილიმი უჭირავს ხელში. ჩვეულებათ აქვს მას ყოველ შაბათს წაეკითხა დავითის ფსალმუნებიდან.

მაგრამ ეს რა დაემართა!.. ასეთი რამ თავის სიცოცხლეში არ ახ-სოვს: ასოები თეპილომის ამოვარდენ სტრიქონებიდან და დაიწყეს ფრენა ხმარებისაგან თუ სიძველისაგან გაყვითლებულ ფურცელზე. შემდევ პირ-დაპირ თვალებში ეცენ შემაის და ერთი წამით ყველაფერს ზავი ბინდი გადაეკრა: გაქრა სინათლე თვალებში.

მისი მამა ძალ-ლონით საესე, შსხვილ ძვლოვანი იყო. ეს ძალ-ლონე შემაისაც გადაეცა მემკვიდრეობით, მაგრამ ეხლა რა დაემართა, ალბათ გაპქრა შთამომავლობით გადმოცემული ძალა. ცხოვრების მძიმე პირობე-

შემაის, რაც დამართეს შემაის, გატყდა წელში. აღარ შეუძლიან შორეული გამოცხადები სიარული ფეხით და ცხოვრებაც გაუჭირდა.

შემაის, რაც სავაჭრო თანხა გააჩნდა, ცოლის დასაფლავებაზე და აბელობაზე შემოეხარჯა. ერთი ჯახრივა ცხენი-ღა ჰყავდა, რომელიც აგრძვევ გაჰყიდა და ცოლის საფლავს ქვა დაადო.

ცხენი ღიღ დახმარებას უწევდა შემაის სოფელ-სოფელ სიარულის დროს, თუმცა იღმართებზე ძლივძლივობით ზიდავდა ბარგსაც და საკუთარ თავსაც, მაგრამ შემაი მაინც კმაყოფილი იყო, რაღაც სავაჭრო წვრიმალს ის უზიდავდა და ზოგჯერაც, როდესაც შემაი დაილებოდა გარჯიდა თავის ერთგულ მსახურ ცხენს, ბილიკ გზაზე შეჯდებოდა მის ვამხბარ ზურგზე და რამდენიმედ შეიმოკლებდა ფეხით სავალს.

ახლა აღარც ეს გააჩნია.

შემაის ფიქრები მოსვენებას არ აღლევენ. ღვთის სამსახური კი მოითხოვს დააყენოს, შაბათი და მოყედი. როშპაშანა და ქიფური როგორ იქნა გაისტუმრა, მაგრამ ამას მოჰყება მათზე უფრო გრძელი, ცხრა დღიანი უქმებ რომელსაც აგრძეთვე უნდა დახვდე და დააპატიოსნო. გარდა ამისა ხალხში უნდა გამოჩნდე, სხვებს თუ ოთხ-ნაირი კერძი ექნებათ შენ ერთნაირი მაინც უნდა იქონიო. მაშ რითი უნდა განირჩეოდეს მოყედი დღე და შაბათი სხვა დღეებისაგან. რა ჰქნას რა საშვალებას მიჰმართოს შემეს სამი დღე აკლია. საიდან შემოუტანოს სარჩიო ოჯახს,

შემაის პირველი ცოლისაგან დარჩა ხუთი წვრილი შეილი. უფროსი ვაჟი იეუდა უკვე წამოეზარდა და მამას მხარში ამოუდგა: ფეხსაცმელების შრენდავათ დადიოდა ქალაქში.

ოჯახის პატრონობისათვის შეირთო შეორე ცოლი, რაღაც ბავშვები პატარები იყვნენ და მოყვლა სჭირდებოდათ. თითონ კი კვირაში ერთ დღეს თუ იქნებოდა სახლში, ისიც შაფათ დღეს. ამაშიც ბელმა უღალატა. შემაის შეორე ცოლი მეტად ავი გამოაღვა. ძალიან უდიერად ეპურობოდა თავის გერ შვილებს.

პირველი ცოლის გარდაცვალებამ ღრმა დაღი დაასვა როგორც მის ცხოვრების პირობებს, ისე მის შინაგან სულიერ ვითარებას: ბევრჯელ სცადა ოჯახი ფეხზე წამოეყნებია ცოლის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ მაინც ვერს გახდა ვერ იქნა, თანხა ხელში ვერ დაიჭირა.

რა ცოდვას პეითხოეს ლმერთი, ის ხომ თავ დადებულიათ ასრულებს მის სამსახურს, მაშ რა არის მიზეზი, რომ ასეთი მკაცრ სამართალს იჩენს ღმერთი?

შემაიმ გადასწყვიტა მიემართა თბილისის განთქმულ ვაჭარ ბენია-მინისათვის საქონლის ნისიად შესაძენად. თუმცა დარწმუნებული იყო სა-



ქონლის ნისიათ ყიდვა მეტ ფასებში მოუხდებოდა, მაგრამ რაკი საკუთარი თანხა არ გააჩნდა სხვა გამოსავალ გზას ველარ ჰპოულობდა.

— იეუდა შვილო, შენ გაბარებ სახლს ამ ორი დღით. მოყედის შემოსავალ დავბრუნდები. ბენიამინს საქონელს გამოვარომევ ნისიად, იქნება გვეშველოს რამე—განუცხადა შემაიმ თავის შვილს უკანასკნელი გარდაწყვეტილება, სალოცავილან შინ დაპრუნებისას. სთხოვა იეუდას ბავშვებისათვის ყურადღება მიექცია, რომ დედინაცვალს არ ეცემა ისინი.

შემაი იმავე ღამეს მოემზადა, მამლის ყივილზე წამოღვენ მამა შვილი; შემაი გამოეთხოვა თავის ცოლ-შვილს და ფეხით გაუდგა ქარელის გზას თბილისისაკენ.

\* \* \*

შემაია შხარზე გადაგდებული ხურჯინით თბილისის სადგურზე ჩამოვიდა. ებრაელი თანამგზავრები განზე დასტოვა და მარტო გაემგზავრა ტრამვაით ებრაელთა უბნისაკენ.

გაიარა მხითაროვის ქარვასლა და დიდი ალაყაფის კარი დაკეტილი დახვდა. დილა ადრიანი იყო. ქალაქი ახლად იღვიძებდა.

შემაის მოაგონდა რომ ბენიამინი სინაგოგაში იქნებოდა, თითო ნაც დილის ლოცვა არ ქონდა შესრულებული. ნაბიჯს მოუმარა და სიჩ-ქარით გაემართა ახალციხელების სალოცავისაკენ. სალოცავის კარებში წელში თავაზიანად მოიხარა, ღვთისსადმი შორჩილების ნიშნად მეზუზას აკოცა, შევიდა სალოცავში და ბენიამინს დაუწყო თკალებით ძებნა.

ვერ ნახა.

შემაის ისიც კი გაუჟვირდა, რომ არც ერთი ცხინვალელი ებრაელი იქ არ იყო.

შემაშემა მიასწავლა ახლად გახსნილი სალოცავი ცხინვალის ებრაელთა.

შემაი რამდენიმე წუთს შეჩერდა ჭიშკართან და დიდი ცნობის მოყვარეობით დაუწყო ცქერა ვიწრო ჩიხში ქადა-ხაჭაპურებით, მეავეულებით და კიდევ სხვა სანუკებრებით გაწყობილ პატარა გაჭრობას. ოდნავ სიმხნევე მიეცა ერთის მხრივ რომ ტფილისში მრავლად მოიპოვებოდა მას-სავით ღარიბი ებრაელები და მეორე მხრით კი ნაღველი მოაწვა გულზე და მძიმედ ამოიხვნება, რაღვან ისინც, როგორც თვითონ მდიდართა ბრჭყალებში იყვენ მოქცეული და მათი შრომა და ჯაფა შეძლებულ ვაჭრების ხელში ვარდებოდა.

შემაი გაემართა ახლად გახსნილ იქვე მყოფ სინაგოგისაკენ. ლოცვას ის იყო ათავაბდენ, როდესაც შემაი მოწიწებით შევიდა, ბენიამინი იქ დახვდა, ის ლოცვის გაბაი იყო და ამიტომაც თავში იჯდა. შემაიმ თეფი-

ლინის ქისა ამოილო უბიდან და შეუდგა ლოცვის თაღარიგს, თვალს კა  
ბენიამინს არ აშორებდა.

ბენიამინს დუქანი მხითაროვის ქარვასლაში ჰქონდა და იქ ვაჭრობდა.

თბილისის ებრაელ ვაჭართა შორის თითქმის მხოლოდ მისაგან ყიდულობდენ საქონელს სოფლად მოსიარულე ებრაელი ვაჭრები.

ბენიამინთან შედარებით სხვა ებრაელებს არ ჰქონდათ იმდენი თანხა, რომ ნისიად ევაჭრათ და ამიტომაც მას მეტოქეობას ვერავინ უწევდა.

ზოგიერთ ადგილობრივ მოვაჭრე ებრაელს თვით ბენიამინისაგან მიჰქონდა ფართალი ბითუმათ და ბენიამინმაც მაშინ იცოდა საქონლის გაზიდვა დიდ ვაჭრებზე, როდესაც სტამბოლიდან მოსული ფართლეულის ცალები დუქანში ვეღარ ეტეოდა.

ვისაც თანხა არ ვაჩნდა ბენიამინი საქონელს ნისიად აძლევდა მათ. იმ ანგარიშით რომ გაცილებით მეტი გამორჩენა ჰქონდა, ვიდრე ნალდზე და თანაც უთამასუქოთ საქონელს არავის აძლევდა.

მანუფაქტურა თითქმის ყოველ კვირეულად მოსდიოდა სტამბოლიდან ცალებით — „ამხანაგი“ უგზავნიდა.

თითონ კი ადგილობრივად აწარმოებდა აღებ-მიცემას და ფულსაც საჩქაროდ უგზავნიდა თავის „ამხანაგს“.

ხშირად ფულის მაგიერ ბერევეულობას უგზავნიდა, რომელსაც თურქეთში დიდი გასივალი ჰქონდა ასე, რომ ორივე მხრით მოგება რჩებოდა.

ბენიამინმა ებრაელთა უბანში შეიძინა ერთი ახლად ნაგები სამსართულიანი სახლი, თვითონ მესამე სართულში სამ დიდ ოთახში მოეწყო. ლამაზი მოყვნილეობის თახებმა გაუძლიერეს ბენიამინს ოჯახის ფულუნებით მორთვის სურვილი. შეიძინა სამი სპარსული ნოხი, რომელთაგან ერთი იმდენად დიდი იყო, რომ სასტუმრო თახეში ძლივს ეტეოდა იატაკზე, პიანინოც დაუდგა თავის ცოლშეილს მხიარულება რომ არ მოჰქლებოდა.

ბენიამინი ორმოცდა ხუთ წელს გადაცილებული იქნებოდა, მისი ოცი წლის ვაჟი ისხაკი (რომელსაც ზედმეტ სახელად ბაცას უძახდენ) სუქლოთისათვის დასანიშნად ამზადებდა. ორი ქალიშვილი, ნანა და სარასასწავლებელში ჰყავდა მიბარებული, მაგრამ ხანში შესულობას სრულიადაც არ იტევოდა. უყვარდა ევროპიული ტანსაცმელებში გამოწყობა, მას შემდეგ რაც პირველად სტამბულში გაემგზავრა ხალათს აღარ იცვამდა.

მეტისმეტად მხიარული იყო თავის ტოლსწორში. ხშირად მოიწევედა სახლში რაბინს, ხახმებს, თავისავით გამოჩინებულ ვაჭრებს და ლამებს დროს ტარებაში ათენებდა.

მხიარულ უქმებში, განსაკუთრებით სიმცათ-თორაში, უყვარესი ფურზულ მასკარადულ ტანისამოსში გამოწყობა და ფერხულში თამაშითა მომული ცოლშვილი ძვირფას მატერისაგან შეკერილ ტანისაცმელებში დაპყავდა ჩაცმული. სხვა ებრაელის ქალები მათვან იღებდნ კაბების „მოდებს“ რადგან ისინი პარიზულ ურნალების მიხედვით იკერინებდენ ტანისაცმელს და საკუთარი მკერვალი. ქალიც ჰყავდათ, რომელიც ოვალ-ურს აღევნებდა ახალ მოდებს.

შემაი ხურჯინიდან ალაგებდა ცხინვალიდან ჩამოტანილ ქაშერი ყველს ერბოს და სხვა საჩუქრებს.

ბენიამინმა დავთარში ფანქრით აღნიშნა შემაის წაშლილი ვალი. ფანქარი ყურში გაიკეთა, შემაის მირომეული საჩუქარი გადაილაგა და მხარზე მადლობის ნიშნად ხელი ვადაუსვა.

— შენზე ძეველი ვალი დარჩენილი შემაი.

შემაის შიშის ქრუანტელმა დაურჩინა ტანში და აცახცახებული ხმით უპასუხა:

— რას ბრძანებ, ბენიამინ, ყველა ვაგისწორდი, ეგ-ლა მეჭირვება ისე-დაც დალუპულ კაცს? გაიგებდით რა უბედურება დამადგა თავს.

ბენიამინმა დავთარში დააჩერა თვალები და გულცივათ შეეკითხა:

— რა დაგვმართა შემაი?..

— ცოლი გარდამეცვალა, რაც მებადა მის დასაფლავებაზე შემომეხარჯა, მით ვნუგეშობდი, რომ არავის ვალი არ მემართა და ახლა...

ბენიამინმა შეურაცხოფათ მიიღო შემაის სიტყვები, ნაწყენი კილო-თი და ამაღლებული ხმით დაიძახა და მის მიმქრალ სახეს დაბლვერილად მიაცერდა.

— აბა როგორ დაგიფიცო, ისრაელო. შე კარგად მახსოვს და დავთარშიაც მიწერია. რათ უნდა ბენიამინს შენი ნაოფლი. მაგისთვის ვლოცულობ დღეში სამჯერ? მაშინ ლმერთმა შავათ მომახმაროს თუ შენი ერთი კაპეიკი ვინდომო.

შემაის მოაგონდა ის თანხა, რასაც ბენიამინი სოხოვდა, ვადაუხადა, მაგრამ თამასუქის დახევა კი ვადაუვიწყდა.

— ეგ ფული მოგეცით, ბენიამინ! ერბოც ჩამოგიტანეთ მაგ ვალში, კარგად მახსოვს.

ბენიამინმა უფრო მოუმატა ხმას და მეტი მრისხანება ვამოისახა

— მაშ მეორეთ გთხოვ შენ ეგრე გგონია რაღა. მაშინ არმად მოხმარდეს ჩემ ცოლშვილს. შენი ხათრით როგორც დაზარალებულ კაცს პროცენტებს მოგიხსნი დაგვიანებისათვის და ასი მანეთი უნდა ვადამიხადო.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდა შემაი. ვალზე უარი ეთქვა, ვაი თუ

საქმე ამით უფრო გაეფუჭებინა და ნისიათ. ოღარ მიეცა საქონელი შისთვის ის. ისევ ვალის გადახდაზე დათანხმება ამჯობინა.

— რა ვქნა, გენდობით, ჩემ ცოდოს არ აიღებთ. მხოლოდ ეხლა ვერ გადაგიხდი საქონელი უნდა გამატანო ნისიათ და თუ ლმერთი ხელს მომიმართავს რას გემართლები ძეველსაც გადაგიხდი და ახალსაც.

— ისე ლმერთმა მიშველოს, როგორც შე შენთვის კარგი მინდა. მე ძალიან მწამს ჩავარდნილ კაცისათვის ხელის გამართვა, ეგეც რომ არ იყოს ჩვენებური კაცი ხარ, ლმერთის მოყვარული და უარს რაზე გეტყვი. ოლონდაც ხელი მოიწყე და რა თანხაც გინდა წაიღე.

გულდათუთჭული შემი გაახარა ბენიამინის გაქლესილმა ენაშ მიიყვანა ბენიამინმა ნოქართან. ნოქარს მოხერხებულათ და შემაისათვის შეუმჩნევლათ ჩაუკრა თვალი და მის გასაგონად კი უბრძანა ნოქარს კარგი ხარისხის საქონელი მიეცა მი-სთვის.

სპარსელმა თასით მიართვა ბენიამინს მიხაკ-დარიჩინიანი ჩაი.

ბენიამინი ჩაის სვამდა მაგრამ თვალ-ყური მაინც ნოქრისაჟენ ეჭირა, მოსწონდა მისი თავაზიანი მოქცევა და ვაჭრული ხერხები.

შემაიმ ფართლით გაავსო ტომარა და ხურჯინი, თამასუქზე ჯვრები დაუსვა.

— ვადაზე ჩამოიტანე შეშმი, რომ პროცენტებმა არ იმარტოს; ქაშერი-ერბო და ყველიც ჩამოაყოლე. გამჩენმა სიმან ბერახა დასდოს შენ აღებ-მიცემას,—დაემშვიდობა ბენიამინი.

\* \* \*

მთის მწვერვალზე ხანძარი დაენთო თითქო — მთვარე გახურებული-ლითონის ფერათ ამოგორდა ცის კიდურიდან. შორიდან ძალების ყეფა მოისმის; მათი ყმუილი სივრცეს აპოს, მთვარემ დედამიწას შავი ნაბადი გადახადა და ყვითელ ზეწარში გაპხვია.

ებრაელ მგზავრებს უშოვნიათ ურემი, ბარგით დაუტვირთავთ და ფეხით მიემართებიან ცხინვალისაჟენ.

შემაიც მათ შორის იმყოფება. იგი მიპყება მგზავრებს, ფიქრები კი კოშმარულ ლანდებს უშლიან და მიაქანებენ შორს.

ფიქრები ჰგვრიან შიშს ხვალინდელ დღის წინაშე.

დღევანდელმა დღემ უიმედობა მოიტანა. ორც ხვალის იმედი აქვს. შემაის თვალები შესცეკერიან ცის კამარას და საუკუნეობით განმტკიცებული მოლოდინი სასწაულისა ერთად-ერთ იმედათ გარდაიქცა მისთვის. მოლოდინი, შოლოდინი და ისევ მოლოდინი....

— ყარბითის ლოცვა შევასრულოთ მინიანი ვართ — წამოიძაბა ერთ-მა თანამგზავრთაგანმა.

მგზავრები შეჩერდნენ, ურემიც შეაჩერეს და შეუდგენ ლოცვას.

— ყველა სულდგმულობს მისით და ყველაფერი არის სახე ღმერთისა ცის ქვეშ ასრულებენ ებრაელები ღვთის სამსახურს,

არის ხელების აპყრობა ცისკენ, თავის ქნევა და გარინდება, რომელიც ლოცვაა იგულით.

ფართეა სივრცე. ლამის სიჩუმე ღრმათ იჭრება სულში და იღუბალ ფიქრებს იწვევს მგზავრებში.

მგზავრები ისევ განაგრძობენ გზას.

ამ სვლაში არის მოლოდინი, მოლოდინი სასწაულის: ცის კამარა გაისნის მკერდს და ლეგენდარული გადაიშლება სანახაობა.

მგზავრები იპოვნიან თავიანთ ბინას...

ურმის თვლების ჭრაჭუნი და მგზავრების და ნაბიჯების რიტმდარ-ლეგული ხმა იმის მხოლოდ.

თორემ ისე სიჩუმეა.

რა ფართეა ეს სივრცე და უფსკრულებიანი.

რა პატარა და საცოდავია აღამიანი მათთან შედარებით.

ბადრი მთვარე უნათებს მგზავრებს სავალს.

მგზავრები არ ესაუბრებიან ერთმანეთს, მიდიან აჩქარებული ნაბიჯით და შიში იპყრობს მათ გულს.

ლამის გრილი სიო ეთამაშება შემაის შუბლს და ცხოვრების ნეტა-რებას აგრძნობინებს, იწვევს თავისაკენ იზიდავს ანდამატური ძალით.

ცხოვრების უმთავრესი მანძილი გავლილი აქვს შემაის და ბუნების სილამაზე ასე ღრმათ არასღროს არ შეჭრილა მის გულში.

რამდენჯერ გაუგლია ეს გელები, ეს ჭალები, რამდენჯერ გადაუთე-ლავს და გადაულახავს მას ეს მანძილები, მაგრამ მის გონებაში ასე მძლავრად არასოდეს არ ამბეჭდილა იგი.

რა მშვენიერია და სანეტარო სიცოცხლე?

მაგრამ შემხუთველია და ლეშის სუნი სდის ებრაელთა ვიწრო მიხ-ვეულ-მოხვევულ ქუჩებიან უბანს.

სივრცე პატარა და ვიწრო.

აღამიანები ყოველდღიურობაში იღრჩობიან.

კაპეიკებმა დაახმეს აზრი, გონება, ნიჭი.

არ არის გასაქანი, არც ფართობი, სანავარდო.

ეს არსებობა ყოველდღიურ მოთხოვნილებებს არა სცილდება.

შემაის გული იქსება ნაღვლით.

ეს ღამეები მძიმე ლოდებათ აწვება გულს და დასასრული არ უჩანს.

შემაის ფიქრები, როგორც გახურებული შანთები ისე უდალავენ ტვინს.

მგზავრები ისევ განაგრძობენ გზას.  
 — გაჩერდით! გაისძა უცბად ხმა, თითქო უფსკრულიდან.  
 ლოცვამ აათოდ ჩაიარა.  
 ურემი შეჩერდა გზაში და აღარ ისმის თველების გულსაკლავი ჭრი-  
 ვინი ღამეულ სივრცეში.  
 — ნუ დაგვლუპავთ!  
 — ნუ დაგვიტოვებთ მშიერ ცოლშვილს!  
 — პირში ლუქმას ნუ გამოგვაცლით!  
 — ღარიბი ვარ, რაც მომაქვს იცის ღმერთმაც და ხალხმაც არ არის  
 ჩემი.

ნუ დამტოვებთ ცარიელს და ნუ აატირებთ ჩემს ცოლშვილს ისე-  
 დაც დღე დაბნელებულს.

ეწვეწებიან ებრაელები ყაჩაოებს.  
 — გაჩუმდით, თავს ნუ გვაბრალებთ წუწუნით.  
 — ურიებო, ვიცით ოქვენი ეშმაკობა, ოქროებს მიწაში ჰულავთ და  
 ხალხს კი ძმნძებში გაბვეული ეჩვენებით.  
 — ოქვენი შებრალება არ შეიძლება.

გაისმის ყაჩალების მკაცრი შეუბრალებელი ხმები და თოფებს უმიზ-  
 ნებენ მგზავრების გულებს.

შეშინებული ებრაელები ეცვმიან მიწაზე და ღმერთს ეველრებიან.  
 შემაის გული ამოვარდნას ჰლამობს საგულედან.  
 — დაყარეთ ფულები ოქვენივე ხელით, ურიებო.—მატულობს ყაჩა-  
 ლების მრისხანება რომელიც შიშის ზარსა სცემს უიარალო მგზავრებს.  
 — შენ ბებერო, ურიავ, რას გაქვავებულხარ მანდ, არ გვსმის, ფული...  
 — გეფიცებით ჩემს ცოლშვილს არა გამამჩნია რა ამ ხურჯინის  
 ვარდა...,

— აკანკალებული ხმით უპასუხა შემაიმ და მიუთითა თავის ხურ-  
 ჯინე. შემაის ჯიბეები გაუსინჯეს მაგრამ თეფილინისა და პატრა სიდუ-  
 რის გარდა ვერაფერი უპოვნეს. სიბრაზისაგან შემაის მაგრა პკრეს თოფის  
 კონდახი ზურგში და შემაი დაეცა გულწისული.

ბარგები ურმილან ხელიდან ხელზე გადადიოდა, თეალის დახამხამე-  
 ბაში ურემი დაცალიერდა.

\* \* \*

ბენიამინი სუქოთის მეორე დღეს ნასაღილევი გვერდზე წამოწოლი-  
 ლი იყო სავარძელზე და ხელში კრიალოსანს ათამაშებდა.  
 დაიბარა თავისი ნოქარი და ნეშამას დასაძახებლად გააგზავნა.  
 ნეშამას ვერ წარმოედგინა რისოვის იბარებდა ბენიამინი, ვალის

მოთხოვნისათვის თუ დაიბარა, იმ დღეს როგორ შეიძლებოდა მაშანებლები ვარაკი.

მაშ რა უნდა იყოს მიზეზი—ეკითხებოდა გზაზე იგი თავის თავს.

მოქარძალებით შეაღო ბენიაშინის სასაღილო ოთახის კარები.

ბენიამინი ისევ სავარძელზე იჯდა და კრიალოსანით ირთობდა გულს. ნეშამას დანახვაზე თავაზიანათ მიეგება მოხუც სტუმარს და მოყელი მიულოცეს ერთმანეთს. ბენიამინმა მიუწია სავარძელი ახლოს და ხელით ანიშნა დაბრძანება. ნეშამას არასდროს არ ახსოვდა ბენიამინისაგან ასეთი თავაზიანი შეხვედრა. ვერც წარმოედგინა თუ მისაგან შეიძლებოდა ლარიბი აღამიანისადმი ასეთი თავაზიანი შეხვედრა. არ ჰქონია მას დიდი მისვლა-მოსვლა მასთან, ნეშამას დამოკიდებულება ბენიამინთან მხოლოდ იმაშა გამოიხატებოდა, რომ მიჰკონდა მისაგან ნისიათ საქონე-ლი და ვალს თავი დროზე ისტუმრებდა.

— სერიოზნი საქმე მაქვს შენთან ნეშამა

— ბრძანეთ, აუჩქარებელი, მაგრამ ცნობისმოყვარე კილოთ უპასუხა ნეშამამ.

ბენიამინის ცოლს ქალებში ლაპარაკით გართულს გაეგო სტუმრის მოსვლა სახლში და სასწრაფოდ აირბინა კიბე.

— შინ არავინ ხართ? შეაღო ბენიამინმა სასტუმრო ოთახის კარი, სადაც ვერავინ ნახა. ცოლი იქ ეგულებოდა.

— აქ ვარ, რა ამბავია კაცო?.. დერეფნიდან მოესმა ცოლის ხმა.

— მოგვხედე, სტუმარია.

გაიმართა სუფრა შინაური ნამცხვრებით. ბენიამინმა სიტყვა პირველად ჩამოაგდო ახალციხელების საზოგადოებიდან ცხინვალელთა გამოყოფის შესახებ.

შემდეგ საუბარი თვითონვე შეამოკლა და გთავარ საკითხზე გადავიდა.

ნეშამას ბაცასათვის ქალიშვილი მოსთხოვა. ნეშამას ერთი წამით გულში სიხარულის ნაპერშეკალმა გაუელვა, რადგან ასეთი ბედნიერება ელირსა ღირიბი ოჯახის ქალს—მდიდარი ბენიამინი სთხოვდა თავის შვილისათვის საცოლეს, მაგრამ სახეზე მაინც ჩვეულებრივი გამომეტყველობა მიიღო შეუმჩნევლობისათვის.

როგორც საერთო ჩვეულებაა, გათხოვების დროს, ნეშამაც სრულ უარზე დადგა.

ბენიამინმა ლამაზი სიტყვებით მალე მოაჯადოვა და ბოლოს თანხმობა შემდეგ სიტყვებში გამოხატა.

— თუ ერთმანეთის ყისმათი არიან და ზევიდან გამჩენისაგან დაბათვილებულია ჩვენ რა ძალა გვაქვს.



იცნობდა ბაცას ნეშამი, რომელსაც დაკარგული ჰქონდა ისრაელის მიმდევრული შვილის ნიშნები, მაგრამ თავს იმედებდა იმით, რომ ეს ახალგაზრდული გატაცებით მოსდიოდა მხოლოდ.

ბენიამინმა ამ შეითხევებში დაარღვია იღათი, რომ ქალის ოჯახში არ მოხდა სიტყვის ჩამორთმევა. მიულოცა დამოყვრება და გაიმართა ჭი-ქების შეხლა-შემოხლა.

იოხაძელი სიხარულით აღტაცებული უმატებდა მაგიდას ნამცხარს, თუმცა სცევენოდა, რომ ღარიბის ქალი ითხოვა, უმზითო, უსახლეარო, მაგრამ ამით გულს არ იტეხდა ისე მოსწონდა ნეშამას ქალიშვილი, გა-დარეული იყო. შევ თვალსა და წითელ ლოყებას ეშხით.

„ვინც რა უნდა სთქვას, მე ვარდს მოვსწყვეტ და ეკალს დავსტოვებ“. ასე დამთავრდა ვაჭრობა 14 წლის უმანქო ქალიშვილზე.

\* \* \*

ბენიამინი დალონებული იდგა დუქანში, იმ დღეს ვაჭრობაზე უხალი-სოდ იყო, ვინც კი გამოიტხავდა დალონების მიზეზს ის მევალეების გა-ქოტრების მიაწერდა.

დიდხანს ფიქრობდა როგორ აენაზლაურებინა მევალეებისაგან თა-ვისი ფული. თამასუქები ამოალაგა, ცალკე აკინძა. უბის ბლოკნოტი ამი-ლო, თითვეული დავალიანება ცალკე დასწერა, საერთო ჯამი გაუკეთა.

გამოიწვია ნაცნობი ვექილი, რომლისაგანაც დიდ დარიგებას ლებუ-ლობდა წინად.

საღამოს, პატარა მაგიდასთან შემომსხდარნი ბენიამინი და ვექილი ყელს სასმელით ისველებდენ და თან ბაასობდენ.

ვექილმა უკანასკნელი რჩევა მისცა: მევალეებთან ადგილობრივ წა-სულიყო და აეწერა მათთვის მოძრავი და უძრავი ქონება, კარგად შექე-იყებული ვექილი ბენიამინმა შუა გზამდე გააცილა.

შემიამ რომ ცხინვალში გაიგო ბენიამინის მოსვლა, ხალხში აღარ ჩნდებოდა. მეორე დღეს კი ბენიამინი თავისივე ფეხით ესტუმრა.

შემაის არავითარი ქონება არ გააჩნდა, ბენიამინი დარწმუნდა, რომ შემაა ძალიან ღარიბულად ცხოვრობდა.

შემაი ლაპარაკსაც ვეღიარ ახერხებდა, გარინდული იდგა ბენიაშინის წინ და თვითონაც ბენიამინის თვალთა მზერის კვალს მისდევდა, თითქოს ისიც გარეშე პირი იყო ისე შესკეროდა თავის ბინას.

რომელსაც უკვე—ყავრის სახურავი ჩამოლპობოდა და ოთახის შიგ-ნიდან მოსიანდა სახურავი,

ფიცრული შენობა ჰქონდა შემაის, მამისგან დატოვებული და ისიც გვერდზედ იყო დაქანებული.



ბენიაშინმა თამასუქები დაულაგა წინ შემაის, ამაღლებული რეპუბლიკური მასაზე ამაყის გამომხატვები ხმით მოსთხოვა ვალის გადახდა.

იეჟდას უკვე დილის სახარჯო ეშოვა და გახარებული სახლში დაბრუნდა, რომ მიშველებოდა სახლს და ერთი დღის მშეერთ ბავშვები გამო ეცვება.

„ჩისტის“ ყუთი კარებთან მიაგდო. სახლში რომ უცნობი სტუმარი შეამჩნია, მორიცებული ქცევით კარებთან შექერდა.

ბენიამინმა იკითხა თუ ვინ იყო იგი და დაიმედებულათ დაუწყო თვალიერება იეჟდას, გაიფიქრა მისი ძოჯამაგირეთ წაყვანა. შემაის გაუშელავნა თავისი განზრახვა და მასაც სხვა რა გზა ჰქონდა, შეთანხმდენ, ვალში სამი წლით უნდა ემსახურნა იეჟდას ბენიამინთან.

როდესაც ბენიამინმა ვექსილები უბეში ჩაილაგა და გავიდა, შემაი თვალს არ აშორებდა იეჟდას, ლმერთს შესჩივლა უსაჩართლობაზე, უცბად წაბარბაცდა და იეჟდას ფეხებთან დაემთხვა იატაკზე.

\* \*

ბენიამინი საქმეებს აწესრიგებდა. ახლად შეძენილ ვენახის დასათვალიერებლად წავიდა, თან წაიყვანა ხახამი და რამოდენიმე შეძლებული ებრაელი, მათთან წერთად ვენახის ყოფილი პატრონიც, და კაკლის ხის ქვეშ ლამაზი სუფრა გაშალა. გამყიდველი, თუმცა დაღონებული იყო, მაგრამ ხელოვნურად ცდილობდა დაეფარა თავის განწყობილება.

ბენიამინმა დაასრულა საქმეები და გასამგზავრებლად მოემზადა. იეჟდა აცრემლებული დაქმშვიდობა მამას. პატარა და—ძმაც გადაკვიცნა; დედინაცვალს ხელი ჩამოართვა და გაემართა ბენიამინთან. ბენიამინმა ეტლში ჩაისვა იეჟდა. შემაი ერთხელ კიდევ მოეხვია თავის შეილს, ორივე ცრემლებს ლვრიდენ. ასე დაშორდა მამა შეილს.

იეჟდას ჯერ ქალაქი არ ენახა. ტრამფაიში ჩაჯდომისას ციბრუტივით აბრიალებდა თვალებს. ათვალიერებდა შენობებს, ქუჩებს და ადამიანებსაც.

— ბევრს მისოვის უცნობ სურათს წააწყდა.

იეჟდა დიდხანს უცხოლ გრძნობდა თავს ბენიაშინის ოჯახში. გარეთაც ქუჩებს ჯერ კიდევ ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან, მარტო ვერ ბედოვდა სიარულს.

როდესაც კარგად შეეწია ქალაქს, ნოქრობასაც ოდნავ გაეცნო და ვაჭრულ ანგარიშებში და საქონლის ფასებში გაერკვია. ბენიამინმა იეჟდა დუქანში დააყენა.

იეჟდამ თანგათან მეგობრები გაიჩინა. ნანასთანაც თავისუფლად ჰერძნობდა თავს—მისგან წერა-კითხვა შეისწავლა. სარას კი არ მოსწონდა იეჟდას ასეთი სითამარე ნანასთან, რადგან თვითონ უნდოლა იეჟდა მას-

თან უფრო მეტად გულთბილი განწყობილებით ყოფილიყო ვადრებულისამათ.

ბენიამინს საქმე თანდათან უკუღმა წაუვიდა. მისი ცოლი მათ და-  
ქვეითებას იეუდას ცუდ ფეხზე მოსვლას აბრალებდა. ნანას სკოლაში სწა-  
ვლაზე ხელი ააღებინეს და მალე მის შემდეგ ვიღაც სოხუმელ ეპრაელ  
ვაჭრის ვაჟს მიათხოვეს.

იმ დღეს, როდესაც უნდა წაეყვანათ ნანა სოხუმში, დილა აღრიან,  
სხვების შეუმჩნევლად, იგი ქვედა სართულში ჩავიდა, იეუდას ოთახის კა-  
რებს მიუახლოვდა და შიშა ჰერძნობდა:

როგორ გაეძედა იეუდას ოთახში შესვლა.

მაგრამ, რაღაც იღუმალი ძალა ხელსა ჰკრავდა.

ცოტახანს იღვა გაუბედავათ კარებთან. თითებს მიიტანდა დასაკა-  
კუნებლად და ისევ შესდგებოდა.

დრო არ უცდიდა.

ბოლოს, მოიკრიფა გამშედაობა და კარებზე წყნარად დააკაკუნა.

იეუდა თავის ოთახში ჭრაქის მხრიოლავ სინათლეზე წიგნს ჰკითხუ-  
ლობდა. მისი ოთახი საკანს უფრო ჰგავდა. დღის სინათლე მიწის ჭვეშ  
გამოჭრილი სარგელით ჭუჩიდან მკრთლად შემოდიოდა.

კაკუნის ხმაზე იეუდა სწრაფად წამოდგა, კარები გააღო.

მის წინ თორში გახვეული ნანას ტანი ალიმართა.

გამოურკვევლობისაგან თვალებს შმუშვნა დაუწყო: ასე ეგონა სიზმა-  
რში იყო. ნანამ თორი მოიხსნა.

უნებლიერ ატირდა.

იეუდამ დამშვიდება სთხოვა, თუმცა მიზეზი ვერ გაევო.

ნანამ კისერზედ ხელები გადახვია და მწუხარებით ემშვიდებოდა.

ნანამ გაუმჯობენა, რაც მას უკვე დიდი ხანია აწუხებდა. მაგრამ  
იეუდა მეგობრული თანაგრძნობით შეხვდა გამომუღავნებულ საიდუმლოს.

\* \*

ბაცა უფლოდ იყო. ბენიამინს ახალ-ახალი სამალულები მიეჩინა  
თავის ფულისათვის და ბაცას სამოქმედო ასპარეზი შეეკვეცა.

ერთხელ, შეამჩნია ბენიამინი სარდაფუში სანთლის შუქზე ფულს  
რომ ითვლიდა.

დაუდარაჯა ბნელაში.

როდესაც ბენიამინი კარს ჰკეტავდა, ბაცა მიწაზე გაწვა: გასაღების  
ზინაც უნდა გაევო.

შუა-ლამისას, როდესაც ტველას ეძინა, ოთახიდან ფეხაკრეფით გა-  
ვიდა.

მოლაპარაკებისამებრ ამხანაგი ჭიშკართან ატუზული უცდლდებოდა  
შნა უკან გაჰყოლოდა. სარდაფში შეიკრა, გახსნა ყუთი, ამოილო მთელი  
შეკვრა ფული.

რაც იყო სასწრაფოდ ამხანაგს გადასცა. თვითონ კი ნელა, შეუმჩნევ-  
ლად ისევ თავის თახეში გაჩნდა და ლოგინში ჩაიმალა.

ბენიამინს ჩვეულებად ჰქონდა დილით ადრე ადგომა.

შემთხვევით საქონელი იყიდა ბითუმათ.

ფულისათვის ჩაირბინა სარდაფში. ყუთი რომ ცარიელი დახვდა  
ლონემიხდილი მაშინვე ძირს დაეცა. რამდენიმე წუთს ეგდო იქ გრძნობა  
დაკარგული.

როგორც იქნა მოსულიერდა.

წვერებ გაძემილი წამოლგა ფეხზე. უბედურება რომ მოაგონდა გა-  
მწარებულმა თმებს გლეჯა დაუშეკო.

სახლში გივივით შევარდა მისი შეშლილი სახისაგან დაშინებული  
სარა ერთ ადგილს გაიყინა.

ბაცა ლოგინში მელისავით გატერინული იწვა.

ბენიამინმა ყავარჯენი ჰაერში შეათაბაშა. ბაცამ ისეთი გამომეტყვე-  
ლება მიიღო, თითქმ გაოცებულია და მამის გაგიუების შიზეზი უნდა გა-  
მო.

როდესაც ბენიამინი გონს მოეიდა, თავის შეილი ნაწილობრივად მა-  
რთალი მოეჩვენა, რადგან იცოდა ლამე სახლში დროზე მოვიდა და ჯერაც  
ლოგინში იწვა, ფული კი გუშინ სალამოს თვითონ გასინჯა.

აღარ იცოდა რა ექნა. ორივე ხელს შუბლში იცემდა და გაიძახოდა  
„დავილუპე“, „დავილუპე“.

საქმე ისე წარიმართა, როგორც ბაცას გულს უნდოდა. ბენიამინმა  
ითქმია: ასე დიდ თანხას ბაცა მაინც არ მოიპარავდაო. იეუდამ იხელთა  
დრო, დიდძალი ფული რომ დაინახა, იმის იმედით, რომ ქურდობა ბა-  
ცას დაბრალდებოდა. განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

სარა ზიზლით შეჰყურებდა ბაცას, როდესაც ის მამას იეუდას ქუ-  
რდობას უდასტურებდა. სარა იეუდას შესახებ ეჭვების გაფანტვას ხშირად  
ლაპარაკში ჩარევით ცდილობდა.

იეუდა დააპატიმრებინეს. სარა დარწმუნებული იყო იეუდას უდანა-  
შაულობაში. ბაცას თვალ ყურს აღევნებდა დაკარგული ფულის კვალის  
საპოვნელად.

\* \*

შემაი შვილის ასეთი საქუიელის გავონებაშ ლოგინათ ჩააგდო. ცოლი ავალმყოფს არავითარ მზრუნველობას არ უწევდა. მეზობლები თუ მოიკითხავდნ, თორემ შიმშილით სულ ღაფავდა, მას სულ ყაჩალები, პირველი ცოლი და იეუდა ელანდებოდა. თითქოს კედლებზე ხედავდა მათ სახეებს. ლოგინიდან ულონოთ იწევდა ლანდების, მათინ გასაუბრების სურვილით. ლოგინზე წამომჯდარი უეცრად ულონოდ ბალიშზე დაეცა და სული განუტევა.

\* \*

ბენიამინი ფულს მისტიროდა, იეუდა არ აგონდებოდა. სარა კი ცდილობდა როგორმე გაენთავისუფლებია იეუდა.

ქრთხელ, სარამ თავის ტოლ ქალიშვილებთან ერთად რიყისაკენ გასეირნეს. იქვე ახლო მყოფ რესტორანიდან ბაცას ხმა მოესმა. ბაცა წაგებული ფულების გამო „დამწვარი“ ნერვულად ყვიროდა „დაჯეჭ, ნუ მიირბითარ“. სარამ კარები შეალო. ამ დროს ბაცამ ჯიბიდან ფულები ამოყარა, მაგიდაზე დაარტყა და შესძია: „ნუ გეშინიან ფული კიდევ მაქვს“.

სარა მკირე ხანს აცქერდებოდა ბაცას, ამ სურათმა ის უკვე და რწმუნა რომ იეუდა უდანაშაულოდ ისჯებოდა.

სარა მამას არწმუნებდა იეუდას სიმართლეში. უმტკიცებდა, რომ ფული ბაცას წალებული იყო. „მეტრახტინე“ საქულასთანაც მიიყვანა დასამტკიცებლად, ბენიამინი მაინც სღუმდა: ნაცნობმა ვექილმა უთხრა თუ იგი ოლიარებდა იეუდას სიმართლეს ცუდი იქნებოდა მისთვის.

სარამ მიმართა იეუდას მეყობარ იონას, რომელიც დიდად დანართლიანებული იყო იეუდას დაპატიმრებით.

იონა ცდილობდა იეუდას განთავისუფლებას, რადგან დარწმუნებული იყო მის სიმართლეში, და როდესაც ამის დასაბუთების საშუალება გამონახა საქმე სასწრაფოდ მოგვარდა და იეუდაც გაანთავისუფლეს.

იეუდამ ციხიდან გამოსელის შემდეგ სულ რამდენიმე ხანს დაჰყოთბილისში.

სწორეთ იმ დღეს, როდესაც იეუდა უნდა გამგზავრებულიყო ცხინვალში, სარა მივიდა ებრაელთა ბიბლიოთეკაში, სადაც მას იეუდა ეგულებოდა. იგი იქ არ დახვდა. დარაჯისაგან შეიტყო რომ ბეუდა დღეს მიემგზავრებოდა ცხინვალში.

გაექმნა შინისაკენ, მიუჯდა მაგიდას და დაიწყო წერილის წერა. უნდოდა გამოემულავნებინა მისდამი ფარული სიყვარული.

იეუდას სადგურზე აცილებდენ იონა და სხვა ამხანაგები.

სარა სადგურისკენ გაეშურა.

როდესაც სადგურში მივიღა უცბად შეჩერდა თვალებზე შელი შინაფარა და ბოძს მიეყრდნო. გვიან იყო, მოლოდინი გაუცრუვდა. სარას ეგონა იუდა მარტოკა იქნებოდა.

ორთქლმავლის საყვირი ხარივით აღმუილდა და ვაგონების თვლება ლიანდაგზე გასრიღდა.

გამცილებლები მგზავრებს, ზოგს ჭუდს და ზოგს ცხვირსახოცს უქნევდა შშივიდობიანი მგზავრობის და დამშვიდონების ნიშანად.

იეჟდამ ორჯერ და მოასწრო ხელის დაქნევა ვაგონის ფანჯარაზე გაღმომდგარმა.

ამხანაგებისგან დაშორებამ სახეზე მწუხარება აღუბეჭდა.

იეჟდას თვალშინ აღებეჭდა პარალელი:

მხითაროვის ქარვასლა, მოხეტიალე ღატაკნი, სახემიმჭვარნი და ფერადი ნაჭრებით დაკერილი ჩიხებით.

შეორე მხრით იდგა ბენიამანისთანა ხალხი და მათ შორის არავითა. რო ბრძოლა არ სწარმოებდა, საჭირო იყო ისეთი ხელის ჩარევა, რომელიც ამ საკითხს გადასწყვეტდა რა უნდა ყოფილიყო ეს გარდამწყვეტელი საშვალება, იეჟდამ ეს კარგად იცოდა უკვე.

მხე უხვად აფრქვევდა თავის სხივებს დეჯამიწაზე და იეჟდას სიცხისაგან ოფლი სდიოდა. ალბად დიდიხანს გაპყვებოდა ფიქრს, პაპანებას რომ არ შეეწუხებინა. გავიდა ვაგონის ბაქანზე და შუბლი მატარებლისაგან შექმნილ ქარს მიუშვირა.

რომელ სადგურს ცუახლოვდებით შეეკითხა მის გვერდით მჯდომ მგზავრს,

— ქარელს.

იეჟდა იმდენად იყო გართული ფიქრებში, რომ არ დაიჯერა თანამგაზავრის სიტყვა.

მატარებელი ჩამოდგა. იეჟდა ჩავიდა ქარელში და გაუდგა ცხინვალი გზას უკვირდა თავის წარმოდგენის და თავისიც შეხედულებანი უცნაურად მოეჩვენა; ყოველი საგანი პატარა მოეჩვენა, არა თუ ადამიანები და ქოხები არამედ თვით ხეებიც ებრაელთა გეტოსი.

შიმის სახლის კარებთან რამდენიმე წუთს გარინდებული იდგა. მიწაზე დაყრილი დაძმანი გულამისკენით სტიროფინენ. ბავშვებმა უცნობი იდამიანის დანახვაზე დარცხვენილობა იგრძნეს და ტირილის ხმას დაუმდაბლეს.

მოზრდილმა ბავშვმა იცნო თავისი ძმა, რომელსაც ოდნავ შერჩენოდა იეჟდას სახის სსოვნა. წამოხტა და აღტაცებით მუხლებზე მოეხვია. დანარჩენი ბავშვები გაეცირებული დარჩენენ ლევის მოქმედებით...



იეჟდამ ყველა გადაპეკოცხა და გაახარა ტფილისიდან მოტანებული ჩარმოსთვებით.

— მამა სად არის? — შეეკითხა იეჟდა.

ყველა დადუშდა.

— მაგა გარდაიცვალა — იატაკზე მიჩერებული თვალებით წარმოსთვა ლევიმ.

იეჟდა ტახტზე დაემხო და გულამისკენილი ატირდა.

ბავშვები სანთლებივით გაყვითლებული იეჟდას ქვითინს აჲყვენ მეორე დღეს იუედას უმცროსი ძმა წაჰყვა მამის საფლავზე.

იუედა დიდ ხანს იდგა გარინდული უძრავად და თავის მამის საფლავს დასცეროდა.

მისი გარდაცვალების მიზეზი ხომ თვითონ იყო.

ვეღარ გაუძლო სევდას და მარცხენა თვალიდან მხურვალე ცრემლი გადმოუგორდა. ლოყა დაუწვა. თვალები აემღვრა. ფეხები უცბათ ჩაეკიცა და დაემხო მამის საფლავზე.

ალბად დიდხან იქნებოდა ასეთ მდგომარეობაში, თავის ძმა რომ არ აჲყოლოდა მის ტირიოს. იეჟდამ რომ დაინახა თავისი ძმა შეშინებულიყო, შეეცადა თავი შეეკავებინა. ბავშის დასაწყნარებლად მას თავზე ხელით მოუალერსა. ბავში დარჩილდა, დაცხრა, ძმას თვალებში ჭეხედა. იეჟდა ალარ სტიროდა მაგრამ რაღაც ბოლმა ყელს აწვებოდა და თითქოს ახრინბდა კიდეც.

\* \*

ბენიამინს შეუტრიალდა ცხოვრების ჩარხი. თითქოს მისი დასასრულის დღეები ახლოვდებოდა — მიდიოდა და მისტიროდა წარსულ ბედნიერებას.

გაჭირდა თბილისში ცხოვრება. ჩიმულიც ჩამოართვეს. ბჟვრი ეცადა აღედგინა თავის საკუთრება, ფულიც საკმიოდ დახარჯა ამ საქმეზე, მაგრამ ვერას გახდა.

ამ ხანებში წერილიც მიიღო ცხინვალიდან, თუ არ მიეპატრენობოდა მამულს. ჩამოართმევდენ.

— რას იტყვი ქალო, ასე უკუღმა რომ მიდის ჩენი საქმე?

ოსხაბედმა წარმოსთქვა.

— რა ვენა ჩემო ქმარო, რაც ვეიშერია უნდა გადაგვხდეს. ყველაფერი ღმერთის ნებაა.

— მე ვერ ავიტან ამ მძიმე მდგომარეობას ვინც შეუჩეველია. იმისათვის ადვილია. აი გიდი, ბენიამინ რას მოესწარი! — მცირე ხნით ჩაფიქრდა ბენიამინი და ხელი ძირს ჩაიქნია.



— ყველაფერი რომ ავიტანო, ასეთი უბედური შეილის ყოლის კველის შევიძლებ ეს რაღას გამიჩინა გამგლეჯად იმ დალოცვილმა ღმერჩება.

— ჩვენი ცოდვების ბრალია — წარმოსთქვა თოხაბედმა.

— უნდა გადაესახლდეთ ცხინვალში მეტი გზა ძლარ არის. — ვინ იცის იქნებ... თორა ბრძანებს „შინუი ჰამაკომ, შინუი ჰამაზალ“ იქაც უნდა მივეპატრონოთ მამლებს, თორებ ჩამოვართმევენ.

— შენი ნებაა ჩემო ქმარო მთაში რომ მითხრა იქაც წამოგყვები ოლონდაც დაგვიბრუნდეს წინანდელი მაზალი.

ბენიამინმა გადასწყვიტა გაეყიდა თავისი ორი ოთახი და ცხინვალში დაეწყო ცხოვრება, იქ ჩარჩობას შეუდგებოდა და ამით ხელ მეორეთ გააჩალებდა ვაჭრობას.

ბენიამინი ისე მოიქცა, როგორც გადასწყვიტა ყოველივე მოაგვარა წესრიგში მოიყვანა ერთი თვის განმავლობაში, ბაცას და თავის ოჯახით გადასახლდა ცხინვალში.

ბენიამინმა ხელი მიჰყო ხილით ვაჭრობას. ცდილობდა რაც შეიძლება მეტი დაემზადებია, ხილს ტფილისში იგზავნიდა. ამ საქმეში საკმაო თანხა დაუბრუნდა. იმედი მიეცა თუ რამდენჯერმე კიდევ გაგზავნიდა ხილს ტფილისში, ისეც წელში გაიმართებოდა.

ბენიამინს ეგონა დიდხანს ექნებოდა გაჩაღებული ვაჭრობა დიდძალ ფულსაც დააგროვებდა, ბეძლებით ხომ ვერც ერთი ხილის ვაჭარი ვერ შეუცილებოდა, საქმე სხვანაირად რომ არ დატრიალებულიყო.

ბენიამინს თუმცა ძლარ აკლდა ბეძლება ბაცას ოჯახის სარჩენათ, მაგრამ არ მოსწონდა რომ მისი ვაჟი თავშეუწუხებლად მის ხარჯზედ ცხოვრობდა. ბაცას ლოთობას და ყომარის თამაშს ხომ არ ვრთხელ მიუყენებია მისთვის შეურაცყოფა. და აი, ბენიამინმა გადასწყვიტა, რომ შვილი სწორ გზაზე დააყენოს.

ამ საქმეში შეიამხანება ისხაკი, ორივემ თანასწორი თანხა შეიტანეს, საამხანაგოთ დატვირთეს რამოდენიმე ურემი და ვაგზავნეს ქარელში.

— ბენიამინმა შვილი დაარიგა, სადგურიმდე მიაცილა, ვაგონის ღუბლიკატი ჩააბარა, სახარჯო ფულიც გაატანა, საქონლის სია შეუდგინეს და ფქვილის ნიმუშებიც, ქალალდში გამოუკრეს.

მატარებელი ჩამოდგა — ბენიამინი შვილს მიმართავდა.

— ეხლა დაამტკიცებ შენ შვილობას, ნუ შემარცხევნ ამხანაგოა, დავიღუპები, რაც მაღალია შენ წელშია. აბა შვილო ჩასვლისთანავე დებეშა გამომიგზავნე!

მატარებელი დაიძრა, ბენიამინი მიჰყვებოდა რონოდის კიბეს და მისძახოდა — მშვიდობით შვილ...



— რამოდენიმე შუთს უძრავად იდგა — გაფრინდენ რონოდები შეღებელი ართო შენ დააყენე კარგ აზრებზე ჩემი ბაცა” ეს სიტყვები ნუგეშად ამრა. ჟოლა გულიდან ოხვრას ბენიამინშა.

ბაცამ საქმე ისე დაატრიალა, როგორც მისი დარტიმანდი ხასიათი უკარნახებდა, საქონელი გაჭყიდა და ჩასვლისთანავე, ფული ღროზე აიღო, მაგრამ დაბრუნებაზე კი ოლარ ნაღვლობდა. რუსულს ძალიან დამტვრეულად ლაპარაკიბდა მაგრამ ეს სელს სრულიადაც არ უშლიდა, ამას აინუნშიდაც არ აგდებდა, რაკი ფული საკმაოდ ჰქონდა. ბენიამინს ერთი წერილი არ გაუგზავნა იქ ყოფნის ხანებში, გამგზავრებისას კი დეპეშებიც შეპირდა. ბაცა ქეიფსა და ღროს ტარებით ძალიან რომ მოილალა და ჯიშეც საგრძნობლად შეუთხლდა, გული ოდნავ დარდმა შეიპრო, როგორლა დანახვებოდა მამას, სად არის შეპირებანი, ეხლა რა გზას მიმართოს?

ისხაკი ბერს იწყევლიდა ბენიამინთან შეამხანაგების გამო როვორ შეცდა ფრთხილი და წინდახედული ისხაკი. ამდენი თანხა სხვის ხელში რომ ჩააგდო, გულს ულრინიდა გახსენება — „ის არამზადა, ავაზაკი, რა ხეირი გამოვა მისგანი“ — მაგრამ ხეირზე ალარ ფიქრობდა, ოლონდაც თავის ფული უნაკლოდ ჩაეგდო ხელში.

„ღმერთმა გამწირა, დამღუპა ჭკუა დავკარგე ჩემი ბრალია“, ასე სტიროდა ძილდაბნეული ისხაკი. „აშ რა შეუშია სეინდისი ან სარწმუნოება, მე ჩემ თანხას არ შეგარჩენ ბენიამინს, მე ბაკასთან საქმე არა მაქს, შენ უნდა იგო პასუხი. ვალდებული ხარ ამინაზლაურო. ის გარევნილი შენი შვილია და არა ჩემი“. ეს გადაწყვეტილება ჩარჩა ისხაკს გულში.

უცდიდა ღროს. \* ჯერ კი სდუმდა და ბოლმას გულში იტევდა.

— რას იტყვი ბენიამინ? როგორ დავილუპეთ, მეორე თვეა და არაფერი ამბავი არ ისმის.

დამწუხრებულნი ერთმანეთს მისჩერებოდენ.

და აი დააპირა ისხაკმა ეთქვა თავის გადაწყვეტილება.

ერთი ნაბიჯი უქვე გადადგა და ისევ შეჩერდა.

„რა დაგემარ თა ისხაკ! რალას უცდი იმედი ხომ დაკარგულია, გაბედე და მოითხოვე შენი ფულები!“ ასე ებრძოდა საკუთარ თავს, მაგრამ ფიქრები აკავებდა: იქნება ამ დღეს გახსნოდა ბედი და საქონელი მოსულიყო, მაშინ ხომ მოგებაზე ხელს აიღებდა. „კიდევ დაუცდი მოსალამოებას“ — თავისთვის წაიბუტობუტა და წავიდა ბენიამინთან, რომ გამოერკვია უკანასკნელად რას ფიქრობდა იგი. შეიძლება ბაცა მოჰკლეს ან მატარებელმა გაიტანა, ხომ უნდა მოკითხოს საკუთარი შვილი.

— რას ფიქრობ ბენიამინ ამალლებული და შეცვლილი კილოთი შემკითხა ისხაკი.



— ღმერთმა არ გაგვიშეტა, ბაცა გამოსწორდა იქურთხოსშემჩნევაზე  
ლი ხასო ადონია.

და ისხაქმაც ააყოლა თვალები ბენიამინის ხელებს, ჰერისკენ რომ  
მიებჯინა.

— ბენიამინ, სთქვი და სთქვი, გამახარე შე კაი კაცო.

— საქონელი გამოუგზავნია, დუბლიკატიც მოვიდა, წერილშიც იშერება  
ამ დლებში წამოვა და ძეირფას საქონელს კი თან წამოილებს.

— ღმერთმა ნუ მოგაჟლოს სიხარულ, ახლა დავიბადე მამიჩემის სულის-  
განათლებამ.

— ნურსად იტყვი ისხაკ ათასი მტერი ფეხში შემოგვცერია, დღესვე  
უნდა წავიდეთ ქარელში და ფქვილები გამოვიწეროთ.

— ოჲ, ბაცა შენ გაგიგრძელოს ღმერთმა დლები, რა კარვ დროს  
მოასწრო ფქვილების გამოვგზავნა, მაზანდაც აწეულია.

— ყოჩალია, ყველაფერი შეუძლიან, მაღლობა ღმერთს რახან გამოკეთდა.

ათი ურემი მიაყენეს ქარელის სადგურს, მწონავი წინასწარ დაასა-  
ჩუქრეს ფულით და ცხარე არაყით.

— შენი ჭირიმე, დრო არ გვაქვს, ფქვილები გამოგვიწერე.— ბენია-  
მინმა დუბლიკატიც გადასცა მწონავს.

ერთ წუთს მწონავმა გისაზრა, საწყობში ფქვილი არ იყო. „ეს  
ურიები კი რას ბოდავდენ.“ თავშეუკავებლად დაცინების ნიშნით ორჯელ  
წამოახველა, მაგრამ არაყი და ფოლი ძალას ატანდა თავი შეეკავებინა.  
უცბად შევარდა შლევით საბარეო განყოფილებაში.

ბენიამინიც თან შეჰყვა. ისხაკი მეურმებთან დარჩა, თან ანგარი-  
შობდა რამდენს მოიგებდა და წილად რა თანხა შეხვდებოდა.

„ღმერთმა გადმომხედა, რაც ამ ხანებში ფული გვაცვინე იმედია  
ორჯერ მეტი ავინაზლაურო.“

უცბად შეფიქრიანდა რომ ბენიამინი ამდენ ხანს არ გამოდიოდა,  
სადგურიდან მეურმებმაც ყვირილი ასტეხეს, რომ დროზე დაეტვირთათ  
ურმები და დასდგომოდენ გზას.

იქნებ მოლარე არ არის და ცნობის მოყვარეობით გატაცებული  
ისხაკი აჩქარებული ნაბიჯით წავიდა სადგურისაკენ.

„ეს რა ბედის წყრომაა! რას გაშეშებულა ბენიამინი! სახე რაზე ჩა-  
მოსტირის!—უბედურების ნიშნია“. — გულს გაუელვა ისხაკს ამ ფიქრმა.

— ბენიამინ, რა გაჩერებულხარ. მეურმები აღარ იცდიან!

ბენიამინმა თვალები გადმოკალა, კისერი მძიმედ მოიპრუნა  
და მიმქრალი თვალებით შეხედა ისხაკს.

— ცარიელი ტომრები გამოდგა ისხაკა.



ამ სიტყვებზე ნისლი ჩამოწეა, თვალები დაუბრმავდა სელომშემოსახული რის დროის წარლვნა მოეჩენა. დაინგრა ქვეყნიერება და მასთან ისახავს სხეულიც დაიფერფლა. რამოდენიმე წუთს გარინული იდგა, დაიძნა. პირველი გადაწყვეტილებაც აღარ მოაგონდა, მისი სული სადღაც უფრო უკრული ეშვებოდა, მეურმეები შემოცვინდენ სადგურში, ბურუსში გახვეული ამხანაგები გამოაფხილეს.

— რას დაგვაყენეთ გარეთ მშეირ საქონლით, მოვაქვთ თუ არა ტვირთი?

ამხანაგები სდუმდენ და ვერ ახერხებდენ სიტყვის გამოთქმას მეურმეების დასამშვიდებლად.

ბენიამინმა სახრით გაჩერებულ მეურმეს მწუხარებით აუწყა, რომ ფქვილის მაგიერ ტომრები აღმოაჩნდა.

მეურმეები ითხოვდენ გაცლენისას.

ეს სიტყვები ღურსმენებით სჩეკერდა ისხაკს, ისმენდა ყველაფერს მაგრამ არ ერეოდა მათ საქეში, ითქოს არც ეხებოდა.

— ზარალი ზარალზე! — იმერ უბდა ამ სიტყვებს და ისტუმრებდა მეურმეებს.

ისხაკამც გაბედელება მც კრიფა და ბენიამინს კატეგორიულად სთხოვა დაებრუნებინა მისთვის, უფრო, უმტკიცებდა თორის დინით და მთავრობის კანონით.

დიდხანს იყამა, ერდგულშა ამხანაგებმა, ხელიც მოუღერეს ერთმანეთს, ბენიამინი უმტკიცებდა რომ ეს საქმე ბაცას ჩადენილი არ იყო და საქონელი დაიკარიგა რკინის გზაზე. ისინი ვერ შეთანხმდენ.

და საქმე გადაიტანეს ცეინცალის რაგინთან.

ბენიამინი მაინც დარწმუნებული იყო, რომ ბაცა ხელზე ჩამოიტანდა რამე საქონელს და ელოდა მოუზომენა.

\* \* \*

ბაცა რომ ცალიერი დაბრუნდა, მამა ეჭვებმა შეიპყრო, მაგრამ შვილის სიტყვებს მაინც დაენდო და იმედი არ გაიცრუა. როგორც შვილმა გადასცა რუსეთიდან გამოგზავნილი ფართლეულობა უნდა მიეღო.

საქონლის მოსვლამ ძალიან დაიგვიანა, ბაცა კი მაინც აიმედებდა, დაგვიანებას რკინის გზას აბრალებდა. ბოლოს დარწმუნდა შვილის ტყულებში. ისხაკმაც თავის ფული წაართვა თუმცა რაბინი ბენიამინს ეხმარებოდა, მაგრამ ყვირილსა და ჩხებს ვეღარ გაუძლო. ბევრი ინანა, ბაცა რომ ოდესაში გაგზავნა და სასჯელად შვილი სახლიდან გააგდო მისი ცოლ-შვილიც გარეება და მუქარით განჯუბადა აღარ გაჰკარებოდა.

\* \* \*

ებრაელთა უბანში უჩევეულო ამბავი მოხდა. ბევრი ებრაელი ახალ-  
 ვაზრდა გადაელობა ტრადიციული წრეების სურვილებს: კომკავშირში  
 შევიდენ, სარწმუნეობა დაგმეს. ეს კიდევ არაფერი.

კომკავშირელთა ახალგაზრდობა იუჟდას ხელმძღვანელობით სალო-  
 ცავის ჩამორთმევას აპირებდა. ამ გარმეობით ძალიან შეშფოთდენ მორწ-  
 მუნე ებრაელები. წმინდა სალოცავის ბიბლიოთეკა-სამყითხუელოდ გადა-  
 კეთება მორწმუნეთ თავზე მეხის გავარდნას უდრიდა.

ამ ამბავმა საშინელი თავზარი დასცა ცხინვალის რაბინს: გადასწყვიტა,  
 როგორმე ააშოროს ხალხს ისრაელთა წმინდა ადგილის „ასეთი შეურაც-  
 ყოფა და დამკირება. სასწავლოდ შექვრიბა ადგილობრივი ხანმები და  
 ვაბაიები, ღონისძიებათა გამოსანახავათ.

დიდი კამათისა და საშუალებათა ძიების შემდეგ, რაბინმა გამოაც-  
 ხადა ერთი დღე მარხევა ცველა მორწმუნე ისრაელისათვის საგალდებუ-  
 ლოთ ცხინვალის ფარგლებში და იმ სალოცავში, რომელიც ბიბლეოთეკა  
 სამყითხუელოდ უნდა გადაეკეთებინათ, უნდა ჩაეტარებიათ ღამის ლოცვის  
 ცერემონია.

ებრაელები მარხულობის დღეს შებინდებიდან გათენებამდის სა-  
 ლოცავში თავმოხილნი ღმერთს ევედრებოდენ. რაბინმა მთელი საათ  
 ნახევრის განმავლობაში იქადაგი ღმერთის სიძლიერის, სარწმუნეობის  
 ჭეშმარიტების და მესიის მობრძანების შესახებ. ამ ღამეს, რაბინის ოკუ-  
 მენდაციით, ბენიამინი გაბაით დანიშნეს და მოახდინეს ღარიბთა ფონდის  
 გასაძლიერებლად შეწირულებანი.

დილით, კომკავშირელები და სხვა შეგნებული უპარტიო ახალ-  
 ვაზრდობა მივიდენ სალოცავის ადგილას, რათა გაენთავისუფლებიათ იგი  
 რელიგიური მოწყობილობიდან. მორწმუნე ებრაელობამ ჩოჩქოლი დაიწყო  
 დაუპატიჟებელი ახალგაზრდობის მოსვლით.

ლოცვა-მარხვისაგან გაფითრებული და აღელვებული რაბინი წინ  
 წამოდგა, მტრული თვალებით ვადახედა ახალგაზრდობას, რომლებსაც  
 სალოცავში თავი მოეყარათ; წარბების აწევით და წვერზე ხელის გადას-  
 მით პირი იძრუნა აღმოსავლეთისაკენ, რამდენიმე ებრაული წინადადება  
 ცხვირში სხაპა სხუპით წარმოსთქვა, დასწყევლა ცველა ის, ვინც საბიძ-  
 ლეოთეკად გახსნილ სალოცავში ფეხს შეკარებდა.

ხალხში ურიამული ატყდა, სალოცავის კარებთან რამდენიმე ებრაე-  
 ლი, მათ შორის ბენიამინიც გამოჩნდა, რომლებსაც გამედაობა მოეკრი-  
 ფათ, ბრაზისაგან თვალებ გაღმოკალლი გაემართენ კომკავშირლბისკენ.  
 მყისვე მივარდნენ მოთმინებიდან გამოსულ ებრაელებს მთელი ჯგუფი



მორწმუნეთაგან, რომლებსაც არ დაჰქარგოდათ მდგომარეობისადმი კლეიტონის რიშის გაწევის უნარი, შეაჩერეს ის ებრაელები, რომლებიც საცემათ გამზადებული იყვნენ კომედიურელების წინააღმდეგ.

რაბინმა წამოიწია წინ, აეიდა თებაზე და ხელების ფართედ გაშლით მბრძანებლობის კილოოთი გადასძახა ჯამაათს. ის უკვე დაწყევლილია ვინც ფეხს შეაკარებს ამ ადგილს.

იქვე მდგარ გრძელ სკამზე შედგა და წარმოსთქვა სიტყვა-ებრაელთა სრწმუნეობის ცრუ მატყუარობის შესახებ.

ხალხში ისევ — ჩოჩქოლი... ერთს მორწმუნემ, რომელსაც უბრალოზე უფრო მდარე ჩატმულობა სილარიბეს უმტკიცებდა გაბედულით გადასძახა ხალხს რამდენიმე სიტყვა, რომელიც იქვედას მხარს უჭერდა. მის სახეს ბრაზით სავსე თვალები დაემიზნა, რომელიც განრისხებული დარბოდა, ყვიროდა და ხალხის შესამჩნევად აფურთხებდა იმ ადამიანებს რომლებმაც მოინდომეს წმინდა სალოცავის გაბილწება.

ახალგაზრდობის და ლარიბ ხალხის სურვილმა დასძლია მოწანააღმდეგების გალაქტირებას და სალოცავი გადაკეთებული იქმნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოთ.

\* \* \*

ბენიამინი გაბრაზებული, აჩქარებული ნაბიჯით წინ მიდიოდა, ხალხში ყური მოჰკრა სარას შესახებ ცუდ ხმებს, რომ ებრაელ ქალთაშორის ეწეოდა აგრტაციას კოლმეურნეობაში შესვლაზე. ამას ისიც დაემატა, რომ იქვედას დედინაცვლისაგან გაიგო სარას და იქვედას სიყვარულის ამბავი. შეიქრა „ზალაში“ — ასე უწოდებდენ იმ ოთახს, სადაც სარა შეულებოდა.

სარა თარიებზე წიგნებს აწყობდა. მის დანახვაზე ბენიამინი კარგბში შეჩერდა, თითქოს თოკით შეპირქესო. თვითონაც არ მოეწონა თავისი ასეთი დარბილება. სიმეჯირის იერის მისაღებად მარჯვენა მკლავი ჰაერში შეათამაშა.

— რას ჰყითხულობ?.. რას აკეთებ განდ!

... სარას სახეს ალმური ეკიდა. უკმაყოფილო სახე იქით მიიბრუნა.

და დაკირვებული კილოოთი უპასუხა:

— რა გეკითხება, რას ვაკეთებ...

სარა მიხედა: მამას რაღაც აბეზარი რამ აპკიდებოდა, მივიდა განჯინის სარკეში გაიხედა და თმებს დაუწყო სწორება.

— როგორ! სიტყვასაც არ ჰყადრულობ?

ამის თქმისთანავე ბენიამინმა მაგიდაზე დადგმულ კანტერბული შემოიწვევა და მის მიმდევა სარას განვიხილავთ. ნამსხვრევები წერიალით დაეშვენ ძვირფას სპარსულ ხალიჩაზე, კანდელი კი იატაზე სამთ გადატყდა. სარა მთლად დაიბნა შიშმა აიტაცა შეშლილივით მყისვე ოთახიდან გარეთ გავარდა კიბეების სწრაფი ჩარბენით ქალაქის განაპირა მხარე ვენახებისაჲენ გაიქცა. იშვიათით, რომ შინ აღარ დაბრუნებულიყო არადროს ამ ხმაურზე ოთახში შემოიჭრნენ სარას დედა და ნინა. ბენიამინმა შლეგივით წაავლო ხელები სარას დედას თმების ნაწნავებში და სარაზე გაბრაზებულმა ცოლის ცემით იჯერა გულა:

\* \* \*

ტირიფონას ველზე ებრაელთა კოლმეურნეობის ჩამოყალიბების საქმეზე ჩამოსული ორი ამხანაგი გზად მიაცილა.

დაბრუნებისას მთვარიინ ღამეს ვენახებისაჲენ გაისეირნა.

იეჟდამ ბენიამინის ვენახს ცნობისმოყვარებით გაღახედა. კაქლის ხის ძირში დაინახა ქალის ტანი. ეს ადგილი სარას საოცნებო მყუდრო ადგილი იყო. იეჟდამ ეს იცოდა.

ქალი ტიროდა. იეჟდა ღობეზე გადახტა. ნელინელ მიუხლოვდა. ქალმა ტირილი შესწუყიტა, თვალებზე ცრემლები მოიწმინდა და მხიარული გამომეტყველება მიიღო; გაუკვირდა საიდან გაჩნდა\* იეჟდა მასთან ვენახში.

იეჟდამ წყნარად და მოფერებით გადუსვა სარას თავზე ხელი და ტირილის მიზეზი ჰყითხა. სარამ ტირილით უპასუხა, რომ ვამას ძალათ სურს მის გათხოვება.

ამ ამბავმა იეჟდა ძალზე ააღელვა და გაბრაზებულმა იკითხა.

— ვისზე ვიპირობს გათხოებას?

— ჯერ მე თითონ არ ვიცი ვისზე...

— აბა მაგას ვნახავთ!.. თავს მოვიკლამ შენს თავს კი არავის დაუთმობ!..

სარამ აღფრთოვანებული თვალებათ შეხედა იეჟდას და მისევე გაიწოდა ხელები.

— იეჟდა ჩემო, იეჟდა!..

— სარა, ჩემო იმედო სარა!.. — ეჩურჩულებოდა იეჟდა და აღელვებული გულში იქრავდა სარას ათრთოლებულ ხელებს.

ბენიამინმა სარა ათახში დამწუვდით გარეთ აღარ უშვებდა. იეჟდა ხომ სასტიკად სძულდა. უკვირდა რატომ ღმერთი ასე გაჩინებული იყო და თავის რისხვას არ აყენებდა მას. უცდიდა ღროს რომ ღმერთი არ



დაივიწყებდა ასეთი აღამიანების დასჯას და თუ კი ლმერთი არ ჩაეტოლდა ამ საქმეში, ბენიამინი თავისით შეასრულებდა, რადგან სიკვდილი იქცედა. სი ცოდვათ არ მიაჩნდა; არა ის ანგარიშს აღარ გაუწევდა სულზე უტებე-სათ გამჯდარს და მთასავით ურყევს კანონებს. დაარღვევდა მას თუნდა ეს ყოფილიყო ცეკვლთან თამაში მისი ლვიძლი შეილის ასეთი გადაბირე-ბისათვის თუ აქობამდე ისმენდა სხვა უბედურებას, ამას კი დაუსჯელად არავის შეარჩენს.

ბენიამინი ვერაფერს გახდებოდა თავის შეილის მხოლოთ დამწყვდე-ვით; სულ ბევრი, თუნდაც ორი კვირა პყოლოდა კარ ჩაჭერილში.

ასეთი საქციელი თითონაც ხომ მოსწყინდებოდა. ბოლოს და ბოლოს შეილი იყო და მისი სიყვარულიცა ჰქონდა. საჭირო იყო ისეთი გზის გამონახვა რითაც საკითხი იოლად და უმტკივნელად გადასწყდებოდა. არა, მარტო იოლად კი არა, არამედ ოჯახსაც სიხარულს შესძენდა. ბენია-მინის აზრით ქალიშეილის გათხოვებაზე უკეთესი სხვა არა იყო რა.

და ის, საქმე ისე მოაჭიროეს, როგორც ბენიამინის ლვთისმოყვარ გულს უნდოდა, სინაგოგაში რაბინს დაუთანხმდა მისა შეილისათვის მიეცა თავისი ქალიშვილი სარა. იმ ღამესვე უნდა დაენიშნათ კიდეც, რომ გე-რშონს—ბენიამინის ახალგაზრდა მეზობელს საქმე არ ჩაეშალა ბენიამინი-სათვის. გერშონს თვითონ უნდოდა სარას შერთვა, მაგრამ თხოვნა ვერ გაეძედნა; ახლა კი თავისებურაო დატრიალდა: მყისვე რაბინთან გაიქცა სარას გადაგვარებაზე და ბენიამინის ოჯაზზე ცუდი ლაპარაკით გული შეუცვალა.

სარას ბენიამინი ძალას ატანდა, სცემდა, სიკვდილით ემჯერებოდა თუ არ დასთანხმდებოდა რაბინის შეილზედ. ელოდა ახალ მძახლებს. შუალამე ხდებოდა რაბინი და სასიძო კი არ სჩანდა.

რაბინიდან გამოგზავნილმა კაცება განუცხადა უარი. გაკვრით მი-ზეზს უმელობენებდა რომ სარა ოჯახისათვის გამოსადევი ქალი არ იყო ამან ჭყრო ააღლევა ბენიამინი. არ იცოდა რა ექნა. დაიწყო ოჯახის არევ დარევა.

გერშონი ილიმებოდა ჯიბიდან ვარდი ამოილო, ყნოსვა დაუწყო, ბე-ჭედიც უბეში ჰქონდა. ბიძასათვის საიდუმლოდ გამოეტანებია თბილისში, სარას წარწერა გაეკეთებინა, იცინდა და კითხულობდა „სარა“.

მხოლოდ ერთი რამ აშინებდა, კველა გიეს ეძახდა, მაგრამ მართლა გიეი ხომ არ იყო. ეკითხებოდა თავის თავს და სარკეში თავმომწონედ იცქირებოდა. ბიძასთან კველაფერი ჰქონდა ნაამბობი. მისი მესაიდუმლე იყო. თუმცა გულში დასცინდა ბიძა ასეთ ოცნებაზე, მაგრამ პირში როგორ ეტყოდა, რომ ქვით თავი არ გაეტეხა. ჯერ კიდევ ვერ გადაე-წყვიტნა მაჭანელად ბიძა გაეგზავნა თუ თვითონ გაშორებულობდა გულის



წადილებს ბენიამინს. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ იპოვნა გამოცხადებული გზა, რომ ბაძასთან ერთად მისულიყო. ჯიბეში ვარდები ჩაიღავა, ახალი ხალათი ჩაიცვა, ბეჭედი უბეში ჩაიღო და ბიძასთან წავიდა.

ბიძამ უარი განუცხადა გერმონს აჯერებდა რომ ამ საქმით არაფერო გამოვიდოდა, ჯერ ერთი, სარას არ მისცემდენ. არც თვითონ სარა დასთან-ხმდებოდა. მერე, ნიშნობის და ქორწილის აღათისამებრ შესრულების-თვის დიდი ფული იყო საჭირო. გერმონი კი ჯიბე გამოფხევილი დადიოდა. გაჯავრებულმა გერმონმა, წისლი მიარტყა კარებს და მარტოდ წავიდა საქმის მოსაგვარელიდ.

გერმონი ბენიამინის ეზოს ცოტა დაშორებით ყარაულობდა, სიმღერის ხმაც კი მოესმა გერმონს. როდესაც ცოტახნის შემდეგ სარა აივანზე გამოვიდა, გერმონი კედელს მოეფარა, რომ არ შეემჩნიათ. დიდი ლოდინის შემდეგ რაბინი და ბენიამინი გამოიჩნდენ, თუმცა არ ესიამოვნა გერმონს რაბინის დანახვა, მაგრამ თუ ხელს გაუშლიდა კარგ დღეს არ დააყენებდა. ორიოდე წუთის შემდეგ ხალათის საყელო გაისწორა. მხრები ამოყარა ქოჩორზე, ხელი გადაისუა და აივნის კიბესთან მივიდა.

ბენიამანი ძალიან გაოცდა გერმონი რომ დაინახა, მაგრამ მოსულ სტუმარს ხელს ვერ ჰქონავდა. სარა სიცილით თავს ვერ იკავებდა. სეამი მისთავაზა გერმონს. გერმონი საგანგებოდ იჯდა სკამზე და ირიბულად იცქირებოდა. რაბინმა ებრაულ ენაზე რალაც წაიბუტბუტა. ბენიამინი თვალებში შესცეკროდა, ყველას ცნობისმოყვარეობა იტაცებდა გაეგო რისთვის შეწერებულიყო ცნობილი გერმონი.

გერმონი ფეხზე წამოდგა ჩუმათ წასჩურჩული ბენიამინს, რომ უცრო ხალხს ცოტა ხნით დაეტოვებინათ მარტოდ. მყისვე შეუსრულდა თხოვნა-

გერმონს ახალი აზრი მოუვიდა, ფიქრობდა გაიმარჯვებდა, დაიწყო იეუდაზე ლაპარაკი. ბენიამინი სმენად გადაქცეული უსმენდა. რაბინი ყავარჯენზე დაყრდნობილი თვალებში შესცეკროდა. უამბო რომ იეუდა ბენიამინს სახლის ჩამორთმევას უპირებს. ამ სიტყვებმა ბენიამინი ძალიან ააღვლვა. მუხლებში და თავში იცემდა ხელს.

რალი გამაჩნა ამბობდა კაცი გავლარიბდი და ახლა სახლსაც მართმევენ. სისხლს დავღვრი იეუდას მოვსპობ. გაიძახოდა ბენიამინი.

რაბინი აწყნარებდა ყველაფერს უკავშირებდა მესიის მიბრძანებას-ქვეყნიერება უნდა აირიოს თორა ბრძანებსო.

გერმონმა საშეალებაც გამონახა და ბენიამინს შეპირდა: ის და ბაცა მოურიგდებოდენ იეუდას, მას ისეთ დღეში ჩაგდებდენ, რომ კრინტი ველარ დაეძრა ბენიამინს ოჯაზე. მხოლოდ სარას მიეთხოვებია მისთვის სულსაც არ დაზოგავდა ბენიამინის ოჯახისათვის.



ბენიამინი გაოცდა — გაუკვირდა, ამ სულელმა ქალი ოოგორ მთხოვთ ვა. ჩაბინს ხელება აუტყდა, გეშრონი თვალებს აცეცებდა აქეთიერ. ბენიამინი გახურებულ შებლზე ხელს ისვამდა, ხაგრამ გამოსავალი გზას ვერ პოულობდა. ბოლოს შეპირდა გერშონს თუ საჩქაროდ მოაგვარებდა ბაცასთან საქმეს და იეუდას შავდღეს დააყენებდა. ის თანახმა იყო ქალი მიეცა.

გახარებული ფეხზე წამოხტა — აჩქარებულ ნაბიჯით კარებისაკენ წავიდა. არეულს გამომშვიდება დაავიწყდა და ქუდიც ბენიამინთან დარჩა. აღელვებულმა კიბე ჩაირაბინა და ქუჩას მისცა თავი. ღიღ ხანს ღაღიოდა საწყალი გერშონი ქუჩაში აღელვებული და თმა აწეწილი; პირზე უცნაური ღიმილი უთაბაშებდა და თვალები შორს მისჩერებოდა. ბიბლეოთეკა — სამკითხველოს ეზოში თავი მოეყარათ ებრაელებს. ყველა განსაკუთრებული ცნობის მოყვარეობით ლაპარაკობდა ჯგუფ ჯგუფად — ზოგიერთი მხიარულად ბაასობდა. ალბად დღევანდელი მოვლენა იმედს აძლევდა მომაცლისათვის. ზოგი ერთი კი რისხვით იყო აღჭურვილი, რაღაც ნიადაგი ეცლებოდა და თავისთვის გათხრილ სამარეს თვითვე ხედავდა.

ღარიბი ხალხი მოუთმენლად ელოდა ქრების დაწყებას, იმას კი გრძნობდენ, რომ დღევანდელი საკითხი მათ ეხებოდათ და სიხარულის ფიქრებით უბრწყინავდათ სახე.

ქალებიც გამოჩდენ. მათ შორის სარაც იყო.

კრება ჯერ არ იყო დაწყებული. ქალთა ჯგუფი გამოყოფილიყო და გათხოვების და დანიშვნის ამბების ბირეა გაემართნათ.

გერშონიც გაჩნდა. არც მისთვის იყო ინტერეს მოქლებული ასეთი ამბავი. უშუალო მონაწილე თუ არა, მსშენელი მაინც იქნებოდა. ამითაც დიდათ ქმაყოფილდებოდა ხოლმე. ახალგაზრდები კი მასხარად იგდებდნენ.

გერშონი მოთმინებიდან გამოსული სიტყვით რომ ვერაფერს გახდებოდა ქვების სროლით მოიგერიებდა მის წინააღმდეგ ახირებულ ბიჭებს. მას ვერ გაეგო, თუ რა მიზეზით დასკინოდენ. მას ახლაც ასე მივარდენ ბიჭები და უ-უ-უ-უ-ს ძაბილით შეეგებენ გერშონის მოსვლას.

გერშონი ისე მოიქცა, როგორც სჩეოდა: დაავლო ხელი ქვას. აგრ რომ უნდა ესროლოს ბიჭებს, რომლებიც უკვე ხალხში შეერიენ — უემჩნია ბენიამინი, ქვა შეუმჩნევლად ხელიდან გააგდო და წელში გასწორდა, რომ თავის სასიმაგროს არ აჩვენოს თავი სხვანაირად.

ბენიამინი როგორლაც დაგვიანებით მოვიდა და შეძლებულ ებრა-ელთა ჯგუფს შეუერთდა, რომლებიც მრისხანებით გამოიყურებოდენ.

ხახამიც მათ ჯგუფში იჯდა. ის ლაპარაკობდა მესიის მო-



სკლის შესახვებ, ცოდო-მადლის სიძლიერის ამოცანებზე ქართული შესახებ. ლაპარაკობდენ ხალხში და ავრცელებდენ ჭორებს.

ზოგიერთ ახალგაზრდათა ჯგუფში კომკავშირულ ტანისამოსში გამოწყობილი მოსჩანდენ.

ჩქარა გამოცხადდენ თბილისიდან ჩამოსული ამხანაგები ადგილობრივ საბჭოს წევრებთან ერთად. იქუდაც მათში იყო, განსაკუთრებული მხიარული გამომეტყველობით რაღაცაზე ეკამათებოდა იონას.

ხალხი დიდი ინტერესით შეხვდა კრების გახსნას. დარბაზი საესე იყო ქალით და კაცით და სკამებზე რომ არ ეტეოდენ, ფეხზე იდგენ და ფანჯრებზე ისხდენ.

კრება მთავრობის წარმომადგენელმა გახსნა, წარმოსთქვა სიტყვა და შემდეგ მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა იონას.

მოხსენება ღარებკომის განყოფილების გახსნისა და საწარმოთა მოწყობას შეეხებოდა. მოხსენებას ახალგაზრდობა და ღარიბი ებრაელები აღფრთვონანებით შეხვდენ, ტაშის ხმაურით გააბრუეს დარბაზი.

მოხუც ხახამს და სხვა გაბაბიებს სახეზე შავი ალმური ასდიოდათ ტაშის ხმაურზე მოილუშენ და გაბრაზებული თვალებით დაიწყეს ყურება.

ეს გუგუნი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ხალხს. ბენიამინი წინა სკამზე იჯდა და მოთმინება დაკარგულს საშინელი ხველვბა აუკარდა.

იეჟდას ლიმილმა გადაჰკრა სახეზე. მოხსენების შემდეგ შეკითხვების მიცემა დაიწყეს. რომელიც უმეტესად შეძლებულ და მორწმუნე ხალხის გან იყო მიცემული.

- შაბათობით იქნება თუ არა მუშაობა?
- ებრაულ დღესასწაულებში ვიმუშავებთ თუ არა?
- ხელობა რომ არ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ?
- ჯამაგირი რამდენი იქნება?
- ვისაც ბევრი ჰყავს სარჩენი, ექნება თუ არა მეტი ჯამაგირი?

და სხვა.

ზოგიერთმა ასეთი შეკითხვაც კი მისცა:

- მუშაობის შემდეგ შეიძლება თუ არა ვაჭრობა?

მომხსენებულმა პასუხი გასცა ყველა კითხვას, კითხვა-პასუხიდან სიტყვაზე გადავიდენ. კამათში მონაწილეობა მიიღეს იეჟდამ, ბენიამინმა, რომელიც თავს ჯამათის უფროსადა სთვლიდა, რადგან გაბაი იყო.

კრების შემდეგ დაიწყო მსურველთა ჩაწერა.

ჩაწერას აწარმოებდა იეჟდა.

\* \* \*

ცხინვალის ღარებკომის განყოფილების სამკერვალო. სახელოსნოში  
 შალე სატრიუქოტაურ ბრტელიც გაიხსნა, სადაც რამდენიმე ღარიბი ებრა-  
 ელი ქალი და ვაჟი ჩაება სამუშაოდ მათ შორის თუმცა ახალგაზრდობა  
 შეტი იყო, მაგრამ მაინც არ მუშაობდენ შაბათობით. ახალგაზრდები  
 წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ და ჯერ კიდევ ვერ შერიგებოდნენ  
 ამ წარმოდგენას. ზოგი ერთინი კი მშობლების შიშით არ მუშაობდენ. სა-  
 ჭირო იყო მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და  
 შეგნების შეტანა. იეჟლამ სარასთან ერთად სალიკვიდაციი და მცირე  
 მცოდნეთა სკოლა გახსნეს, გამგეთ სარა დანიშნეს, სარა ქალთა კუთხის  
 ჭელმძღვანელადაც დააყენეს. მოწაფებს იქ ამეცადინებდა.

\* \* \*

ბენიამინს ყველაფერი მისი სურვილის საწინააღმდევოთ შეექმნა. ის  
 არა მარტო მატერიალურ განაღურებას გრძნობდა, არამედ სულიერადაც  
 კი დაიცა. მარტო გარეშე მდგომარეობამ კი არ შეარყია მისი გონება,  
 არამედ თვით მის ოჯახში შეექმნილმა პირობებმაც-კი: ბაცა, სარა—არა  
 სანუგეშო და შემრცხვენელნი იყვნენ მსაფიის. ნანაც კი სარას უქერდა  
 შხარს და მუშაობაში ეხმარებოდა მას. ცოლის ხშირი წუწუნი და ტირილი  
 ზომ ცეცხლზე ნავთს უსხამდა, ამას კიდევ ზედ დაერთო ბენიამინისახვის  
 ერთი უბედურობა: უწყება მიიღო ვენახის ჩამორთმევის შესახებ.

\* \* \*

გერშონი ბაცას დაეძებდა აკურხანებში, მთელი დღე დარბოდა ქუ-  
 ჩებში და ორლობებში, ბოლოს ორგორც იყო იპოვნა—ლიახვების მდინა-  
 რის პირას ჭალაში მის დარღმანდ ძმა ბიჭებთან ერთად, მამლებს აჭი-  
 დავებდენ.

მამლები ფრთების ფარფატით ამაყად იხევდენ უკან ისევ, აფრინ  
 დებოდენ ერთმანეთს ბიბილოში.

გერშონს დიდხანს ვერ გაებედა მისთვის გაცეცხლებულ გულზე დაე-  
 წყო ლაპარაკი, ისინი კი ჯერ კიდევ არ ათავებდენ. ბაცამ მოიგო—მისმა  
 შაბალმა დაამარცხა, მოწინააღმდეგს ბიბნლოდან ოქროს ქოჩორზე  
 სისხლი ადინა. ბოლოს გერშონი ამ გარმეობით გახარებული წელში  
 გაიმართა და ყურში ჩაჩურჩულა რომ ის დიდ საქმეზე არის მოსული.

ბაცამ დროებით მიატოვა ტოლ-ამხანგები და გაპყვა გერშონს.  
 მიდიოდენ წდინარის გასწვრივ, გერშონი ბაცას ამხედრებდა იეჟდას  
 წინააღმდეგ, ელაპარაკებოდა ცოლის გაქცევაზე, რომელიც სამკერვალო



ცეხში მუშაობდა; ელაპარაკებოდა დიდხანს და ყველაფერს პრატიშტა  
იუდას. იმის თქმაც კი არ დავიწყებია, რომ მასაც უპირებდა დაპატი-  
მრებას და გადასახლებას.

ბაცამ ქუდი მოიგლიჯა, გულში ხელი ჩაირტყა თითქო მოგონების-  
ლანდები გადაეშალა თვალ წინ. გერშონს ხელი სტაცა და იუდაზე შუ-  
რის საძიებლად გაეშურა.

ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, იეჟდა სხდომაზე იყო. ბაცა და  
გარშონი ბნელ მოსახვევში ჩასაფრებული იყვნენ—იცოდენ იეჟდას ამ  
გზაზე უნდა გამოეარა. ქუჩებში სიჩუმე მეფობდა. იეჟდა ლილინით მი-  
დიოდა სახლში, მოსახვევში ბაცა გადაელობა. გერშონის, შიშისაგან და-  
ბნეულს ქვა ხელიდან გაუარდა და როგორც იყო ცახცახით ატაცებული  
მუხლები მიათრია ახლოს. იეჟდამ დანა რომ შეამჩნია ბაცას ხელში რა-  
მდენიმე ნაბიჯით უკან გადადგა. იუდამ რევოლვერი ამოილო და ჰაერშო-  
ნისროლა. ბაცა ერთ ადგილას გაშეშდა. ბაცა და გერშონი გაიქცინ.

\* \* \*

ბენიამინი სალოცავიდან ბრუნდება სახლში ღამის ლოცვის შესრუ-  
ლების შემდეგ ღრმად ჩაფიქრებული. ის თავის უბედურებათა საერთო  
მიზეზს დაეძებდა.

რა იყო ძალა, რომელმაც მისი ხიმდიდრე, ძლიერება გაანადგურა და  
სასიკვდილო ჩიხამდე მიიყვანა. იქნება ღმერთი სცდის, მაგრამ რა უნდა  
იყოს საფუძველი ამის. იქნებ ეს ისევეა როგორც იობსა სცდიდა  
ღმერთი ისრაელისა. სცდის მის ძალას, რამდენად შეუძლიან მტკიცედ  
შეინარჩუნოს თავისი რწმენა. იქნებ ეს არც გამოცდაა, არამედ ცოდვით  
არის გამოწვეული. რა უნდა ჩაედინა მას ისეთი ცოდვა, რომელმაც ისეთი  
დიდი სასჯელი მიუსაჯა. მაში იმ ებრაელებს რატომ თავის რისხვას არ  
აყენებს, რომლებიც მის არსებობას არ ამარტო უარყოფენ არამედ მის  
წმინდათა წმინდა ადგილებს ბილწავენ რყვნიენ მისი სახელის, რატომ  
არის რომ ისინი თავისუფლად დათარებულენ.

ბენიამინს ამ ფიქრებში ღმერთის არსებობაში ეჭვი ოდნავადაც არ  
მიუტანია, სრულიადაც არა, მას მხოლოდ აკვირვებდა ღმერთის უცნაური  
სამართალი და ამდენი დუმილი, რომელიც თვით მის სახელის დამამცი-  
რებელი იყო.

შურის ძიება... ეს რა მიწივის ყურებში—მას შემდეგ რაც ის-  
წუთისოფელს გამოესალმა, შეიძლება მისი სული ისევ დატრიალობს ჩემს  
გარშემო და სურს შურისძიება მოაწყოს ჩემზე., მიზეზი მიგნებულია-  
იეჟდა, სარა, ნანა და თვით რიბჟაც—მათ შორის მოქმედობს შემაის სული

და აწყობს ჩემზე შურისძიებას იმისათვის, რომ მე ჩავიღინე უფრდესი ცოდვა, შეიძლება ამაში ღმერთის ხელია? არა, ეს არ შეიძლება რომ იყოს. მისმა სულმა ვერ ჰქოვა მოსვენება და ისევ ტრიალობს ამ ქვეყნად. შურის ძიებას აწყობს ჩემზე, იმისათვის რომ მე ჩავიღინე უდიდესი ცოდვა: არ მივაჭირ აურაღლება მის სიღატაკეს, საქონელს ისეთ ფასებში ვაძლევდი, რომლითაც ლუქმა პური ძლივს შეჰქონდა ოჯახში. მის გაძარცვის შემდეგ დაგალიანებაში არავითარ იშელავათი არ გაუწიო და სამი წლით გამოვსტაცე შვილი, რომელიც ეხმარებოდა ცოტაოდნად მაინც. ალბად მე რომ არ წამეყვანა უდიდესი ბოძი გახდებოდა მალე შემაის ოჯახში, უდანაშაულოდ მივაყენე სასჯელი იეუდას და ამან შემაი უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა: სამი ბავშვი ულუქმაპუროთ დარჩა მისი სიკვდილით. - და ამას ის ვერ ითმენს. ცოდვას ზიდავს მთელი ჩემი ოჯახი. შვილები გადამიგვარდენ, გადამიღენ და მათაც დაიწყეს ჩემს წინააღმდეგ მისი სულის კარნაზით მოქმედება. აგრეთვანდა მივდივარ და ვუახლოვდები სიკვდილის პირს. საღ ვიყავ აქამდე! ნუთუ ვერ მიეხვდი დღემდე, რომ ყოველივე უბედურება რაც ჩემს თავზე ხდება, ეს მისგან არის გამოწვეული! ახ... არა! ჯერ კიდევ დრო მაქვს ვიბრძოლო თვით ამ თვალთ უხილავ არსების წინააღმდეგ. მოვსპონ ყველა ის გზა, რითაც თავის სურვილებს ანხორციელებს.

ბენიამინი ამ მძიმე ფიქრით მიადგა თავის ვენახს მისი სურვილის გარეშე, უნებლიერთ.

ვენახის დანახვამ უფრო გაუძლიერა შემაის შურისძიების აზრი და როგორც სომნამბული? ისე გაქანდა სახლისაკენ, იმისათვის რომ მოსპონ შველა ის ადგილი, სადაც მებრძოლი სულის საბუდარია. აღარ დარჩეს კვალი არავითარი.

სხეული სულივით შეაღო კარები თავისი ოთახის და თვალებით დაუწყო ძებნა სარას.

როდესაც ითახში არავინ დახვდა ეტაჟერკიდან დაიწყო წიგნების სროლა და თან გაპივობდა.

ბაგეებიდან დაუწყო დორბლებმა დენა, თითქოს შეხვეული ჭრილობა ვაეხსნაო.

მის ყვირილის ხმაზედ ცოლი შემოვარდა და უცნაურმა სანახაობაშ ერთ ადგილას შებოჭა, ფეხი წინ ვეღარ წასდგა. ბენიამინს წვერებზე დორბლები სდიოდა და ბაგეებზე ბუჟუები ბუჟტებად კროთოდენ. ცოლმა ეს შეამჩნია და ძიძის აღმურმა გადაპკრა ვაი თუ რაიმე სენი შეეყარაო. ამ ფიქრის საბაბი ბენიამინმა მისცა თვითონ, რაღვან მას თვალები ისე ჰქონდა გაშტერებული და ერთ წერტილზე გაყინული, რომ ეპილეპტიკს მოგავონებდათ.



უცბად ბენიამინმა თვალები გაანთავისუფლა გაყინვის წერტილობრივ  
და ცოლის სახეს ისრებივით დაასო—მიგარდა დასახრჩობად.

— შენი წელიდან დაიბადენ ისეთი შვილები, რომ მიეყიდენ შემაის  
სულს და შურისძიებას აწყობენ ჩემზე.

ქალი მთლად დაიბნა ხელები აუცახცახდა.

ბენიამინმა თვალი მოკვლიჯა იოხაბედს და ნაფლოთებათ აქცია...  
ის იყო ქალს თავისიერ ნაწნავებით დაარჩობდა სარას და ნანას რომ?  
არ მოესწროთ.

სარას და ნანას თვალებზე ბინდივით გადაეკრათ შემზარავი სანა-  
ხობა.

დედას შვილების იმედი მიეცა, რომ თავის გაგიერებული ქმრის  
მსხვერპლი აღარ იქნებოდა. გულიდან ამომსკდარი ხმით შესძახა თავის  
შვილებს.

— მიშველეთ! მამა გაგიგიქდა.

ბენიამინმა სარას დანახვაზე ყურადღება იოხაბედიდან მასზე გადა-  
იტანა. გაპქრა მასში ყოველგვარი გრძნობა მშობლიური და დანანება  
ადამიანის სიცოცხლისა; მიატოვა იოხაბედი, აიტაცა სკამი ხელში და  
ისეთი სიძლიერით დაანარცხა იატაკზე, რომ კედელზე ჩამოკიდებული  
სურათებიც კი შეირჩენ და დიდი ხნის უსუფოაობის გამო დაყრილი  
მტკერი ჩამოიძერტყა.

— გიუი ვარ ეხლა არა? მაშინ, როდესაც ფუფუნებით გაცხოვრებდით,  
ცივ ნიავსაც არ მოგაკარებდით,— ჭკვიანი ვიყავი, მაგრამ, როდესაც ქონება  
გამენიავდა, კაცი გავლატაკდი, ამ ტანჯვასაც აღარ მაქმარებთ და გიუ-  
თაც კი მთვლით.— ბენიამინი ამ სიტყვებს ისეთი სიმძლავრით გაიძახდა,  
არა გაიძახდა კი არა— პყვიროდა, რომ შემაძრწუნებელი იყო მისი მოსმენა.

დედა დაემთხვა იატაკზე თავისი შვილების წინ და ატირებული  
ხმით შესძახა თავის შვილებს.

— მიშველეთ შვილებო! ბენიამინს ლმერთმა ჯერ გონება წაართვა, მერც  
ჰქონა გამოაცალა.

ისევ იგრიალა ბენიანინის შემზარავმა ხმამ:

მე ვიუი ეხლა კი არა ვარ არამედ წინად ვიყავი, რადგან დროზე  
ვერ მივხვდი, რომ თქვენ უდიდესი მტერი ყოფილხარი ჩემი, ვინა სთქვა  
ეს აზრი, რომ კაცს ცოლშვილზე უფრო დიდი მტერი არავინა ჰყავს. ამ  
სიტყვებს ბენიამინმა დიდი ხარხარი მოაყოლა. თქვენ შემაის სული  
გამოძრავებთ, წადით, მოშორდით თორემეხლავე იმასთან გაგზავნით  
ვისი სულიც თქვენში ჩამდგარა.



ბენიამინს ამის თქმაზე სახე ისე აელ ანდა, თვალთა უპეტრი მონაშე გაუფართოვდა, ხელები ისე აათამაშა ჰაერში რომ იოხაბედი, ნანა და სარა დარწმუნდენ ბენიამინის სიგიურეში.

— გადით! ეს სახლი ჩემია და არა თქვენი აღარ დაგინახოთ თვალით; მტრები ხართ, მტრები!.

ამ სიტყვებს მოჰკვდა ისეთი გამოხედვა ბენიამინის, რომ სარა, იოხაბედი და ნანა კარებში გაჩდენ და წამსვე ოთახიდან გარეთ გავარდენ, ბენიამინმა კარები ურდულით ჩაკეტა.

სარა დედას აწყნარებდა.

იოხაბედი ერთი მხრით თითქო ნუგეშს აძლევდა თავის თავს. სარას მძლავრად გაადაჭდო ხელები და მოქვია, მაგრამ ბენიამინის სიგიური იმდენად შეარყია მისი გონება, რომ აივნისბოდს რაც ძალი და ღონე ჰქონდათ თავს ახლიდა.

იოხაბედი რაბინის გამოძახებას მოითხოვდა, რადგან იმას ეგონა რომ ებრაული ფიზმონებით შეიძლებოდა გიუს დაწყნარება და გონჩე მოყვანა.

სამივე-დედა სარამ და ნანა-ერთმანეთს გადახედავენ, რადგან ბენიამინი შემაის სახელს ახსენებდა, უკვირდათ საიდან მოაგონდა მკვდრის სახელი. ბენიამინს ამის თქმაზე სახე აელანდება, თვალთა კუპეები გაუფართოვდება, რომ წელში მოხრილი აგერ უნდა მივარდეს სარას, დედა წინ უფრისება, ნანა დედას მიწველება-სამივეს თმები შიშისაგან ყალყაზე დაადგებათ. დედა ჰქიმის, თმებს იწეწს და სახეს იკაწრავს, სამივე კედელზე დაკვრით. ბენიამინის თვალები თითქოს ჰიპნოზიდ შეპყრობილი კარებთან გაჩნდებიან.

— გადით ეს სახლი ჩემია და არა თქვენი.

წამსვე კარებთან მიახლოების შემდეგ ოთახიდან გარეთ გაჩნდებიან.

სარა დედას აწყნარებს, ეშინოდა ისიც არ გაგიუბულიყო. დედა დაუინებით რაბინის გამოძახებას ითხოვდა, რადგან იმას ეგონა, რომ ებრაული საგანგებო ლოცვებით შეიძლება გიუს დაწყნარება. ნანა სცდილობდა იმის დარწმუნებას, რომ რაბინის „ფიზმონები“ არაფერს უშველიდ მას და ექიმთან გაექანა თვითონ.

სარა იეუდასთნ გაიქცევა.

ბენიამინმა კარები ურდულით ჩაკეტა, სარკეში თავისი სილუეტები გამოჩნდა, მას შემაის ლანდი ეგონა. ის ხომ ყველაფერს განადგურებით ემუქებოდა სადაც მისი სული ბუდობდა, მაგრამ შემაის სახე სარკეში ცეცხლივით ლაპლაპებდა, მის უქან სარას სახე ილიმოდა თითქო დასკინდა ბენიამინს,

ყოველი კუთხიდან მოისმოდა ხმები და მოსჩანდა სილუეტები ლაბაკთა... ბენიამინი ყვიროდა „მეც შურს ვიძიებ თქვენზე! იეუდას სისხლს



დავლერი, მაშინ შენ გაგანადგურებ აყეფეჭულო სულო.“ ამას შემთხვევაში ბენიამინი და კუთხიდან კუთხეში დარბოლათ მის ყურებში ათასი ხმა გასწიოდა. უცბად შეჩერდა თითქო კარების კაუნი მოესმა. შემაის ლანდი კარებში აიმართა, ხელები გამზადებული ჰქონდა, რომ ყელში მივარღნოდა და დაქხრჩო. ბენიამინს მუხლები ჩაეკეცა. ხელები ჰაერში გაასავ სავა, სუნთქვა შეეკერა და ტანში მძლავრმა ურუანტელმა გაუჩბინა. ძალონე მოიკრიფა, წამოხტა და ერთი კუთხიდან მეორე კუთხეს ეცემოდა, მაგრამ შემაის აჩრდილი იქაც უახლოვდებოდა, დაგლეჯილ ჩოხაში ჩაცმული, მიჰქონდა დამჭვნარი თითები და ემიზნებოდა მის თვალებს შშვილდავით. კარებთან მივარდება—უნდოდა გაქცეულიყო და უკან მისძახოდა.

—შემაი, შენ გინდა შური იძიო? ნუ მოიწევ წინ, შორს აქედან!

აჩრდილი მაინც მიზდევდა. კარებიდან ურდულის გამოგლეჯა ვერ მოასწრო ბენიამინმა უკან გამოიქცა. ვერ გაბედა, რომ კარების ზღუდეში არ მივარუნოდა. ფანჯარა გადასტეხა და აიგანზე გადახტა. აჩრდილი უფრო აჩქარებით აედევნა. ბენიამინი გარბოდა, კიბეს ექებდა; შედგა მოაჯირზე გადასახტომათ, მაგრამ აქაც დაეწია ერთ წუთს ჰაერში გაჩერდა და შემდეგ სამუდამოთ უფსკრულმა შთანთქა.

\* \* \*

ლარებკომის საწარმოო თაობირი ის იყო გაეთავებინათ და ხალხი ჯდულ-ჯგლფათ კამათითა და ურიამულით გამოდიოდა.

ბაცა და გერშონი მოსახვევეში უცდიდენ შემთხვევას, იეუდა მოემწყვდიათ მარტო. ამ ლოდინში მოესმათ რაღაც ხმაური ბენიამინის ეზოდან გაექანენ იჭით საიდანაც ხმა მოესმათ... და ნახეს ბენიამინი მომაკედავი ბოდავდა. ამ ბოდავში გისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები გარდევით „იეუდა მკვლელი“ და მის ოჯახის დამტუკველი.

ბაცას ეგონა რომ ეს ამბავი მომხდარი იყო სარას იეუდას სიყვარულის ნიადაგზე. მორთო ბაცამ ყვირილი მაღალი ხმით, რომელმაც შეპჭრიბა ხალხი. ბაცა ყვირილით გაიქია, თითქო ექიმის მოსაყანათ. გერშონი ინსტიქტიურად მას აედევნა, მაგრამ ექიმთან გაიქცა, მაგრამ ექიმთან კი არა არამედ იეუდას დასაჭრიად.

სარა და იეუდა არაჩეულებრივი სისწრაფით მიღიოდენ. მათ დანახვაზე ბაცა დარწმუნდა თავის ეჭვებში რომ იეუდას სარას მოტაცების დროს შემოაკვდა ხელზე ბენიამინი, გადაელობა გზაზე და პირდაპირ იეუდას თვალების წინ აიმართა ბაცას ხელში მოლაპლაპე დანა. იეუდა განზე გადახტა და სარას წინ აეფარა. სარა წინ გადადგა გასაშეველებლად, დანა ასცდა იეუდას და მის მაგთერ მოხვდა სარას. გერშონი ბარბაცით უკან წავიდა სარას დავარდნაზე უნდოდა ახლა მას ეძია შური, რადგან

შისი სატრფოს უდანაშაულო სისხლი დაიქცა. იეჟდამ მოასწრო რეგისტრის მიზანით და მოღვაწეობის ამოღება ჯიბიღან, ბაცა დაიბნა იმდენად რომ დანის მეორედ მოღერება ვეღარ შესძლო. იეჟდამ პაერში რამდენჯერმე გაისროლა. ხმაურზე ხალხი იივნებზე თეთრად გამოეფინა. ბაცამ დააპირა გაქცევა. იეჟდას ხელში იარაღის დანახვაზე შიშმა შეიპყრო და ადგილზე გაშეშდა სარას კვნესით ილელვებულმა /გერშონმა ქვას წამოავლო ხელი და ბაცას თავში დაარტყა. ბაცა ძარს დაეცა. იეჟდა სარას წამოყენებას ცდილობდა. გაჩნდა ადგილზე ქალაჭის წესრიგის დამცველები. ბაცა და გერშონი შეიპყრეს ღარებჟომის პლენუმიღან დაბრუნებულ დელეგატების ეტლი შეაჩერებინის იმ ადგილას სადაც უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ხალხი ეტლს მისცვივდა. სარა მიიყვანეს და ჩასვეს ეტლში. იეჟდა თან ჩაუჯდა. თუ ერთმა მხარემ პწუხარება მოუტანა იეჟდას მეორემ—გახარება: იონამ ვანუცხადა თუ როგორ მიესალმენ მათ მუშაობას და აღიარეს ის როგორც დიდი ორგანიზატორი საქართველოს ებრაელთა შრომის რელსებზე გადაყვანაში.

# ნეფალი პიესიდან „ორი სამართ“

მოქადაგება პირველი

სურათი პირველი.

ალიონი. ნაქერალს ქედი ღრმა თოვლით დაფარული. ქარბუქი და თოვლის კორიანტები. გამოჩენდება ათი მგზავრი ონიდან მომავალი ხურჯინებით ზურგზე. ჩაცმა უბრალო: ძველი ჩოხა, ყაბალახი, ქალამნები-მგზავრების გამოჩენის რამდენიმე წამის შემდეგ გაისმის საშინელი ხმაური, გრგვნის მსგავსი. ჩამოწვება უზარმაზარი ზვავი და დაექანება უფსკრულში მზგავრები უეცრად უკან იხევენ და თავზარდაცემული ჩერდებიან, ჩამოივლიან სცენის ჭინა ნაპირზე თანდათანობით.

გამოხვლა პირველი

1, 2, 3 და 4 მგზავრები

1. მგზავრი: (თვალებზე ხელს იფარებს და სხეულით უკან გადიზნიება, ხურჯინს გადმოაგდებს ზურგიდან) ისმინე ისრიელო, რომ ჩვენი გამჩენი ერთია მხოლოდ.

2. მგზავრი: ასეთი ძლიერი ზეავის ჩამოწოლა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

3. მგზავრი: სახიფათო ადგილზე მოგვისწრო ძლიერ!

4. მგზავრი: გზა ჩაგვეკეტა... როგორ-ლა წავიდეთ.

1. მგზავრი: ეს ადგილი მაინც ყველაზე დაწყევლილია ამ გზაზე... თუ აქ მშვიდობით გადარჩი კაცი, მერე ალარაფერი გიჭირს.

2. მგზავრი: შეხედე... შეხედე რა ამბავია... თოვლი, მიწა, ქვა-ლოდი, სულ ერთმანეთში აირია.

3. მგზავრი: დასწყველოს ღმერთმა ეშმაკი... ადამიანს რომ ეს ბოროტი სული არ მოშორდება.

4. მგზავრი: უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევათ, ნათქვამია.

(შემოლიან მენახემი, ჯიხური და 4 დანარჩენი მგზავრი)

5. მგზავრი: ჰუ, დამაყინა ყურები... რა ძლიერი ქარი უბერავს...

6. მგზავრი: ისიც თოვლიანი... თვალებზე მოიფარეთ ყაბალახი... არ დაგვიყსოს.



**მენახები:** ადონაიმ იცის შეილებო, რასაც სჩადის... ალბათ შეიძლება სურს ჩვენი ჩასელა ქუთაისს, თუმცა მე ძლიერ მივისწრაფვი შეილების ნახვას... მაგრამ უკან დაბრუნების მეტი სხვა გზა აღარა გვაქვს.

7. მგზავრი: ამ საშინელ ქარბუქში ვერც უკან დაგბრუნდებით.

8. მგზავრი: ისევ სჯობია აქ ჩამოვჯდეთ, დავისვენოთ ეგებ გადა-იდაროს, ცოტა დავიცადოთ.

**მენახები:** თუ კი სხვა გამოსავალი არ არის რა ვქნათ! (ჩამოჯდება ხურჯინზე. სხვა დანარჩენებიც ჩამოჯდებიან).

**ჯიხური:** მთლიად ჩალექა თოვალმა მთა უფსკრულში, მაღლობა გამ-ჩენს რახან ადამიანის სული გადარჩა.

**მენახები:** ამ სამი წლის წინად ნიკოლოზის ჩამოგდების ამბავა-სწორედ ამ ადგილზე გავიგვ... გაზაფხულის პირი იყო, ცოტა დაშორებით ჩამოწევა ზეავი... ამაზე არა ნაკლები მე და ჩვენი ფილხაზა ვიყავით ერ-თად. ერთი ქრისტიანიც მოდიოდა. საცოდავმა ერთი დაყვირების მეტი ვერასფერი მოასწრო. მთანთქა მისი ხმა თოვლის უდაბნოშ რა სიხარუ-ლით მოდიოდა მერე. ოცდაათი ნაბიჯის დაშორებით მიცნო და დამიძახა „მენახემ... ნიკოლოზი ჩამოაგდეს. ეხლა ველარავინ დაგიშლის რუსეთში-ცხოვრებასო“.

**ჯიხური:** ჩვენ ყველა გალუთში ვართ ჩავარდნილი. აბა დაუკვირდი შე კაცო! ლუქმა პურისთვის საიდან სად მივდივართ... ესტოვებთ ცოლ-შვილს და ჩვენც გმიჩენის ამარა მოვდივართ ამ სელომყამორის გზაზედ-ხურჯინი და მოკუზული ჯოხი... პატარა საწვრიმიალო ფუთა ზურგზე გა-დაკიდებული ისიც ნავალევი, ნავაზშევი ფულით... ცოლშვილი ტიტებილი და ლუქმა მანატრებელი... შიში და განსაცდელი... გზა ჩვენ არა გვაქვს და ქვალი.

4. მგზავრი: ხელობა ჩვენ არ ვიცით, სწავლა ჩვენ არა გვაქვს-შვილებს ვერ ვასწავლით მუშა ხელი გვჭირია სახლში, შემდეგ გადარ-ჯულდებიან ტარეფას სკამენ, შაბათ დღეს სწერენ.

8. მგზავრი: დიახ... დიახ... ჩვენ ვართ ასე... თორემ აბა შეხედეთ დანიელს, რეუბნას, სიმონას... ისინი ცხოვრობენ... შეძლებულები არიან... შვილებსაც ასწავლიან... თქვენ კი, თქვენ, სწორედ თქვენ გვლუბავთ ჩვენ ახალგაზრდებს. რასაც გადმოგძებებს ხახამი თებიდან მაშინვე უჯერით. რა ენალვლებათ თუ თითო ფასუქში სამ და ოთხ ფუთ ჰურს აიღებს...

5. მგზავრი: არ ვარგა ასე ლაპარაკი... ეწყინება გამჩენს!

6. მგზავრი: რა თქმა უნდა, არ ვარგა... თქვენ, რომ არ ვარგა... მე წერა კითხებს ესწავლობდი... ბაბუქემი როცა დამინახავდა წიგნს-ხელში, გამომართმევდა და დახევდა. ხშირიდ ჭერზე ავიპარე-ბოდი და იქ ესწავლობდი. სახლში მაჯავრებდენ.—„აჩოკ-იჩოკ“. სამაგიე-



რომ ლოცვებისა და ხუმაშის განეპირებით თვალები მქონდა გაშროედებული  
ძული. ორი წლის წინად რუსეთში გიყავი ლოცვაში გავიცანი ერთი ახალ-  
ვაზრდა. მელაპარაკა, თუმცა მე ნახევარიც არ გამივია. ისინიც ხომ ებრა-  
ულები არიან, მაგრამ რა შედარებაა. ისე იციან ყველაფერი, როგორც  
გულობისანმა.

**შენახები:** ჩვენ რომ გაჭირვებულით ვცხოვრობთ, ამას ყველა ვხე-  
დავთ... ისიც იცით რომ ჩემი მამა მიხეილი შეძლებული კაცია... მე კი  
იმასთან შედარებით დარიბი.

შენ კი შვილო ახალგაზრდა ხარ და ბევრი გამოცდილება გაგივლია  
ჩვენ ჯერ ადამიანები ვართ, მერე ებრაულები, მაგრამ ჩვენი ადამანური  
ყველაფერი ებარელს უნდა დაუმორჩილოთ. არავინ არ გიშლით სწავლას  
მხოლოდ ნუ დაივიშუებთ გამჩენს და მის სამსახურს. ჩემი შვილიც სწავ-  
ლობს... მაგრამ მე მის საქციელში ცუდს ვერასფერს ვხედავ.

**8. მგზავრი:** მაშ რატომ შეაჩენა ლოცვაში საჯამაათოთ ამას წინათ  
ხახამმა ჩვენი ზებულუნი და იმისი შვილი. ზებულუნისთანა მორწმუნე და  
ღვთის მოშიში კაცი მთელს ონში არ იყო. მიაგრა შვილი. სკოლაში და  
საქეუყნოთ შეაჩენეს.

**ჯიხური:** ის თავის შვილს შაბათ დღე ასწავლიდა.

**გ. მგზავრი:** მერე შაბათი ხომ ჩვენთვის არის გაჩენალი, როგორც  
გვინდა ისე მოვიხმართ

(ქარი ოდნავ ჩადგება)

**ჯიხური:** და უნდა მოვიხმოთ ისე როგორც თორაში გვიშერია.

**შენახები:** უკვე შახრითის დროცაა, ვილოცოთ, გზას გაუდგეთ,  
აგებ სალამომდე დაებრუნდეთ სახლში.

**8. მგზავრი:** ასეთ ამინდში ლოცვა... ჯიხურ სწორედ აქ ახლა  
უნდა ვილოცოთ გამჩენს მაღლობა უნდა შევწიროთ რომ გადავისარჩინა  
• • • (ყველანი ამოილებენ ხურჯინიდან თევზილინს, მიიდებენ შუბლზე  
და მქლავზე, ჩურჩულობენ ლოცვას გარდა მერვე მგზავრისა) (პატა).  
ათავებენ ლოცვას, მერვე მგზავრი ამ ხნის განმავლობაში ადის ზევით და  
იცეირება)

**8. მგზავრი:** ილოცეთ... თუ კი გაიგონა ღმერთმა თქვენი  
ვკდრება... ორიათასი წელიწადი ვევედრებით მას და... მაინც... ისევე  
ვცხოვრობთ, როგორც წინად, გაჭირვებასა და სილატაკეში. საჭირო არის  
ჩვენ თვითონვე...

**ჯიხური:** რა დაგემართა კაცო... რამ გადაგრია ამ დაქცევის დროს.  
გააჩიტე ენა!

**შენახები:** ქარბუქმა უკვე საქმაოდ იქლო, ვახსენოთ ღმერთი და გზას  
გაუდგეთ. აქ მეტი გაჩერება არ შეიძლება.

**ჯიხური:** ამხელა გზამ და ამდენმა შრომამ ამაռდ ჩაგვიარა. სახლში მანც მშვიდობით ჩავიდოდეთ.

**5. მგზავრი:** რა გეშინია შე კაცო, ამისთანა ამინდში გარეთ მოძრავი ძალს არ გამოაგდებენ... თორემ რომელი თავზე ხელ აღმტული ყაჩალი გაბედავდა აქეთ წამოსვლას.

**ჯიხური:** მეც ეგ მაფიქრებს, მაგრამ ასეთი ამინდი ხელსაყრელია მათთვის. ერთი თვე არ იქნება ამ გზაზე შათუნიას რომ დახვდენ და გაიტაცეს.

**8 .მგზავრი:** მერე...

**ჯიხური:** მერა შემოეთვალათ ამდენ ოქროს თუ გამოგვიგზავნით — გამოუშვებთ თუ არა და გაგაქრობთ... საცოლავმა ცოლშვილმა ფული ვერ მოახერხეს და ეხლა მისი საქმე ლმერთმა იცის...

**მენახემი:** აბა წავიდეთ... ცარიელები მანც დაებრუნდეთ... აღარც შამოსაყალი გზაა... სულ ჩაულექამს... (მიღიან. წინ მენახემი მიღის ზევით ასვლის დროს მენახემს უეხი დაუსხლტება და დაეცემა, ყრუდ კვნესის).

**მენახემი:** კინალამ ცოცხალი დავიმარხე...

(მგზავრები მიეხევევიან ასაყენებლად, მენახემი გაფითრებული რაღაცას ხელს უფათურებს თოვლში).

**მენახემი:** ბიჭებო აქ რაღაცა საეჭვოა... სულიერი უხდა იყოს თოვლში ჩაფლული (მარჯვენა ხელში ამოყვება მოჭრილი ხელი) ეჭვი კი არა... (ზეზე წამოიწევს და განზე გადადგება) მგზავრია მოკლული... ადამიანის... (ხელს ცახცახით გადააგდებს), წავიდეთ, გავი-ქცეთ ამ ჯოჯოხეთურ ადგილიან... წავიდეთ...

**8. მგზავრი:** ვნახოთ ვინ არის აქ დამარხული.

**უველანი:** ვნახოთ...

**მენახემი:** დაანებეთ თავი... დაანებეთ (მიღის მუხლების ცახცახით ხელ-ხელა. მგზავრები გადააჩიქნიან ჯოხებით თოვლს და ყველანი სასო-ჭარკვეთილებით დაიყვირებენ).

**უველანი:** (შიშის და გაოცების განცდით) შათუნია...

**მენახემი:** (მოიხედავს და თრთოლებით ერთ ნაბიჯს უკან გად-მოსდგავს)

შათუნია...

**ჯიხური:** საწყალი, რამდენი უწყველებიათ...

**მენახემი:** შათუნია... ჩემი ბაგშების მეგობარი... საწყალი შათუნია... მდიდარ მგზავრს, რომ მიჰყვებოდა ორიოდე გროშისათვის... საბრალო მაგის წერილი ცოლშვილი...

**8. მგზავრი:** ასე ნუ დავტვოვები... დავმარხოთ...

**მენახემი:** დავმარხოთ . . . : პატიოსნად მაინც დავმარხოთ ჭაველა (ზურაბ არანიან თოვლს)

**შენახემი:** კადიში უთხრათ და წავიდეთ, მინიანი ვიქნებით.  
«(ეუბნებიან კადიშს ჩურჩულით. დანარჩენები შესვენებით იძახიან:—ამინ).»

### გამოკვლა მეორე

(უეცრად ალყას შემოარტყმენ თოფებ გაშვერილი... ყაჩალები შეგზავრები დაიბნევიან და აღილებზე გაქვავდებიან)

1. ყაჩალი: ხელები ზევით!..

2. ყაჩალი: ხმა... ქრინტი!..

3. ყაჩალი: დაჰყარეთ იარალი!..

4. ყაჩალი: თორემ სინათლეს დააბნელებთ!

(ყაჩალები ნელნელა უახლოვდებიან; მგზავრები ხურჯინებს დაჰყრიან და ხელებს ზევით სწევენ)

**შენახემი:** წინ წამოიწევს და დაიჩიქებს—ჩვენ იძრალი არა გვაქვს... ჩვენ უბრალო მგზავრები ვართ გაჭირვებულნი; ღატანი, დაგვანებეთ თავი, გაგვიშვით ცოკხლები.

1. მგზავრი: ჩვენ თქვენი თავი არა გვჭირია... დაყარეთ ფული და თარალი...  
ჯიხური: ნუ ამოგვხდით პირში სულს... ნუ აატირებთ ჩვენს ცოლ-შეილს... ნუ ააშიოკებთ ჩვენს ოჯახებს...  
2. ყაჩალი: ნაძირალა... როგორ იქატუნებს თავს (ჯიხურს კონდახს დაკრავს)

ჯიხური: რათა მცემთ... თქვენც ხომ ამ მთების შეილები ხართ... ამ მხარეში გიცხოვრიათ... ჩვენ არასფერი დაგვიშავებია თქვენთვის...

3. ყაჩალი: ღატანი... გაჭირვებულნი... თქვენს მეტი ვინ მარხავს მთის წვერებზე ფულს... კარგი სალაროა... უშიშარი და მიუგნებელი... (თოვლს გადაჩიჩენის) ახ... ეს რა არის... კაცი გაძარცვეთ და მოჰკალით...

4. ყაჩალი: ეს ჩვენი... მოუკლავთ... აქ ვნახეთ... დავმარხეთ...

1. ყაჩალი: განა არ ვიცით, რომ ებრაელები კაცს ვერ მოქლავთ... დაყრეთ ფული, თორემ თქვენც ეს დღე მოგველით.

2. მგზავრი: შეიბრალეთ ეს მოხუცები...

4. ყაჩალი: შევიბრალოთ... ჩვენც მგლებივით დაგვდევენ ჩვენ გვინ-და არსებობა და ფული... ფული...

(ჩხრეკენ ყველას და ართმევენ ფულს მენახემს ბევრი ფული აღმოა-ჩნდება)



**1. ყაჩალი:** თქვენ წალით... ვაი თქვენ დღეს თუ ქრინტი ფინანსთა მინისტრი რაც, დაგეცემით ონში და მთელ გბრაელობას გადაგწვავთ... შენ კი მოხუცო, ჩვენთან წამოხვალ, მოლარე გვჭირია (მგზავრები გაფიტრებულნი წასვლას ეპირებიან)

**შენახები:** გამიშვით მეც ღმერთის გულისათვის, მე შეილებთან მივ-დიოდი.... მაგრამ გზაზე ზეავი ჩამოვვიშვა... ეხლა, ეხლა ტელეგრამა მა-მივიდა, ავათ არიან, მარჩენალი ძროხა გავყიდე... ეგ უული ღმერთმა მოგახმაროთ...

**1. ყაჩალი:** ტელეგრამა... ეგ ჩვენ გამოგიგზავნეთ... შენი ძმა მიხეი-ლი შეძლებული კაცია.... გამოგისყიდის....

**შენახები:** ღვთის გულისათვის.

**მგზავრები:** შეიბრაალეთ...

**1. ყაჩალი:** აბა დაიფანტე! (დანარჩენი 4 ყაჩალი ფანტავენ მგზავ-რებს... გარბიან)

**1. ყაჩალი:** ასე მოხუცო... წავიდეთ გზაზე ვილაპარაკოთ (გაჰყავთ მენახემი და მიღიან) (პაუზა)

### გამოსხლა მესამე

მგზავრები ფრთხილად შემოდიან.... გასცემიან გზას, საითაც მე-ნახემი მიჰყავთ)

**ჯიხურ:** წაიყვანეს იმ ურჯულოებმა...

**2. მგზავრი:** ადონაი, შენ დაიფარე ყოველი ისრაელის შეილი!

**8 მგზავრი:** ადონაით... ადონაით... მაგრამ მე წავალ და ვნახავ სად წაიყვანებენ.

(მისკვება მათ გზას ფრთხილი ნაშიჯით)

**3. მგზავრი:** ჩვენ კრ... სახლში დროზე შევატყობინოთ... (გადიან)

### მეორე სურათი.

ონი, მენახემის სახლი.

(ლარიბულად მოწყობილი ოთახი. კედელზე მოსეს და იარონის სუ-რათი. ერთი ტახტი, შუაში პატარა მაგიდა, ზანდუკი. კამოდი: შუა კარი, გვერდის კარი).

მაგიდას უსხედან: ხახამი გაბრიელი და მიხეილი. სარა დადის ოთახში, წმენდს და ალაგებს ჭველოდ.

## გამოსელი პირველი

მიხეილ, ხახამ გაბრიელი, სარა.

**ხახამ გაბრიელი:** დიახ... ასე როგორც მოგახსენეთ... ასე აჯობებს ბავშების სურვილს ვერ ავყვებით... მაგათ რა იციან, ცხოვრების რა გაეგებათ. ასე უცხოვრია ჩვენ მამა პაპას გალუთში და ჩვენც ლვთის ნება უნდა შევასრულოდ. გამჩენის მეტი ჩვენ სხვა მფარველი არავინ არა გვყავს. უნდა მოვითმინოთ.

**მიხეილ:** გართალსა ბრძანებს რაბ, ასე უნდა მოვიქცეთ, სხვა გზა არ არის. ადამიანის სულს ვერ დავლუპავთ. უნდა გაყიდო ყველაფერი... იშვიონო ფული და წაულო.

**სარა:** უწინ გაუბედურებული ცოლი მოუკვდეს შენახემს.

**ხახამ გაბრიელი:** მდიდრები ვერაფერს მოგვცემენ. იმათაც ავი დღი ადგიათ. ფულს ვერ გასესხებენ. მენახემიც ხომ იწერება, ცოცხალი აღამიანი არ დამღუპოთო. სამოსახლოს, ყანას და ვენახს ასი ოქროთ გაყიდი. თუ რამე გადაგრჩება გამჩენს მაღლობა უთხარი... ამას მე ავიღებ ჩემ თავზე... მე თითონ გავყიდი... მოგცემ ფულს. წახვალ ტყიბულში და დანიშნულ ადგილას მოვლენ ყაჩაღები. ჩააბარებ ფულს და კაცს გამოუშვებენ. მხოლოდ მეირს არაფერი არ გააგებინოთ. იმ ბიჭს აყოლია და საქმეს გააფუჭებენ.

**მიხეილ:** მე და ჩემმა ღმერთმა არა მაქ საშუალება, ყველა შეძლებულს მიძახის და ჯიბეში მანეთი ირ მიჰყავა... თვარა ჩემი ძმისთვის რავა დავიშურებდი... გასესხებული მაქ... ვერ მოვკრეფ ვალებს... ისევმ სჯობია, სარა, თუ რაბის მიყიდი...

**სარა:** კი მარა, რაღა პირით შევხედო მე კაცს რაღათი ვიცხოვროთ, შიმშილი დაგვხოცავს...

**მიხეილ:** მაშინ კაცს მოქლავენ და ის არი...

**რაბი:** ჩემთვისაც ვიყიდიდი თუ ყიდვა იქნებოდა....

**სარა:** მეირსაც შევეკითხები... მირჩევს რამეს...

**მიხეილი:** მეირი... მაგას ფეხებზე კიდია ყველაფერი....

**სარა:** რას, ამბობ იმას მოუკვდეს დედა, რაც რომ ჩამოვიდა მას უკან გამოცვლილია, სულ საგონებელშია ჩავარდნილი. კიდევ ღმერთმა უშველა ეს დურუ აქცევინებს თავს.

**რაბი:** ეგეც მეირთან ჩამოვიდა?

**სარა:** არა, ეგ თავის სოფელში წასასელელად ჩამოვიდა.

**მიხეილ:** მაშ ასე სარ, გაუთავე საქმე...

**სარა:** მეირსაც ვკითხავ... (ჯდება)

**მიხაილ:** მე არ მომწონს მეირის აზრება. ბავშობაში უფრო ჰქონის მიზანი და გონიერი სჩანდა. ახლა არ ვიცი რა დაემართა. მას უკან რაც უნივერსიტეტში შევიდა და ცოლი ითხოვა სულ გამოიცვალა. ისრაელებმა ვაჭრობას თავი უნდა დაანებოსო... ღმერთი ალარ იწამოსო... რავა შეიძლება ამისთანა ლაპარაკი.

**ხახამ გაბრიელი:** ჩეც მქონდა მასთან შუსაიუი. აწუხებს ისრაელთა მძიმე მდგომარეობა... მაგრამ რა უნდა, რა წამალი უნდა მისცეს ამ ავადმყოფ ხალხს ვერ გაუგია, ცუდ გზას ურჩევს ისრაელს... (მეორე ოთახიდან მოისმის დუტუს და მეირის კამათი).

**მეირის ხმა:** დიახ... ბერნეც ამბობდა ერთ დროს...

## საუგარი რნელ ეგრძელთან

— რას მოგვითხრობ მოხუცო შენი წარსულიდან?

— კარგს ვერასფერს—ოდნავ გასაგები ხმით წაილაპარაკა სახარაზო ცეხიდან ზარის ხმაურზე გამოსულმა ლევიძ.

შუბლი დაუნაოჭდა, რაღაც მწუხარების დაღი დააჩნდა სახეზე.

თვალ წინ გაჭელვა წარსულმა და ერთ წამს დედამიწას ბინდი გადაეკრა.

მოგონებამ გადაისროლა წარსული წლების სივრცეში: საშინელი და გულშემზარავი სანახაობა გაიშალა მის წინ:

ამოიხრა და გადახედა მზიან ქუჩებს.

— რა გიამბოთ, დაწყობილი ლაპარაკი არ მეხერხება, მე შემიძლია ფიქრი და გულში ჩათხრობა.

— როგორც შეგიძლიათ: გინდ შეკითხვებს მოგცემთ?

— ეს უფრო იოლი იქნება, ულვაშებზე გადაისვა ხელი და ირიბული მზერით გადახედა რაჭის მთის ფერდობებს მწვანე ტყით მოსილს.

— მომისმინეთ, თქვენ წინად რით ცხოვრობდით?

ჩვეულებრივი ხელებით, დავეხეტებოდი ახლო მახლო სოფლებში, შაბათობით თუ მელირსებოდა ცოლშვილში ყოფნა, დანარჩენი დღეები სულ გზებში მიღამდებოდა. არ ვიცოდი სად გამითენდებოდა სად ბინდი დაჰკრავდა. ცის ქვეშ მიხდებოდა ბევრჯერ ლამების გათევა, შიშით და ციხცაბით.

მოსვენებას არ მაძლევდა წვიმა, ქარბუქი და სეტყვა.

დაწყევლილი ჩვეულება...

— განაგრძეთ, თქვენ კარგათ ლაპარაკობთ.

— წინაპრებმა ასეთი ანდერძი დაგვიტოვეს, ჩემი მამაპაპა ამ მთებში დახოცილა.

— 1900 წელს ძალიან გამიჭირდა ცხოვრება, ჩემი მოგება პროცენტებსაც ვერ ისტუმრებდა. ერთი მოსწრებული ვაჟი მყავდა, გამოვიყვნე ხელერიდან და დავაწყებინე ჩემთან ხეტიალი, ორი წვრიმალის კალათა შეონდა, ერთი ჩემ შვილს დაჰქონდა, მეორე მე. ტვირთზურგით ვატარებდით ამ აღმართებზე.

— რა ძნელია მოგონება?

შეხედეთ იმ კედელს, მანდ ხომ ასელა, გაუჭირდება ასვლა, მით უმეტეს ბავშვს, რომელსაც კუნთები ჯერ არც გამაგრებია.

დასძლია ტვირთის სიმძიმემ, ფეხი აუცდა და ხევში გადავარდა.

რამდენი უბედურება დამტყდომია თავს.

მოსუცს ფიქრები წარსულზე კოშმარულ ლანდებს უშლილა და მია-ქანებდა შორს.

— ღარებკომში შესელამდე რას აეტებდით?

— შვილის დალუპვის შემდეგ სასოწარკვეთილებაში ჩავარდი.

ხაოსში იყო იგი.

— უსაქმური კაცი დამარქეს, როდესაც სოფელში სიარულს მივანებე თავი, შევიქენ დაბნეული ადამიანი, მეც არ ვიცოდი რა მინდოდა, ოლონ-დაც იმას კი ვერძნობდი, რომ ასეთი ცხოვრება პირუტყვს მამზავსებდა. რა უშლილა ამ ადამიანის, რომ ნამდვილ ცხოვრების გზას დადგომოდენ. ამ ამოცანის გადაჭრა მარტო გამიძელდა, ვიდრე არ დამეხმარენ.

— 1903 წელს ჩავები რევოლუციონურ მუშაობაში, რევოლუციონერთა წრეში შევისწავლე წერა-კითხეა, მაძლევდენ წიგნებს და მარკვე-ვდენ ყოველგვარ საკითხებში.

სახეზე მოსუცს წითელმა ფერმა გადაჭრა, ჩოხის ჯიბიდან ამოილო ჩიბუხი და ასანთი, ცხვირის ნესტოებიდან ხარბათ გამოუშვა თამბაქოს ბოლი და ისევ განაგრძო.

— 1905 წელს ამ მოედანზე, გაბედულად მეჭირა წითელი დროშა, მეც ვზეომობდი ყველა მშრომელებთან ერთად დიად დღეს, თუმცა გან-დევნილი შევიქენ მორწმუნე ისრაელობიდან.

— რაბინმა აუკრძალა ყველა ისრაელს, ჩემთან ლაპარაკი. ოთხი ადლის დაშორებით გვერდს მივლიდენ. ბევრჯერ აივნებიდან წყევლა კრულვას მომასმენდენ. წუმპე წყალს გაღმომასხამდენ, სალამის მოცემაც შემიწყვიტეს, მოკეთები გამირბოდენ, ცოლშვილმაც შემიჯავრა. დავრჩი ბარტოდ, არავინ ფიქრობდა ჩემზე, გარდა ორი სამი ებრაელისა და ჩვე-ნი ბიუროს წევრებისა.

— რაზედ აგიძულეს?

— მე თორის წესები დავარლვიე, უარვყავ შაბათი და უქმები, სალო-ცავში აღარ დავიარებოდი და წვერსაც ვიპარსავდი. ამაზედ განრისხდა რაბინი, დამიწყო სასტიკი ბრძოლა, პრისტავი და ჯალათები ჩემს წინა-ომდეგ საბრძოლველად აამხედრა.

სიტყვით მალე გამოითქმის ყოველივე მწუხარება, მაგრამ რა ძნე-ლია მისი გადატანა ძეგობარო. ასობით და ათასობით ადამიანები ზიზ-დის თვალით მიყურებდენ, ქუჩაში დანახვაზე გამირბოდენ, ყველა ამას

ბრიყვიც ვერ გადაიტანს, ხოლო ვისაც გრძნობა აქვს ხომ სასტრუქტურაში.  
ჯება, მით უფრო რთულდება ტკივილების იარები და ლრმავდება მწუხა-  
რება.

ამ ჭლებში შვილები ხომ წამოგეხარღა?

—ღიახ, მომატებული ხმით წამოიძახა ლევიშ და ხელით მოიწმინდა  
შუბლის ნაოჭებში ჩამდგარი ოფლი.

—რა საქმეზე დააყენე შვილები?

—ღავრყელე ის მაწანტალობა და შეილებსაც ავაშორე იგი, მოზრ-  
დილი ბაგში რომელიც იქმიბაში სწავლობდა სასწავლებელში მივიყვანე.

—ამან მეტად აამზედრა რაბინი სალოცავში შეჩერებით შეაშინა  
ცოლშვილი, სწავლაზე დაწაუებული ბავში ჟედის ქვითინმა აიძულა მიე-  
ტოვებინა სკოლა.

—რამდენი მსხვერპლი შეუწირია....

—რევოლუციის შემდეგ რას აკეთებდი?

—რევოლუციის შემდეგ გამეფდა შიში, უმდედობამ მოიცვა ყველა,  
გაისმა შემხარევი ხმები, რაჭის მთებში აღმუილდა ზარბაზნები, გაშოჩიდე  
ჯალათები. რომლებსაც მოუძღვნდა გენერალი ალიხანოვი.

დაშარცხდა რევოლუცია.

დაუდგა ზეიმის დღენი რაბინებს, თავადებს და მდიდრებს.

მაგრამ ყველა ჩვენგანი მტკიცდ დარწმუნებული იყო, რომ რევო-  
ლუცია ჩაქრა დროებით; მალე გამხნევლებოდა სამარადისოთ აინთებოდა  
და არას დროს არ ჩაქრებოდა.

გაეხვია ონი ცეცხლის ალში.

რაბინმა შეკრიბა საჩქაროდ ებრაელობა სალოცავში, მოამზადე  
ძლვენი, წინ გაუძლვა უგნურ ხალხს და რიონის ახლოს გააჩერა.

გენერალ ალიხანოვის წინაშე დააჩოქა რაბინმა ებრაელები, წამ-  
ოსასხამებით და ხელში რელიგიური წიგნებით.

რაბინი კი წინ გადადგა გენერალთან.

—მოწყალეო ხელმწიფებ გთხოვთ შებრალვბას, ძლვენი მიაგებეს.  
ძლვენი იყო ღვინო და პური და მათ—შორის ადამიანები.

ჩაიწერა ალიხანოვის სისხლიან დავთარში, ჩვენი სახელი.

ცეცხლმა გადასწვა რევოლუციონრების სახლ-კარი, ჩვენ კი გადა-  
ვიხედვთ: თვალები ააყოლა მწვანე ფოთლებით დაფარულ ტყეს, რომე-  
ლიც სადარაჯოზე მდგომ მცველივით, გაღმოცემეროდა მის ფერდობის  
ძირში გაშენებულ ქალაქს. მანდ შევიხიზნეთ, რამდენი ტანჯვა განვიტა-  
დეთ: შიმშილი, სიცივე, და სიშიშვლე.

ბევრი დაავადდა ტყეში, ველარ გაუძლეს სუსხიან დარს და დაე-  
ვენ ძირს.

რაბინისაგან შონანიება იკისრეს; ისინი შიცყვანეს ტრაქეზზე, შემოჟ-  
ვლეს წრე და ხალხის წინაშე აძახებინეს „დამნაშავე ვართ“. ისრაელის  
სარწმუნეობა წმინდაა.

სულის გამოსასყიდათ გამჭიდეს რაც ებადათ, ფიცრული შენობა,  
ავეჯი და ლოგინი, და ამ ცრემლით დასველებულ ფულებით მართავდენ  
სალამოებს; მღეროდენ, თამაშობდენ რიერიეამდე; რაბინი ხახმები, პრი-  
სტავი და მდიდარნი.

და კიდევ რამდენი ითქმის მეგობარო...

— მითხარით რაბინის გვარი?

— ეჭვი ნუ შეგეპარებათ ჩემს ნათქვამში, იგი კეშმარიტია გვარს  
კი ვერ გეტყვით...

— დევ, თვითონ იგრძნოს თავისი უმსგავსო მოქმედებანი, რასაც  
ავაზაკი არ იქმნდა.

\* \* \*

ხანგრძლივი არ იყო მათი დღეობი, რევოლუციის ლამპარი აინთო  
და უფსკრულმა შთანთქა ისინი.

დაინგრა ძველი ქვეყანა და თან ჩაიყოლა ლარიბ და მშრომელი  
ხალხის მყვლეფელნი.

ებრაელშაც გაიმაგრა სუსტი კუნთები, ჩაება რევოლუციონურ გარ-  
დაქმნის ორომტრიალში, რელიგიით გამსჭვალული გონება გაუნთავისუფ-  
ლდა.

ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკის საფუძველზე ეძლევა ჩამორჩე-  
ნილ მცირე ეროვნებებს ფართე ასპარეზი, რომ გაშალოს მუშაობა და  
აღმოფხვრას ჩამორჩენილობა.

დავაარსეთ ლარებკომი: 1929—1930 წლები ნელი გადასატანი იყო.  
რელიგიით შეზღუდული გაურბოდენ შრომასა და კულტურას. მაშინ  
ათიოდე ებრაელი ფუსტუსობდა ჩვენს საწარმოში.

დღეს კი ისმის დაზგების პიმინი, ასობით ქალი და კაცი ჩაბმულია  
ჩვენს საწარმოებში. მიღიან წლები და ვხედებით ძლევამოსილნი, ჩვენც  
ვაჩქარებთ ყველა სოციალისტურ ქვეყნის მშრომელებთან ერთად შრომის  
ტემპებს.

დღეს ჩვენ შვიდი საწარმო გვაშვის, ჩვენი ნაწარმი ასიათას მანეთად  
და მიღიონად ფასდება.

ვის არ ახსოვს ქუჩებში მოწანწალე კალათით ხელში ებრაელე-  
ბრ. ს ბავშები, მას ყველა იცნობს...

დღეს წიგნით და რვეულით უცდის გარიერაუს და გარბის სკოლი-  
საკენ.

შეოთი დედები აღარ თრთან რელიგიის დაუნდობელი ჭიშიუ, და მან ლინით უმზადებს თბილ საუზმეს და აღვიძებს შვილს სკოლისათვის.

კარჩაკეტილი აღარ ფუსფუსებს თოხ კედელ შორის, დღეს მანქანაზე ძაფს რთავს და ჰყერავს ახალ ტანსაცმელს, ის მღერის ახალი ჰიმნებს.

მან შესცვალა სალოცავი ბიბლიოთეკაზე და სამკითხველოზე.

დავანგრიეთ სალოცავის ხაესმოკიდებული კედლები და ავაგეთ კულტურის კერა—ავაშენეთ კლუბი. დღეს ებრაელი ლაპარაკობს სხვა ენით, მის დაბნელებულ უბანს მოვალინა შრომის ენტუზიასტი, დამკვრელი, სპეციალისტი: ექიმი, ინჟინერი, პედაგოგი და ყველა ეს მოგვანიჭა საბჭოთა ქვეყანაშ. და ჩვენც შეგვიძლია ავლნიშნოთ ლარებკომის 5 წლის იუბილეის ოვზე ჩვენი მიხტევები და ვასმინოთ ყველა მშრომელს, რომ ლენინურ პარტიის ხელმძღვანელობით, დაუღალავი ენერგიით, შევასრულებთ მეორე ხუთწლედის გეგმას, ავწევთ წითელ დროშას, აკა შენებთ სოციალისტურ ქვეყანას.

---

## ბ ლ ლ ო თ ხ ა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოს ებრაელთა ცხოვრების სინამდვილეში იქმნება ახალი ეპოქა, როისთვის მწვავე ბრძოლას უცხადებს ძეველი სოციალური ყოფის ნაშთებს: რელიგიას, ფანატიზმს, ებრაელთა ცხოვრების კარჩაკეტილობას და სხვ...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაშემდე არსებულ ხელისუფლებათა პოლიტიკა, რომელიც ეროვნულ ჩაგვრასა და ეროვნულ უმცირესებათა უფლებრივ შევიწროებაში გამოიხატებოდა, ყოველგვარ საშუალებას უსპობდა საქართველოს ებრაელებს სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ შემოქმედებით განვითარებისათვის.

სრული სოციალური ინდიფირენტიზმი, არსებულ მდგომარეობასთან შერიგება, უკულტურობა, სიღატაკე—დამახასიათებელია საქართველოს ებრაელთა წარსული ცხოვრებისა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოს ებრაელობას ოთვების არავითარი თრიგინალური შემოქმედება, როგორც ლიტერატურული ისე ხალხური, არ მოქმედებოდა. მის სულიერ საზრდოს შეადგენდა მხოლოდ ის, რაც წინაპრებისაგან მეტყვიდრეობით გადმოეცა, რომელსაც სოციალური თავისი ხსნის ერთად-ერთ საშუალებად.

მის ეკონომიკურ წყაროს შეადგენდა ვაჭრობა, ხოლო მის იდეალი— მესიის მოსვლა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ებრაელობა მოქლებული იყო საზოგადოებრივობის (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) ნიშანდობლივ თვისებებს.

თუმცა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ადგილი ჰქონდა საქართველოს ებრაელთა მდგომარეობის გამოძახილს, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელო, ყოველგვარ კონკრეტულობას და პრაქტიკულობას მოკლებული იყო რომ მას არავითარი შედეგი არ მოუტანია და არც შეეძლო მოეტანა. ის წარმოადგენდა უფრო „ზოგად ებრაული“ პრობლემებით, მესიიანიზმით და ბიბლიური ლეგენდებით გატაცებას.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დენინურ ნაციონალურ პოლიტიკის საფუძველზე შესაძლებელი



გახდა ამ საზოგადოებრივობის, როგორც ეკონომიურ, უფლებარდევნულებრივი კულტურულ მდგრადი მომარტების გაუმჯობესება და ლიტერატუროსტატურულ მისი ყოფა-ცხოვრებითი საკითხები სერიოზული ყურადღების გახდა საგნად. საქართველოს ეპრაელთა ოქმატიკა ლიტერატურაში ახალი მოვლენაა და მისი მხატვრულ ფორმებში ასახვა მეტად სერიოზულ მუშაობას საჭიროებს.

ამ მხრივ ეს ჩვენი „ლიტერატურული აღმანახი“ პირველ კოლექტიურ ნაბიჯს წარმოადგენს საქართველოს ეპრაელთა საყოფაცხოვრებო საკითხების მხატვრულ ლიტერატურულად ასახვაში.

რასაკვირველია, ჩვენი „ლიტერატურული აღმანახი“ დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებისაგან, ამას ჩვენც კარგად ვვრძნობთ. მაგრამ მხედველობაში თუ მცვილებთ იმ გარემოებას, რომ ამ აღმანახში გამოცემულ ნაწარმოებთა ავტორები ახალგაზრდა დამწყები მწერლები არიან, რომელნიც შემოიკრიბა თავის გარშემო საქართველოს ლარებკომთან არსებულ კულტურაზამ თავის არსებობის 10 თვის განმავლობაში, შეცდომები და ნაკლი შესაწყნარებელი იქნება ავტორებისათვის.

ამავე დროს აღმანახის ნაკლი იმითაც აისხნება, რომ ლარებკომის 5 წლის იუბილესთან დაკავშირებით საჭირო გახდა მისი საჩეკაროდ გამოცემა, რაც შესრულებული იქნა 4 დღის განმავლობაში (მასალების შეგროვება და მისი გამოცემა).

მაგრამ ჩვენ მაინც იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს კრებული თავის დანიშნულებას პირნათლად შეასრულებს, მიიპყრობს კულტურულ საზოგადოების ყურადღებას, სამსახურს გაუწევს საქართველოს მშრომელ ებრაელთ სოციალურ გარდაქმნისათვის ბრძოლის საქმეში და ჩვენს ახალგაზრდა დამწყებ მწერლებს მისცემს იმპულსს, მეტ ენტუზიაზმს თვისი შემოქმედებითი უნარიანობის გაშლაში.

**სარედაქტო კოლეგია.**

## ებრაული ციტაციების და გამოთხვების ახსენა

- ადონაი—უფალი,** ღმერთი.
- ბათ-კოლ—ღვთის ხმა,** ღასტური.
- გაბაი—რელიგიური** საზოგადოების და სალოცავის უფროსი, ხალხის მიერ არჩეული.
- თალმუდ-თორა—ებრაული** რელიგიური სასწავლებელი.
- თეფილინი—სალოცავი** ნივთი. შუბლზე და მქლავზე იქეთებენ ლოცვის ღრუს.
- თეჭილიხი—დავითის** ფსალმუნი.
- თება—იმალებული** ადგილი სინაგოგის შუაგულ მის, ხახმისათვის სალოცავად.
- თორის დინი—ებრაული** მოძღვრების კანონი.
- მინანი—10 კაცით** შესრულებული ლოცვა.
- შაზალი—ბედი.**
- მოყედი—მხიარული** დღესასწაული.
- იეჟ შამონი, იეჟ ქაბოდ—თუ ქონებაა, პატივისცემაც არის.**
- როშპოდეშ—თვის თავი.**
- როშპაშანა—წლის თავი—რელიგიური** დღესასწაული.
- სიმან ბერახა—კურთხეული ნიშანი.**
- ქიფურ—რელიგიური** დღესასწაული.
- ყარბითი—ღამის ლოცვა.**
- შახრითი—დილის ლოცვა.**
- გალუთი—ღიასპორა,** ტყვეობა.
- ფასუკი—ნაწყვეტი,** ყოველ შაბათს კითხულობენ ებრაელები ბიბლიიდან და იყიდება სალაცავთან.
- ხასი—წმიდა,** მართალი, ქეშმარიტი.
- ხუჭოთი—ებრაული** რელიგიური დღესასწაულია (ქოხობა).
- მიკვე—რელიგიური** თვალისაზრისით აგებული აბანო.
- სიდურ—ებრაული** სალოცავი წიგნი.
- შამაშ—სალოცავის** მსახური დარაჯი.
- თორა—მოსეს ხუთი წიგნი;** ებრაული რელიგიური მოძღვრება.
- ხედერი—იგივე** რაც თალმუდ-თორა.
- იეჟიბა—სასწავლებელი** სადაც ამზადებენ ხამებს და რაბინებს.
- რიბონ შაყოლამიზ—მოფლიოს** მმართველი, ღმერთი.
- კაღიშ—მიცვალებულის** მოხსენიება სალოცავში რიტუალით.

## ლიტერატურული პროცესი

— ითარგმნა ებრაულიდან „პალიბუკ“ — მისტერია ოთხ მოქმედებათ ან-სკისა. თარგმანი მოშე დანიელოვის.

— მოტკე მამისთვალოვის მიერ დაწერილია ორი ნოველა „პატარა იერუშალამი“ და „მკვლელი აჩრდილი“. დაიბეჭდება და გამოვა ამ მოქლე ხანში.

— მიღებულია კულტბაზის ხელმძღვანელ ორგანოში არონ კრიხელის პიესა „ნაფთალი“ რომელიც დაიდგმის საქართველოს მშრომელ ებრაელთა სახელმწიფო დრამატიულ თეატრის მიერ.

— საქ. მშრომელ ებრაელთა სახელმწიფო დრამატიული სტუდია 1934 წლის აპრილის თვეში გამოვა პირველ საჩვენებელი დადგმით ჩვენი ახალგაზრდა დრამატურიების პიესებიდან.

— ა. წ. 6 ოქტომბერს ამხ. ლავრენტი ბერიას სახელობის კულტურის სახლში მოხდება „ლიტერატურული აღმანახის“ საზეიმო წაკითხვა. ავტორები თვითონვე წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებებს.

— კულტბაზას განზრახული აქვს ამ მოქლე ხანში მოიწვიოს საქ. მშრომელ ებრაელთა კულტურულიების რესპუბლიკანური კონფერენცია.

### სარედაქციო კოლეგია:

ახალიაძე კონრადი.

დანიელოვი მთადენაი.

კრიხელი არონ.

მამისთვალოვი მოტკე.

ჩახაშვილი გერცელ.

რედაქციის მისამართი: პირველი მაისის ქ. № 10 ამხ. ლავრენტი ბერიას სახელობის კულტურის სახლი.

# შ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ღ ბ ი ს ი ს

83.

5

ა. ი. ლინეცკი—წინასიტყვაობის მაგიერ. . . . . . . . . .

## პ ი რ ვ ი პ

მ. იზრაელიშვილი—ხაქართველოს ღარებკომის იუბილეს.	7
ი. ბაბისიმედოვი—ოქტომბრის გამოძახილი.	11
დინა დავარაშვილი—შე-16 ოქტომბერს.	12
"                  —ღაზგის მუშა . . . . .	13
"                  —ღარებკომის მუშა . . . . .	14
ი. ბაბისიმედოვი—კულტურის სახლი.	16
დინა დავარაშვილი—სათებერვლო . . . . .	20
"                  —შრომელ ქალს . . . . .	21
გერცელ ჩაჩაშვილი—* * * . . . . .	69

## პ ი რ ვ ი

იოსებ ქურჩიშვილი—ახალი ცსოვრებისაკენ (მოთხრობა).	23
მ. მამისთვალოვი და ა. კრისელი—ბენიამინის აღსასრული (მოთხ.).	72

## დ რ ა მ პ

გერცელ ჩაჩაშვილი—ორი სამყარო (ნაწყვეტი პიესიდან).	106
---	-----

## ნ ა რ კ ვ ა ვ ი

ა. კრისელი—საუბარი ონელ ებრაელთან.	114
------------------------------------	-----

---

ბოლოოთქმა.	119
------------	-----

ებრაულ ხიტყვების ახსნა.	121
-------------------------	-----

---

## გვითაველთა საკურადღებოთ!

ვერილობით გვაცნობით თქვენი აზრი ამ აღმანახის  
შესახებ შეადეგი მისამართით:

პირველი მაისის ქ. № 10. ამს. ლ. ბერიას სახელ. კულტურის  
სახლი—კულტბაზას.



වාගි 3 ඩැල්.